პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 23 აპრილი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 91 (2437)

დღიური

- ესტონეთის მთავრობამ დანიშნა დელეგაცია საბჭ. კავშირთან მოლაპარაკების საწარმოებლად.
- კრიზისი ექსპერტთა კომისიაში.
- რუანის (საფრანგეთი) ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება.
- რეპრესიები რევოლ. მოძრაობის წინააღმდეგ რუმინეთში.
- ბერლინში ჩავიდა თურქეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ რუშდი-ბეი.
- გერმანიის სამხედრო სპეციალისტები რუმინეთში.
- შაქრის ტრესტმა გადასწყვიტა ააგოს ამიერ-კავკასიაში შაქრის ორი ქარხანა.

ბიბლიოთეკა

ნილაბახდილი საბოტაჟი

კამათი, რომელიც განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში გაიმართა საბჭოთა წინადადებების ირგვლივ, და გადაწყვეტილება, რომელიც კომისიამ კენჭის უყრელად მიიღო, წარმოადგენს ჟენევის კომისიის უეჭველად სარეკორდო მიღწევას განიარაღების საქმის საბოტაჟის საქმეში. ამის გამო საჭიროა აღვადგინოთ იმ ამბების თანმიმდევრობა, რომლებიც მოსამზადებელი კომისიის მეექვსე სესიაზე მოხდა.

როცა საბჭოთა დელეგაცია კომისიის მეექვსე სესიის სხდომაზე მივიდა, მის წინაშე იდგა ამოცანა—დაეცვა შეიარაღების შემცირების საბჭოთა პროექტი, რომელიც შეტანილი იქნა წინა სესიაზე. სესიის გახსნის მომენტიდან, დღის წესრიგის შემუშავების დროსვე საბჭოთა დელეგაციისათვის აშკარა გახდა, რომ კომისიის ხელმძღვანელებს და მის მონაწილეთა უმრავლესობას არა სურთ განიხილონ საბჭოთა წინადადებანი. საბოტაჟი ისე შორს წავიდა, რომ ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ლიტვინოვი იძულებული შეიქნა პირდაპირ დაესვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ამოცანებს ისახავს კომისია. მართლაც, კომისიამ, რომელიც წარმოიშვა განიარაღების საყოველთაო კონფერენციის მოწვევის მოსამზადებლად და რომელიც განსაზღვრული, მის მიერ მიღებული „შეთოდით" მუშაობს მთელი წლების განმავლობაში, ვერ მოგვცა ვერავითარი შედეგები, და კომისიის თავმჯდომარემ სესიის გახსნის დროს გულახდილად განაცხადა, რომ იგი ვერ ხედავს შესაძლებლობას ამ სესიაზე დაინიშნოს საყოველთაო კონფერენციის მოწვევის ვადა.

თუ კომისიის მუშაობა მთელი წლების განმავლობაში უნაყოფოა და განიარაღების საქმე, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მილიონიანი მასების ინტერესების თვალსაზრისით, ჩიხში მოემწყვდა, მაშინ ბუნებრივია, რომ უნდა დაისვას კომისიის მუშაობის მეთოდების გადასინჯვის საკითხი. საბჭოთა კავშირის მთავრობამ არსებითად ეს საკითხი დასვა მაშინვე, როგორც კი დასთანხმდა იგი მიეღო მონაწილეობა ჟენევის კომისიის მუშაობაში და წარადგინა საყოველთაო, სრული, დაუყოვნებლივი განიარაღების პროექტი. როცა კაპიტალისტურმა მთავრობებმა არ მიიღეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი პროექტი, საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ დაწვრილებით დამუშავებული სქემის მიხედვით განხორციელდეს შეიარაღების საგრძნობლად შემცირება.

ეს პროექტი ცამეტი თვე იდო ერთა ლიგის არქივებში და იმ მთავრობების კანცელარიებში, რომლებიც მოსამზადებელ კომისიაში შედიან. როცა, ბოლოს, მოწვეული იქნა მეექვსე სესია, კომისიის მონაწილენი აშკარად შეეცადნენ—გვერდი აეხვიათ საბჭოთა წინადადებების განხილვისათვის. კომისიას არა სურს შესცვალოს მის მიერ მიღებული მუშაობის მეთოდი. ამის გამო ამხ. ლიტვინოვმა, რომელიც დაეყრდნო არა მარტო თავისი მთავრობის რწმუნებულებას, არამედ მშრომელთა ფართო ფენების ნება-სურვილს, კომისიის მონაწილეებს მოსთხოვა,—სავსებით გარკვეულად ჩამოეყალიბებიათ, თუ რა მიაჩნიათ მათ კომისიის ამოცანებად. რათა გაეადვილებია პასუხი დასმულ კითხვაზე, ამხ. ლიტვინოვმა განსახილველად შეიტანა სამი პუნქტისაგან შემდგარი რეზოლიუცია. საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა გამოირკვეს: პირველი—რომ კომისიის ამოცანას შეადგენს შეიარაღებულ ძალთა არსებითი შემცირება, მეორე—რომ ამ შემცირებას საფუძვლად უნდა დაედოს ობიექტიური კრიტერიუმი და მესამე—რომ კომისიამ უნდა დააწესოს შეიარაღების შემცირების ციფრობრივი კოეფიციენტი.

ამხ .ლიტვინოვის წინადადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია კომისიის მონაწილეთა შორის. ლოუდონმა დახურა სხდომა იმისათვის, რომ კომისიის პრეზიდიუმს შეემუშავებია თავისი „მსჯელობა" საბჭოთა წინადადებების შესახებ. ლოუდონის ამ განცხადებამ საყოველთაო სიცილი გამოიწვია. ის, რაც ხდებოდა კომისიის ღია სხდომებზე, მოწმობდა კაპიტალისტების მიერ ჟენევაში დელეგატებად გაგზავნილი პოლიტიკოსების უმწეობას. საბჭოთა წინადადებების საბოტაჟს წინა სესიაზე ჰფარავდა პოლ ბონკურის ორატორული მჭერმეტყველება და ლორდ კეშენდენის ვრცელი სიტყვა, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეხლა კი პოლ ბონკური არ ესწრება სესიის სხდომებს, ხოლო ლორდ კეშენდენი სდუმს. მოგონება წინა სესიაზე ამხ. ლიტვინოვთან გამართულ პოლემიკის შესახებ, ალბად, აიძულებს ინგლისის დელეგაციის მეთაურს გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე.

როცა ამხ. ლიტვინოვმა შეიტანა აღნიშნული რეზოლიუცია, იტალიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ამხ. ლიტვინოვის კითხვებზე არ შეიძლება უბრალო პასუხის გაცემა დადებითად ან უარყოფითად; ეს პასუხი მეტად... რთული იქნებაო. იტალიის დელეგატს საჭიროდ მიაჩნდა საბჭოთა კითხვებზე გაცემულიყო „ისეთი პასუხი, რომელიც არ გამოიწვევს ორჭოფობას". ბუნებრივია, რომ კომისიის პრეზიდიუმის წინაშე დადგა მართლაც ძნელი ამოცანა: მას უნდა ჩამოეყალიბებია პასუხი, რომელიც უფრო გარკვეული იქნებოდა, ვიდრე „ჰო", ან „არა".

ამხ. ლიტვინოვის პირველ კითხვაზე კომისიის პრეზიდიუმმა გასცა ისეთი პასუხი, რომელიც თავისი ფორმულით ძალიან ჰგავს ერთა ლიგის წესდების მე-8 მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც დიდი ხანია ცნობილია. ლოუდონმა განაცხადა, რომ კომისიის ამოცანას შეადგენს: „შეიარაღების შემცირება მინიმუმამდე, რომელიც შეფარდებული იქნება ეროვნულ უშიშროებასთან და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებასთან — ერთად გამოსვლის დროს". ერთა ლიგის წესდების მე-8 მუხლი მთლიანად შეიცავს ამ ფრაზას მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წესდებაში სიტყვის „შემცირების" ნაცვლად არის „შეზღუდვა". ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა ტერმინის—შეიარაღების „შემცირების" გამოყენების იურიდიული მნიშვნელობა, რადგან ამ ცნებაში ლოღიკურად იგულისხმება შეიარაღებულ ძალთა შემცირება, მაშინ, როდესაც დღემდე ამ მხრივ არ არსებობდა ჯეროვანი გარკვეულობა.

მაგრამ ამხ. ლიტვინოვმა ამ პუნქტის შესახებ დასვა აბსოლუტურად აუცილებელი პოლიტიკური კითხვა: აქვთ თუ არა კაპიტალისტურ ქვეყნებს განზრახვა პრაქტიკულად განახორციელონ თავიანთი შეიარაღების შემცირება. კომისიამ ვერ გაბედა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. უარყოფითი პასუხი ნიშნავდა სკანდალს. ხოლო დადებითი პასუხი ნიშნავდა აშკარა წინააღმდეგობას კაპიტალისტური სახელმწიფოების ეხლანდელ პრაქტიკასთან, კაპიტალისტური სახელმწიფოების: ისინი, როგორც ცნობილია, გააფთრებული ტემპით ადიდებენ თავიანთ შეიარაღებას. კომისიის ხელმძღვანელებს არ შეეძლოთ აგრეთვე გარკვეულად აეხსნათ, თუ რას ნიშნავს „ეროვნული უშიშროების" პირობა და მოთხოვნა საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების შესახებ. სწორედ განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მუშაობამ გვიჩვენა, რომ ორივე ეს შენიშვნა წარმოადგენს საშუალებას: პირველი—განიარაღების საბოტაჟისათვის და მეორე—სამხედრო გამოსვლების მომზადებისათვის, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რაც შეეხება პასუხს საბჭოთა დელეგაციის ორ სხვა კითხვაზე, ეს პასუხი ისევე გაურკვეველი და ორჭოფულია თავისი ფორმით, როგორც პირველი. მაგრამ ამ პასუხებს, ისე როგორც პირველს, აქვთ გარკვეული პოლიტიკური აზრი. მათი პასუხებიდან გამომდინარეობს, რომ კომისიის ხელმძღვანელები საჭიროდ არა სთვლიან შეისწავლონ განიარაღების ობიექტიური მეთოდის საკითხი და მათ არა სურთ დააწესონ შეიარაღების შემცირების კოეფიციენტი.

სავსებით ცხადია, რომ კომისიის პრეზიდიუმის მიერ გაცემული პასუხების დაწვრილებითი განხილვა გამოარკვევდა პრეზიდიუმის „მსჯელობის" ნამდვილ ბუნებას. ალბად, ამის გამო მოხდა, რომ კომისიის თავმჯდომარემ მიმართა უკიდურეს ზომას, რომელიც არ ნახულა საერთაშორისო კრებებზე. პრეზიდიუმის მიერ შეტანილი რეზოლიუცია მან მიღებულად ჩასთვალა კენჭის უყრელად. როცა მეექვსე სესიის მუშაობის დროს ლოუდონი შეეცადა—საკითხი გადაეწყვიტა კენჭის უყრელად, ამხ. ლიტვინოვმა იგი „დაიჭირა" და კამათი გაგრძელდა. მაგრამ ამ შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც, ალბად, იცოდა, რომ მას მხარს დაუჭერდა განიარაღების საბოტაჟით დაინტერესებული დელეგაციების უმრავლესობა, განახორციელა თავისი განზრახვა და კომისიას მიაწერა გადაწყვეტილება, რომელიც მას ფორმალურად არ მიუღია.

სამი დელეგაცია არ დაეთანხმა პრეზიდიუმის წინადადებას და იმას, რომ ეს წინადადება გამოცხადებულიყო კომისიის გადაწყვეტილებად. ლიტვინოვს საშუალება მიეცა არა მარტო საბჭოთა დელეგაციის, არამედ ორი სხვა დელეგაციის, აღმოსავლეთის სახელმწიფოების—თურქეთის და ჩინეთის დელეგაციების სახელით განეცხადებია, რომ ეს დელეგაციები არ ეთანხმებიან შეტანილ წინადადებას. გაურკვეველი რჩება გერმანიის დელეგაციის პოზიცია. ერთის მხრით, იგი თითქოს მხარს უჭერს შეიარაღების შემცირების საბჭოთა პროექტს, ხოლო მეორე მხრით—იგი, დეპეშების მიხედვით, დუმილით დაეთანხმა პრეზიდიუმის წინადადებას, რომელმაც უარჰყო საბჭოთა პროექტის არსებითი პრინციპები. საინტერესოა გავიგოთ, როგორ აფასებენ გერმანიის დელეგაციის ტაქტიკას გერმანიის ის გაზეთები, რომლებიც ქებას ასხამენ საბჭოთა დელეგაციის პოზიციის თანმიმდევრობას, გარკვეულობას და მიზანშეწონილებას.

სავსებით უდავოა, რომ ჩვენ ვსდგევართ ერთა ლიგის განიარაღების კომისიის არაჩვეულებრივი თვითმხილების ფაქტის წინაშე. კომისიას არ ძალუძს აღნიშნოს, რომ მასში შემავალ მთავრობებს განზრახვა აქვთ შეამცირონ თავიანთი შეიარაღება: კომისიას არ სურს გამონახოს ობიექტიური კრიტერიუმი შეიარაღების შემცირებისათვის, მას არ სურს გადასინჯოს თავისი მუშაობის მეთოდები, იგი არჩევს კვლავ წავიდეს განიარაღების საბოტაჟის გზით. ომის შემდგომმა იმპერიალიზმმა, რომელიც პაციფისტური დემაგოგიით ცდილობს დაფაროს თავისი ნამდვილი მიზნები, ზედმეტად ამხილა თავისი თავი განიარაღების კომისიის მუშაობის დროს. ერთა ლიგა, რომლის ორგანოც არის კომისია, კვლავ გამოდის მთელი მსოფლიოს წინაშე როგორც ორგანიზაცია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მშვიდობიან მიზნებთან, რასაც მას ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და სოციალ-შეთანხმებლები აწერენ. მშრომელები ჯეროვნად შეაფასებენ ჟენევაში მომხდარ ამბებს—განიარაღების საბოტაჟის ტაქტიკას კაპიტალისტური მთავრობების მხრივ და ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი ანხორციელებს.

„იზვესტია", 21 აპრილი.

საბჭოთა დელეგაციის რეზოლიუციის უარყოფის შემდეგ

ამხ. ლიტვინოვი ამხელს მოსამზადებელი კომისიის უძლურებას

„კომისია ერთ ადგილზე ტრიალებს და არ შეუძლია წინსვლა მის მიერ დასახული გზითაც კი"

განიარაღების მოსამზადებელი კომისიის სესიაზე

კეშენდენის მანევრი

ჟენევა, 21 აპრილი. საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლიუციის უარყოფის შემდეგ მოსამზადებელი კომისია შეუდგა დღის წესრიგის მეორე პუნქტის — გერმანიის წინადადების — განხილვას. გერმანიის წინადადება ეხება ინფორმაციის გაცვლა - გამოცვლას (როგორც 1927 წლის პროექტის ნაწილს) შეიარაღების მდგომარეობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია ერთა ლიგის წესდებით. კეშენდენმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა გერმანიის წინადადებასთან და, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული პრინციპების დაგვიანებულ პასუხს.

„მე უდიდეს მოუთმენლობას განვიცდი,— სთქვა კეშენდენმა, — და ხშირად სასოწარკვეთილებამდე მივდივარ იმის მოფიქრებით, რომ მოსამზადებელი კომისიის მუშაობა ასე ნელა მიმდინარეობს. თუ ამ სესიაზე ჩვენ თვალსაჩინო მუშაობა არ ჩავატარეთ, აუცილებლად სასაცილონი გავხდებით მთელ მსოფლიოს თვალში. ეს ძალიან სასიამოვნო იქნება საბჭოთა დელეგაციისათვის, მაგრამ ჩვენ არ უნდა მივცეთ მას ასეთი კმაყოფილების საშუალება, რაც ყოველი თვალსაზრისით დამღუპველია ჩვენთვის. ინგლისის მთავრობა მზად არის სერიოზული მსხვერპლი გაიღოს, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება სადავო საკითხებზე".

ამ განცხადებამ საარჩევნო მანევრის შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. კეშენდენმა დუმილით აუარა გვერდი საზღვაო უთანხმოებათა საკითხს და შემდეგ შეეცადა შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ინგლისს არავითარი მოვალეობა არა აქვს საფრანგეთის მიმართ ხმელეთის შეიარაღების საკითხში. (ადს).

ამხ. ლიტვინოვის დეკლარაცია

ჟენევა, 21 აპრილი. განიარაღების მოსამზადებელი კომისიის პრეზიდიუმის „მსჯელობის" მიღების შემდეგ ლოუდონმა მოიმიზეზა, კამათის დამთავრება და ლიტვინოვს განცხადებისათვის სიტყვა აღარ მისცა. ამასთან დაკავშირებით, კომისიის დელეგატებს გადაეცა ლიტვინოვის დეკლარაცია. დეკლარაცია დაწვრილებით ჩამოსთვლის მოსამზადებელ კომისიაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის ყველა ეტაპს წლინახევრის განმავლობაში და იმ პირობებს, რომლების მიხედვითაც გადადებულ და უარყოფილ იქნა საბჭოთა პირველი და მეორე პროექტი. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ სრული განიარაღების წინააღმდეგ არგუმენტად მოჰყავდათ მხოლოდ ის, რომ არმიები საჭიროა ხალხის აჯანყების და სამოქალაქო ომების ჩასაქრობად. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ **საბჭოთა წინადადებებს კენჭი არ უყარეს, თუმცა პრეზიდიუმმა თითონ გამოიტანა დასკვნა იმის შესახებ, რომ საბჭოთა დელეგაციის საკითხები სავსებით შეეფერებიან კომისიის რწმუნებებს და მისი მუშაობის ხასიათს.** რამდენიმე სხდომა, რომლებზედაც საბჭოთა პროექტს იხილავდნენ უშედეგო გამოდგა. იგივე უნდა ითქვას მოსამზადებელი კომისიის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სესიებზედაც. ამ სესიებზე არ მიუღიათ არც ერთი დადებითი გადაწყვეტილება, რომელსაც ერთი ნაბიჯით მაინც მოეახლოვებია განიარაღების პრობლემის გადაჭრა. **საბჭოთა პროექტების უარყოფის შემდეგ კომისიას არა აქვს არც ერთი ისეთი პროექტი, რომელზედაც მას შეეძლოს განაგრძოს მუშაობა ოდნავი სარგებლობით მაინც.**

ის შეფასება, რომელიც მისცა, საბჭოთა დელეგაციამ მოსამზადებელი კომისიის სამი სესიის მუშაობას, სავსებით ადასტურებს იმ პესიმიზმსა და უნდობლობას, რომლითაც საბჭოთა მთავრობა შეხვდა ერთა ლიგის მიწვევას მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობის შესახებ. **კომისია ერთსა და იმავე ადგილზე ტრიალებს და თავის მიერ დასახულ გზითაც კი ვერ ახერხებს წინსვლას. მოსამზადებელი კომისიის ერთად - ერთ შედეგს წარმოადგენს მხოლოდ განიარაღების გაჭიანურება განუსაზღვრელი ვადით, ან განიარაღების ჩაშლის მომზადება.**

მოსამზადებელი კომისიის მუშაობას უარყოფითი მნიშვნელობაც კი აქვს, ვინაიდან იგი ხალხის ფართო მასებს, რომელნიც განიარაღებას მოითხოვენ, უფარავს მთავრობების პოლიტიკას, ხოლო მთავრობების პოლიტიკა მეტ წილად მიმართულია იქითკენ, რომ არ მოხდეს შეიარაღების არავითარი შემცირება. დასასრულ, დეკლარაციაში ნათქვამია:

„ყველა ამ ფაქტის აღნიშვნას საბჭოთა დელეგაცია იმ დასკვნამდე უნდა მიეყვანა, რომ აღარ მიიღოს მონაწილეობა მოსამზადებელ კომისიაში. მაგრამ თუ **საბჭოთა დელეგაციამ მაინც გადასწყვიტა დარჩეს, ეს აიხსნება იმავე მოსაზრებებით, რომლების მიხედვითაც საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად მთელი თავისი უარყოფითი დამოკიდებულებისა ერთა ლიგის და მისი ორგანოებისადმი, მაინც გამოგზავნა დელეგაცია მოსამზადებელ კომისიაზე, რათა არავისთვის მიეცა იმის საბაბი, რომ როგორც მოსამზადებელი კომისიის, ისე თვით კონფერენციის უშედეგობა აეხსნათ საბჭოთა წარმომადგენლების დაუსწრებლობით. მთელ მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა მთავრობამ გააკეთა, აკეთებს და მომავალშიაც გააკეთებს ყოველსავე იმას, რაც კი მასზე იქნება დამოკიდებული, რათა ხელი შეუწყოს განიარაღების საქმის წარმატებას.** მოსამზადებელ კომისიაში მუშაობის პირველი დღიდანვე საბჭოთა დელეგაციამ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო კომისიაში, მას შეჰქონდა კონკრეტული და სავსებით განსახორციელებელი წინადადებანი, რომელნიც მიმართულნი იყვნენ იქითკენ, რომ მაქსიმალური მასშტაბით განხორციელებულიყო განიარაღება. საბჭოთა დელეგაციას განზრახული აქვს შეასრულოს ეს ამოცანა, თუმცა იგი მომავალშიაც სრულ ანგარიშს უწევს იმ მუშაობის არასერიოზულობას და ზედმეტობას, რომელსაც კომისია მოანდომებს თავის სხდომებს, რამდენადაც საბჭოთა დელეგაციის კონკრეტულ წინადადებებს ყურადღება არ ექცევა.

საბჭოთა დელეგაცია რჩება მოსამზადებელ კომისიაში იმ იმედით, რომ მთავრობები საზოგადოებრივი აზრის, უმთავრესად მუშათა ორგანიზაციების ზეგავლენით იძულებულნი გახდებიან დასთანხმდნენ თუ სრულ განიარაღებას არა, შეიარაღების თვალსაჩინო შემცირებას მაინც. ამ შემთხვევაში მოსამზადებელი კომისიის წარმომადგენელნი იძულებულნი გახდებიან ხელახლა დაუბრუნდნენ საბჭოთა წინადადებებს, რომლებსაც დღემდე უარყოფდნენ თავიანთი მთავრობების ინსტრუქციების თანახმად". (ადს).

კეშენდენის შენიშვნები

ჟენევა, 21 აპრილი. 20 აპრილს მოსამზადებელი კომისიის სესიაზე მოხდა შემდეგი ინცინდენტი, იმ დროს, როდესაც ლოუდონმა განაცხადა, რომ კომისია გადადის ქიმიური ომის პუნქტის განხილვაზე, ლიტვინოვმა, რომელმაც ჯერ კიდევ წინა დღეს ითხოვა სიტყვა, განაცხადა, რომ მას სურს ილაპარაკოს. ლოუდონი შეეცადა არ მიეცა ლიტვინოვისათვის სიტყვა და შეეკითხა მას, რა თემაზე სურს გამოსვლა. ლოუდონმა გააფრთხილა ლიტვინოვი, რომ პრინციპიალურ თემაზე ლაპარაკი ეხლა დაშვებული არ იქნებაო.

ლიტვინოვმა მიუგო, რომ მას სურს გამოსთქვას თავისი აზრი შეიარაღების შესახებ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და კომისიის მუშაობის პროცედურის საკითხების გამო. ლოუდონმა მოიმიზეზა ის, რომ დისკუსია გერმანიის წინადადების შესახებ დამთავრებულია, და შეეკითხა კომისიას, სურს თუ არა მას მოუსმინოს ლიტვინოვს.

ლიტვინოვმა განაცხადა: თუ ყოველთვის, როდესაც საბჭოთა დელეგაციას სურს თავისი აზრი გამოსთქვას, უნდა კენჭი ეყაროს იმ საკითხს—აძლევს თუ არა მას კომისია გამოსვლის ნებას, იგი უარს ამბობს ასეთ პირობებში სიტყვაზე.

რადგან ეს საბჭოთა დელეგაციისათვის პირში ბურთის ჩაჩრის პირველ ცდას არ წარმოადგენს, ბევრის აზრით, **ეს მოწმობს მოსამზადებელი კომისიის განსაზღვრული წრეების განზრახვას—ასეთი პროვოკაციული მოქმედებით აიძულონ საბჭოთა დელეგაცია, რომ მან სესიას თავი მიანებოს.**

კომისიამ მიიღო პარაგრაფები ქიმიური ომის აკრძალვის შესახებ. ეს პარაგრაფები წარმოადგენს 13 სახელმწიფოს, კერძოთ, საბჭოთა კავშირის მიერ უკვე მიღებული და დამტკიცებული საერთაშორისო კონვენციის დებულებათა განმეორებას.

კეშენდენმა გაილაშქრა იმ პარაგრაფის წინააღმდეგ, რომელიც კრძალავს მშვიდობიან დროს ქიმიური ომის საშუალებათა წარმოებას. კეშენდენმა ისე მოაჩვენა კომისიას თავი, თითქოს მას არ ესმოდა, ვრცელდება თუ არა აკრძალვა იმ საშუალებებზე, რომელნიც თანაბრად გამოსადეგნი არიან როგორც ომისათვის, ისე მშვიდობიანი მიზნებისათვის.

ლიტვინოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ ეს პარაგრაფია ახალი ზემოხსენებულ კონვენციასთან შედარებით, ამიტომ გაილაშქრა ამ პარაგრაფის უარყოფის ცდების წინააღმდეგ. ლიტვინოვმა წინადადება შეიტანა, რომ ეს პარაგრაფი შეიცვალოს უარყოფილი საბჭოთა პროექტის სათანადო მუხლით, რომელიც ითვალისწინებს არა თუ ქიმიური ომის საშუალებათა, არამედ ამ ომის იარაღისა და აპარატების სრულ მოსპობასაც სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როცა კონვენცია ძალაში შევა.

კომისიის მიერ წარმოდგენილი ტექსტის მრავალი შეზღუდვითი განმარტების შემდეგ, მისი საბოლოო დამუშავება ჩვეულებრივად გადაიდო.

როდესაც ირჩეოდა შემდეგი პარაგრაფი, რომელიც კრძალავს ქიმიური ომის საშუალებათა შეტანას და გატანას, კეშენდენმა წარადგინა წინა შენიშვნებს ანალოგიური შენიშვნა.

ლიტვინოვმა შეიტანა წინადადება, რომ ქიმიური ომის წინააღმდეგ საბრძოლველი ზომების განხილვა არ გადაიდოს შეიარაღების შემცირების კონვენციის მიღებამდი და მიღებულ იქნას რეზოლიუცია, რომელმაც ყველა მთავრობისაგან უნდა მოითხოვოს უკვე არსებული კონვენციის დამტკიცება.

იტალიის, თურქეთის, გერმანიისა და იაპონიის დელეგატები შეუერთდნენ ლიტვინოვის წინადადებას, რამაც უარესად შეაშფოთა კომისიის ხელმძღვანელნი.

ლოუდონმა წინადადება შეიტანა, რომ ახალი წინადადება განსახილველად გადაეცეს პრეზიდიუმს, და შემდეგ სესიის მუშაობა გადასდო ორშაბათამდე. (ადს).

უცხოეთის პრესის კომენტარიები

პაციფისტების გაჭირვება

რომი, 21 აპრილი. იტალიის პრესის ნაწილი არ კმაყოფილდება იტალიის დელეგატის მარინისის მიერ ჟენევაში წარმოთქმული სიტყვის გადმოცემით და ახასიათებს საბჭოთა დელეგაციის მოქმედებას. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დელეგაციამ ყურადღება მიიქცია და გაჭირვებაში ჩააყენა „ზოგიერთი თვალსაჩინო პაციფისტი". (ადს).

თურქეთისა და საბჭოთა კავშირის პროექტები ერთმანეთს უახლოვდებიან

სტამბოლი, 21 აპრილი. გაზეთები ეხებიან განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის პირველ სხდომებს და წერილების სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა პროექტის მნიშვნელობას. „ჯუმხურიეთ"-ი სწერს:

„თავმჯდომარეს უნდოდა საბჭოთა პროექტის მიფუჩეჩება, მაგრამ გერმანიისა და თურქეთის დელეგატებმა ჩაშალეს თავმჯდომარის განზრახვა".

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თურქეთისა და საბჭოთა პროექტები ერთმანეთს უახლოვდებიან. (ადს).

განსაცდელმა განვლო

ბერლინი, 21 აპრილი. დემოკრატიული „ბერლინერ ტაგებლატ"-ი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა დელეგაციის ტაქტიკურ წარმატებას და აცხადებს, რომ კომისია იძულებული იყო ეცნო განიარაღების თვალსაჩინოდ შემცირების პრინციპი; მან ვერ შესძლო ერთი ხელის დაკვრით უკუეგდო საბჭოთა პროექტი და იძულებული გახდა მიეღო დადგენილება, იმის შესახებ, რომ პროექტი განიარაღების კონფერენციას გადაეცეს.

ნაციონალისტური „კრეიც ცეიტუნგ"-ი ირონიულად სწერს:

„მოსამზადებელი კომისია ცოტა ხანს შეისვენებს. განვლო იმ მწარე განსაცდელმა, რომელიც მას საბჭოთა პროექტისაგან მოელოდა. საბჭოთა პროექტი მისი სამი ძირითადი პრინციპით მშვიდობიანად უარყოფილ იქნა. ეხლა ამ პროექტს განიარაღების გენერალურ კონფერენციას აწვდიან—დაე, როგორც უნდა, ისე მოუაროსო. კომისიას არ შეეძლო უფრო გადაჭრით მოქცეულიყო, მას ამ შემთხვევაში ხელი შეუშალა ფაქტების ულმობელმა ლოღიკამ, საზოგადოებრივი აზრის გამაფხიზლებელმა გავლენამ და იმ შიშმა, რომ საბჭოთა დელეგატებს შეეძლოთ სხდომის მიტოვება. საგრძნობი როლი ითამაშა აგრეთვე იმის შიშმა, რომ აღშფოთების ქარიშხალი სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს მე-2 ინტერნაციონალს". (ადს).

პრაგის პრესის სკეპტიციზმი

პრაგა, 21 აპრილი. პრაგის პრესა მეტად სკეპტიკურად უყურებს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის ეხლანდელ სესიას. ამავე დროს იგი აღნიშნავს საბჭოთა პროექტის მნიშვნელობას. თვით საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „პრაგერ პრესე" აღიარებს, რომ კომისიაზე იმედების დამყარება არ შეიძლებაო.

„კომისიას კი—სწერს გაზეთი,—სამუშაო დიდი ჰქონდა, რადგან, ოფიციალური პროექტის გარდა, არის კიდევ საბჭოთა პროექტი"-ო. (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტელეგრამ"-ში მოთავსებულია მეთაური წერილი, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ვაშინგტონისათვის უფრო და უფრო ძნელი ხდება საბჭოთა კავშირის არ ცნობის პოლიტიკის თანამიმდევრობითი გატარება.

შენიშვნა: „ნიუ-იორკ ტელეგრამ"-ი ეკუთვნის გოვარდის საგაზეთო ტრესტს, რომელიც დღემდი შეურიგებელ ანტი-საბჭოთა პოზიციაზე იდგა. (ადს)

დელეგაცია საბჭოთა კავშირთან მოსალაპარაკებლად

რეველი, 21 აპრილი. დანიშნულია დელეგაცია საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების გასამართავად (ადს).

ექსპერტთა კომისიის კრიზისი

სარეპარაციო მოლაპარაკების განახლების ცდა

პარიზი, 21 აპრილი. ჰავასი იუწყება: „შახტმა და იუნგმა 19—20 აპრილს ითათბირეს სხვადასხვა საკითხის შესახებ. ამრიგად, კონფერენციის მუშაობა საბოლოოდ შეწყვეტილად არ ჩაითვლება. დელეგატები ცდილობენ, რომ მოლაპარაკება განახლებული იქნას" (ადს).

გერმანიის ექსპერტების წასვლა ბერლინში

ბერლინი, 21 აპრილი. შახტი და გერმანიის მეორე ექსპერტი ფეგლერი ბერლინს მიემგზავრებიან მთავრობისათვის მოხსენების წარსადგენად. ბერლინში ისინი სულ რამდენსამე საათს დარჩებიან, რადგან ორშაბათს დილით პარიზში უნდა დაბრუნდნენ (ადს).

გერმანიამ მოიპოვა რწმენა თავის თავისადმი

ბერლინი, 21 აპრილი. „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ი აღნიშნავს ექსპერტთა კომისიის კრიზისს და სწერს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გერმანიამ კვლავ მოიპოვა თავისი თავის რწმენა და სრულებითაც არ ფიქრობს — დაემორჩილოს უცხო სახელმწიფოების „ბრძანებას".

„ამიტომ ექსპერტთა კომისიის კრიზისის ამბავმა—სწერს გაზეთი,—ბერლინში გამოიწვია არა პანიკა, არამედ კმაყოფილების გრძნობა, რადგან გერმანელმა ექსპერტებმა ქედი არ მოიხარეს კრედიტორი სახელმწიფოების ახალი მთლიანი ფრონტის წინაშე —ძალით მოახვიონ გერმანიას თავზე მიუღებელი პირობები" (ადს).

სოციალ-დემოკრატები გმობენ შახტის ტაქტიკას

ბერლინი, 21 აპრილი. სოციალ-დემოკრატიული პრესა გადაჭრით გმობს შახტის ტაქტიკას ექსპერტთა კომისიაში.

„ფორვერტს"-ი სწერს:

„თუ შახტმა უხეიროდ ჩამოაყალიბა გერმანიის თვალსაზრისი, გერმანიის ინტერესები მოითხოვენ, რომ მან შეასწოროს თავისი შეცდომა. შახტმა იცის, რომ მან მიიღო მანდატი მთავრობისაგან, რომელიც მისგან მოელის ექსპერტისა და ეკონომისტის პრაქტიკულ მუშაობას და არა პოლიტიკურ გუსარულ ნავარდს. თუ ექსპერტები და ეკონომისტები სცდებიან, სახელმწიფოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა უნდა ყოველი ღონისძიება იხმარონ იმისათვის, რომ ხელახლა მონახონ გზა პრაქტიკული მუშაობისათვის და შეთანხმების მისაღწევად" (ადს).

საფრანგეთის პრესა სარეპარაციო მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ

პარიზი, 21 აპრილი. ოფიციოზური პრესა იმედს გამოსთქვამს სარეპარაციო მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობის შესახებ. პრესა აგონებს გერმანიის მთავრობას, რომ იგი უნდა გაემიჯნოს შახტის განცხადებას კოლონიებისა და გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების შესახებ. გაზეთების სიტყვით, „საფრანგეთი არ დაუშვებს, რომ სარეპარაციო მოლაპარაკება გამოყენებულ იქნას საზაო მოლაპარაკების გადასასინჯად".

როგორც ოფიციოზური პრესა იუწყება, შახტთან საუბრის დროს მორგანმა და ოუენ იუნგმა განცვიფრება გამოსთქვეს იმ პოზიციის გამო, რომელსაც შახტი დაადგა. ისინი აფრთხილებდნენ შახტს— „მოლაპარაკების ჩაშლას გერმანიისათვის დამღუპველი ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვებაო".

თავის მხრით, გაზეთ „ჟურნალ"-ის თანამშრომელს შახტმა განუცხადა, რომ გერმანიის წინადადებები სრულებითაც არ წარმოადგენენ გერმანიის დელეგაციის უკანასკნელ სიტყვას. ეს წინადადებები წარმოადგენენ იმ ციფრობრივ დავის ერთ-ერთ საფეხურს, რომელსაც ექსპერტთა კომისია გასულ კვირას ოფიციალურად დაადგა. გერმანიის დელეგაცია მზათაა განიხილოს ყველა წინადადება, რომლის წამოყენებასაც გერმანიის წინადადებათა საპასუხოდ შესძლებენ კრედიტორი სახელმწიფოები.

ოფიციოზური პრესის წინააღმდეგ, მემარჯვენე პრესა გადაჭრით მოითხოვს მოლაპარაკების შეწყვეტას, რადგან შახტის პოლიტიკური მოთხოვნები ყოვლად მიუღებელიაო. მემარჯვენე პრესა აცხადებს, რომ მოლაპარაკების უნაყოფობა აიძულებს კრედიტორ სახელმწიფოებს — დაბეჯითებით მოითხოვონ დაუესის გეგმის შესრულება ახალი ეკონომიური და პოლიტიკური რეპრესიების საშუალებით. ამავე დროს მემარჯვენე გაზეთები სწერენ, რომ საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების პოლიტიკა, რომელიც ერიომ დაიწყო, სრული დამარცხებით დამთავრდაო" (ადს).

მუშათა ბრძოლა

რუანის ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება

პარიზი, 21 აპრილი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, რუანის ოლქში გაფიცული ფეიქრების და მშენებელი მუშების რიცხვი იზრდება. პრეფექტის აკრძალვის მიუხედავად, მუშები ქუჩებში დადიან და რევოლიუციონურ სიმღერებს მღერიან.

დამქირავებლებმა უარი განაცხადეს მუშათა დელეგაციასთან მოლაპარაკებაზე, რადგან მასში მონაწილეობას იღებენ უნიტარული პროფკავშირების წევრები (ადს).

მოჯამაგირეთა გაფიცვა

პრაღა, 21 აპრილი. ბერეგოვის რაიონის ვენახებში რამდენიმე კვირაა გრძელდება 4.000 მოჯამაგირის გაფიცვა. ვენახების პატრონების და ხელისუფლების ყოველგვარი ცდა—აეძულებიათ მუშები დაბრუნებულიყვნენ სამუშაოზე, უშედეგოდ დამთავრდა. დააპატიმრეს 65 გაფიცული. (ადს)

რეპრესიები რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ რუმინეთში

ვენა, 21 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში დახურეს და დაბეჭდეს უნიტარულ პროფკავშირთა და მუშურ-გლეხური ბლოკის სადგომები სემიგრადიის ბევრ ქალაქში. პოლიციამ თან წაიღო დოკუმენტები, ხოლო ის პირები, რომლებიც ჩხრეკის დროს სადგომებში აღმოჩნდნენ, დააპატიმრა. განაგრძობენ მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა დაპატიმრებას. მარტო ტემეშვარში ამჟამად საპყრობილეში ზის 300 პოლიტიკურ პატიმარზე მეტი, რომლებიც მოთავსებულნი არიან 18 პატარა ვიწრო საკანში. (ადს).

ამერიკის კაპიტალი ჩინეთში

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. შემჩნეულია, რომ ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების რესპუბლიკა თავის კაპიტალს აბანდებს ჩინეთის საწარმოებში. ამერიკის საავიაციო - საგამომკვლევო კომპანიამ ნანკინის მთავრობასთან ხელშეკრულება დასდო, რომლის თანახმადაც კომპანია კისრულობს ჩინეთის მთავრობის ფოსტის გადატანა-გადმოტანას, აგრეთვე აწყობს მგზავრების მიმოსვლას. კომპანია აპირებს საავიაციო ქარხნის აგებას ჩინეთში.

მეორე კომპანიამ, რომელიც დამოკიდებულია „ელექტრონის გენერალურ კომპანიისაგან" შეიძინა 50 მილ. დოლარის ელექტრო-ძალის დადგმულებანი შანხაიში. წინად ეს დადგმულებანი ინგლისის კაპიტალის ხელში იყო.

35-ის საქმე

ვარშავა, 21 აპრილი. ბელოსტოკში მესამე დღეა ირჩევა იმ პირთა საქმე, რომელთაც ბრალდებათ დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიის წევრობა. პოლიციის ოქმის ცნობებით. ერთი ბრალდებული **რაიხმანი** ჩამოხრჩობილი ნახეს ცალკე საკანში, მაგრამ ბრალდებულნი აცხადებენ, რომ **რაიხმანი აწამეს დაკითხვის დროს და შემდეგ ჩამოახრჩვეს.**

პროცესი დაიწყო ბრალდებულთა დემონსტრაციით რაიხმანის მოკვლის გამო. როცა სასამართლოს დარბაზში შემოვიდა თავმჯდომარის მიერ მოწვეული მოწმე ბალკი, რომელიც პოლიტიკურ პოლიციის მოხელეა, ბრალდებულმა **ეპშტეინმა** ბრალდებულთა სახელით პროტესტი განაცხადა ამ მოწმის დაკითხვის გამო, რადგან იგი, ეპშტეინის სიტყვით, რაიხმანის ჯალათი და მკვლელია. დანარჩენმა ბრალდებულებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ეპშტეინს.

თავმჯდომარემ განკარგულება გასცა, გაეყვანათ ბრალდებულნი სხდომის დარბაზიდან. (ადს).

დაპატიმრებანი პოლონეთში

ვარშავა, 21 აპრილი. დაპატიმრებანი 1 მაისისათვის მზადებასთან დაკავშირებით გრძელდება. გაზეთების ცნობით, ვარშავის რაიონებს იცავენ არა მარტო რეგულიარული პოლიცია, არამედ პოლიციის გადაცმული აგენტებიც. ერთი ასეთი აგენტი შეეცადა დაეპატიმრებია მუშა, რომელიც სახლების კედლებზე აკრავდა საპირველმაისო პლაკატებს. აგენტს წინააღმდეგობა გაუწიეს, რასაც შედეგად მოჰყვა ამ აგენტის მოკვლა მუშების მიერ. (ადს).

რუმინეთი იარაღდება

ვენა, 21 აპრილი. რუმინეთიდან მიღებული ნახევრად ოფიციალური ცნობები ადასტურებენ პრესის ცნობას, რომ მარტის დამლევს რუმინეთი ინახულა გერმანიის რეიხსვერის ყოფილმა სარდალმა სექტმა, რომელსაც ახლდნენ **გერმანიის** გენერალური შტაბის ოფიცერი **ჩუნკე,** ყოფ. [illegible] [illegible] და გერმანიის მრეწველთა წარმომადგენელი **კლეინი.**

უნგრეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საკითხი ეხება დიდ დაკვეთებს, რომელთა შესრულებას კისრულობს გერმანიის მძიმე მრეწველობა, და აგრეთვე რუმინეთის სამხედრო მრეწველობის რეკონსტრუქციას. (ადს).

საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს და ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება

შინამრეწველთა კოოპერაციაში გაერთიანების გაძლიერების შესახებ

მოსკოვი, 22 აპრილი. საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს და ცაკის პრეზიდიუმმა მარტში მოისმინა შინამრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის კავშირის ნაცბიუროს მოხსენება. პრეზიდიუმმა ამ მოხსენების გამო მიიღო დადგენილება.

დადგენილებას საჭიროდ მიაჩნია, რომ სარეწაო კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა (ცენტრალურმა და ადგილობრივმა) ყურადღება მიაქციონ შინამრეწველთა და ხელოსანთა კოოპერატიულად შეკავშირების გაძლიერებას ეროვნულ რაიონებში. დადგენილება წინადადებას იძლევა: მიღებულ იქნას ზომები იმ ახალი სარეწაოების მოსაწყობად, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულს და მინერალურ სიმდიდრეს იყენებენ, გადიდდეს სარეწაო კოოპერაციის საფინანსო რესურსები საპაიო გადასახადების მობილიზაციის გაძლიერების ხარჯზე, გადიდდეს სპეციალური ღარიბთა ფონდი, სისტემატიურად სწარმოებდეს სარეწაო კოოპერაციის სოციალური შემადგენლობის აღრიცხვა და განიდევნონ მისი რიგებიდან კულაკური ელემენტები, გაძლიერდეს კოოპერაციაში შეკავშირება იმ ეროვნულ უმცირესობათა, რომლებიც ავტონომ. ერთეულებში არ შედიან. შინამრეწველთა და ხელოსანთა ფართო მასებს შორის პოლიტიკური და კოოპერატიული უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით საჭიროა მათ შორის განვითარდეს მასიური კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ს.მ.უ. საბჭომ და საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სახ. კომისარიატებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ გაუმჯობესდეს ნედლეულის და ნახევარ-ფაბრიკატების გეგმიანი მიწოდება ეროვნულ რაიონებში. ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა— გაადვილდეს ქალების შესვლა სარეწაო კოოპერაციაში და გაძლიერდეს შინამრეწველურ სარეწაოებში მომუშავე ახალგაზრდობის ჩაბმა კოოპერაციაში. ხელმძღვანელ სამუშაოზე სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციებში დაწინაურებულ უნდა იქნან ის ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებმაც თავი იჩინეს ქვედა საფეხურის ორგანოებში მუშაობით. სარეწაო კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ გეგმებში უნდა გაითვალისწინონ ეროვნულ უმცირესობათა ჩაბმა კოოპერაციაში და მათთვის დახმარების აღმოჩენა. ამასთან სარეწაო კავშირების აპარატში უნდა დაარსდეს განსაკუთრებული უჯრედები, რომელნიც სამსახურს გაუწევენ ეროვნულ უმცირესობას. უნდა გაძლიერდენ და განმტკიცდნენ ურთიერთდამხმარე სალაროები სარეწაო კოოპერაციასთან.

ერ. საკავშირო სარეწაო კოოპერაციის კავშირმა ექვსი თვის განმავლობაში უნდა წარადგინოს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ. (ადს).

შაქრის მრეწველობა ამიერ-კავკასიაში

ქარხნების აგება გადაწყვეტილია ლენინაკანში და გორის მაზრაში

მოსკოვი, 22 აპრილი. შაქრის ტრესტის გამგეობამ გადასწყვიტა ამიერ-კავკასიაში გახსნას შაქრის ორი ქარხანა: ერთი სომხეთში—ლენინაკანის რაიონში, მეორე—საქართველოში, გორის მაზრაში. იმ შემთხვევაში, თუ დამაკმაყოფილებლად გადასწყდა გამხმარი ჭარხლიდან შაქრის დამუშავების პრობლემა, განზრახულია აგებულ იქნას ერთი დიდი ქარხანა საქართველოში, სომხეთში კი მოეწყობა აპარატები ჭარხლის გასახმობად, საიდანაც გამხმარი ჭარხალი გადასამუშავებლად გადაიგზავნება საქართველოში. (ადს).

შეინმანი განთავისუფლებულია თანამდებობიდან

მოსკოვი, 22 აპრილი. საკავშირო სახკომსაბჭომ შეინმანი გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრის თანამდებობებიდან და მის ნაცვლად დანიშნა ამხ. პიატაკოვი.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა შეინმანი გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილის თანამდებობიდან. (ადს).

ნავთის ექსპორტის ჩამორჩენილი დარგი

მოსკოვი, 22 აპრილი. გაზეთ „ტორგოვო პრომიშლენაია გაზეტა"-ში დაბეჭდილია ამხ. შახის წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენი ნავთის ექსპორტში საცხები ზეთი ერთ-ერთი დარგია, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომის წინ არსებულ დონემდე. თუ მთელი ნავთის ექსპორტში ეს დონე 1927—28 წელს გადამეტებულ იქნა თითქმის ერთი სამად, ზეთის ექსპორტში იგი თითქმის მეოთხედით ნაკლებია 1913 წლის დონეზე.

არის ნიშნები, რომ მახლობელი ხუთი წლის განმავლობაში საცხები ზეთის საერთო მოხმარება ევროპის უდიდეს ქვეყნებში გაიზარდოს 37 პროცენტით და ჩვენი გასაღების ეხლანდელი მასშტაბიც ერთი ორად მოიმატებს.

როგორია ამ შესაძლებლობის მთავარი კონკრეტული წინასწარი პირობები?

ძირითად წინასწარ პირობას შეადგენს ის, რომ ჩვენი ზეთის ასორტიმენტი და ხარისხი სავსებით უნდა იქნას შეფარდებული ევროპის მომხმარებელთა მოთხოვნილებასთან.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს დიდ საგამომკვლეო მუშაობას ჩვენი და უცხოეთის ზეთის თვისებათა შესასწავლად. ამისათვის კი საჭიროა სათანადო ლაბორატორიების მოწყობა ევროპის იმ ცენტრებში, სადაც ნავთის სინდიკატის ფილიალები ეწევიან ჩვენი ზეთის ბითუმ-საცალო ვაჭრობას.

ზეთის ექსპორტის გაძლიერება ჩვენი ნავთის მრეწველობის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. ამ ამოცანას განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ხასიათი ეძლევა ჩვენი საექსპორტო რესურსების მობილიზაციის პირობებში". (ადს).

ათ პროც. მომგებიანი სესხის მეცხრე ტირაჟი

მოსკოვი, 22 აპრილი. 1927 წლის 10 პროცენტიანი მომგებიანი სესხის მეათე ტირაჟი 50.000 მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას — 092.717, სერიას 15.25.000 მანეთიანი მოგება: ობლიგაციას 29.191, სერიას 16; ობლიგაციას 104.937, სერიას 16. 10.000 მანეთიანი მოგება: ობლიგაციას 53.451, სერიას 7; ობლიგაციას 145.341, სერიას 7; ობლიგაციას 154.506, სერიას 19, ობლიგაციას 68.387, სერიას 2; ობლიგაციას 151.183, სერიას 20. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მე - XVI პარტიულ კონფერენციის წინ

მოსკოვი, 22 აპრილი. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია მთელ რიგ დიდ წარმოებათა მუშების რაპორტი მე-XVI პარტიულ კონფერენციის სახელზე. სხვა წარმოებათა შორის აღსანიშნავია „კრასნი პუტილოვეც"-ი, სორმოვოს ორთქლმავალთა მშენებელი ქარხანა, „ელექტროსილა", „სერპი მოლოტ"-ი, ილიჩის სახელობის „ნევტეპრომისელ"-ი და სხ. რაპორტში მუშები აცნობენ საკავშირო პარტიულ კონფერენციას თავიანთ ფაბრიკა-ქარხნების ეხლანდელ მდგომარეობას და განვითარების პერსპექტივებს.

„პრავდა" ამის გამო ათავსებს სპეციალურ სარედაქციო წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მუშების რაპორტები კონფერენციის სახელზე გამსჭვალულია პროლეტარიატის გამარჯვების ღრმა წრმენით. რაპორტების მახვილი უმთავრესად მიმართულია იმ „მოწუწუნეთა" და მერყევ ელემენტების წინააღმდეგ, ვინც დამფრთხალა ჩვენს წინაშე მდგომ ობიექტიურად აუცილებელ სიძნელეებით და ვისაც არ სწამს სოციალიზმის ძლევამოსილი განვითარება.

საქართველოს დელეგაციის სიტყვა ინჟენერთა ყრილობაზე

მოსკოვი, 22 აპრილი. ინჟენერთა და ტეხნიკოსთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა:

საჭიროა ენერგიული ზომების მიღება იმისათვის, რომ ინჟენერები და ტეხნიკოსები განტვირთულ იქნან კანცელიარიულ საქმეებისაგან. მიწერ-მოწერა და ჩვეულებრივი საქმის წარმოება ხშირად მრავალ ძვირფას დროს ართმევს ჩვენს სპეციალისტებს.

ამასთან ერთად აუცილებელია, რომ ინჟენერთ და ტეხნიკოსებს დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა მათ მუშაობაში. თუ არ იქნა დაკანონებული ერთგვარი ტეხნიკური „რისკი", ჩვენ ვერ მივაღწევთ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პროექტების შედგენის საქმეში და, საზოგადოდ, სპეციალისტ-ტეხნიკოსთა ყოველდღიურ მუშაობის წარმატების დარგში.

გარდა ამისა უნდა უსათუოდ შემოწესრიგდეს ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ და პროფესიონალურ ორგანოების ურთიერთობა. დღეს მდგომარეობა ამ მხრივ ყოველთვის დამაკმაყოფილებელი ვერ არის.

გემი „საქართველო"

მოსკოვი, 22 აპრილი. ოდესიდან იტყობინებიან, რომ იქ უკვე მოვიდა გერმანიაში ახლად აგებული თბომავალი „საქართველო". თბომავალი „საქართველო" დაუკვეთა ქალაქ კილის გემის მშენებელ ქარხნებს საბჭოთა - სავაჭრო ფლოტის გამგეობამ. „საქართველო"-ს სისწრაფე უდრის 16 მილს საათში. ამჟამად არსებულ სხვა სამგზავრო გემთა შორის „საქართველო"-ს საბჭოთა ფლოტში პირველი ადგილი უჭირავს.

„საქართველო" იტევს 800 კაც მგზავრს. რეისი, რომლითაც ივლის ახლად მოსული გემი იქნება ოდესა-ბათომი. ამ მანძილს იქით და აქეთ „საქართველო" გაივლის ექვს დღეში. დროგამოშვებით „საქართველო" უცხოეთის შორეულ რეისებზედაც იმუშავებს.

საბჭოთა ფილარმონიულ საზოგადოების გამოკვლევა

მოსკოვი, 22 აპრილი. ამ დღეებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ გამოიკვლია საბჭოთა ფილარმონიულ საზოგადოების მუშაობა. გამოკვლევამ გამოაშკარავა მთელი რიგი უმზგავსოებანი. გამოირკვა, რომ საზოგადოების დეფიციტი უდრის 50.000 მანეთს, მაშინ როცა მთელი ძირითადი საბრუნავი თანხა უდრის 82.000 მანეთს.

გარდა ამისა კომისია აღნიშნავს, რომ საბჭოთა საკავშირო ფილარმონიული საზოგადოება აწესებდა არაჩვეულებრივად დიდ ჰონორარს ზოგიერთ მსახიობებისათვის. ასე, მაგალითად, ცნობილ ტენორს სმირნოვს, თითო გამოსვლაში ეძლეოდა 1.200 მანეთი. ასევე დიდი ჰონორარი ეძლეოდა მომღერალ ლიპკოვსკაიას ქალს და სხვ.

ამავე დროს ფილარმონიული საზოგადოება ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მუშათა მასების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მუშათა კონცერტები შემთხვევით ხასიათს ატარებდნენ და მოკლებული იყვნენ მხატვრულ ღირებულებას. საკავშირო ფილარმონიულ საზოგადოების მუშაობის გასაჯანსაღებლად, კომისია საჭიროდ სცნობს, რომ მოხდეს ხელმძღვანელი აპარატის გადახალისება. გარდა ამისა დამნაშავეები მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

უკანასკნელი ცნობები

1 მაისის დღესასწაულის ჩამტარებელი ცეკას მოწოდება

ბერლინი, 21 აპრილი. 1 მაისის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ბერლინის საწარმოთა მუშებმა აირჩიეს, გამოაქვეყნა მოწოდება. ცენტ. კომიტეტი მოუწოდებს მუშებს—გამართონ საპირველმაისო დემონსტრაცია, მიუხედავად პოლიციის აკრძალვისა. მოწოდებაში ნათქვამია:

„თუ ბერლინის პოლიცეი - პრეზიდენტი, სოციალ დემოკრატი ცერგიბელი გაბედავს 1 მაისს გამოიწვიოს შეტაკება და მუშათა სისხლის დაღვრა, მუშებმა ამაზე მასიური გაფიცვით უნდა უპასუხონ. (ადს).

დეპუტატ გრინბაუმის გაჩხრეკა

ვარშავა, 21 აპრილი. დეპუტატ გრინბაუმის შვილის დაპატიმრების გამო (აბრალებენ თანამონაწილეობას კომუნისტურ მოძრაობაში), გაჩხრიკეს დეპუტატის ბინა. ჩხრეკის დროს იპოვნეს გრინბაუმის მეორე შვილის 15 წლის გიმნაზიელის დღიური. ამ დღიურმა პოლიციას მისცა საბაბი — დეპუტატის უმცროსი შვილისათვის დაებრალებია კომუნიზმისადმი თანაგრძობა.

როგორც პრესა იუწყება, პასუხისგებაში გრინბაუმის უმცროსი შვილიც მისცეს. მას აბრალებენ შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ. (ადს).

ინგლის - საფრანგეთის კავშირს საფრთხე მოელის

პარიზი, 21 აპრილი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა ეყრდნობა რა სნოუდენის განცხადებას, გადაჭრით აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის გამარჯვება ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში საფრთხეს შეუქმნის ინგლის-საფრანგეთის ანტანტას. (ადს).

თურქეთის ელჩი ბერლინში

ბერლინი, 21 აპრილი. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ რუშდი-ბეი ჟენევიდან ბერლინში ჩამოვიდა. (ადს).

საპროტესტო დემონსტრაცია

ლონდონი, 21 აპრილი. ლონდონის ცენტრში რემედასის ინიციატივით ჩატარდა დიდი დემონსტრაცია, რომელიც მოწყობილი იყო ინდოეთის მუშათა მოძრაობის ბელადების დევნის საპროტესტოდ. (ადს)

ჟურნალ „ტაგებუხის" რედაქტორის საქმე

ბერლინი, 21 აპრილი. განახლდა ყოველკვირეულ ჟურნალ „ტაგებუხ"-ის რედაქტორის საქმის გარჩევა. საქმე აღძრა პროკურორმა იერნსხემმა, რომელმაც დაარღვია ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მკვლელობის შესახებ დაწყებული გამოძიება და ხელი შეუშალა გამოძიებას რაიმე არსებითი შედეგები მოეტანა. ჟურნალმა იერნსხემის აღნიშნული საქმიანობის შესახებ გამოაქვეყნა ვრცელი გამამჟღავნებელი ცნობები, რომლის შესახებაც მიღებულ იქნა კიდევ ახალი დამადასტურებელი ფაქტები. ლიბკნეხტთან და ლიუქსემბურგთან ერთად დაპატიმრებული იყო კომუნისტი დეპუტატი—პიკი, რომელიც დაღუპვას მხოლოდ შემთხვევისა და ნებისყოფის სიმტკიცის წყალობით გადარჩა. პიკმა უამბო სასამართლოს იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა კონტრ-რევოლიუციონერთა ჯარების შტაბში და აღნიშნა, რომ ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მკვლელობაში მთავარ როლს თამაშობდენ კაპიტანი პაბსტი, გარტუნგი და ჯარისკაცი რუნგე.

სენსაცია გამოიწვია მოწმის ყოფილ ოფიცერ ლიპმანის, ვითომ დაკარგვის შემდეგ ხელახლა გამოჩენამ. ლიპმანი უფროსობდა იმ რაზმს, რომელსაც მიჰყავდა ლიბკნეხტი. ლიპმანმა აღიარა, რომ ის ისროდა ლიბკნეხტის წაყვანისას გზაში, მაგრამ ისროდა ჰაერში. სკანდალურია ის გარემოება, რომ ლიპმანი, რომელსაც ბრალდება მკვლელობაში მონაწილეობა, ამჟამად ხელისუფლების ცნობით, მსახურობს სასამართლოს უწყებაში.

კომუნისტების დევნა თურქეთში

სტამბოლი, 21 აპრილი. ამ დღეებში კვლავ დააპატიმრეს 13 მუშა, რომელთაც აბრალებენ კომუნისტური ორგანიზაციის წევრობას. სულ სტამბოლში დაპატიმრებულია 22 კაცი. გაზეთ „მილიეთ"-ის ცნობით აღმოჩენილია საიდუმლო ორგანიზაციების მთელი ქსელი, რომლის ცენტრი სტამბოლში არსებობდა.

პოლიციამ აღმოაჩინა არალეგალური ბინა, სადაც თითქოს ნაპოვნია სტამბოლის ცეკას ინსტრუქციები, პროვინციის ორგანიზაციებისადმი. აღმოჩენილია აგრეთვე დიდძალი კომუნისტური მოწოდებები და არალეგალური საბეჭდი დაზგები. (ადს).

ელექტრომშენებლობა საქართველოში

გადაწყვეტილია ზაჰეს-რიონჰესის გაფართოება

მოსკოვი, 22 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თათბირმა აღნუსხა ღონისძიებანი ელექტრო მშენებლობის განვითარებისათვის საქართველოში.

შავი ქვის კომბინატის ელექტრო ენერგიით უზრუნველსაყოფად თათბირმა საჭიროდ სცნო ზაჰესის ძალოვნების გაფართოვება 11-12 ათასი კილოვატით და რიონჰესის თავდაპირველი ძალოვნების გადიდება 20-21 ათასი კილოვატით. სადგურების გასაფართოვებლად საჭირო მუშაობა უნდა შეტანილ იქნას 1929-30 წლის კაპიტალური მშენებლობის დაჯავშნულ მინიმუმში. სადგურების გაფართოვება მოითხოვს დაახლოვებით 9 მილ. მანეთის ხარჯებს.

ფერო მარგანეცის წარმოების შემდგომი გაფართოვება მოითხოვს ახალი ელექტრო სადგურის აგებას დასავლეთ საქართველოში. „გლაველექტროს" ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ხრამის ან ლავფარავანის სადგურის აგება. მისი ძალოვნება განისაზღვრება 100.000 ცხენის ძალით, მისი საორიენტაციო ღირებულება 32-35 მილ. მანეთით (ადს).

ნავთის მრეწველობის ძირითადი ტრესტების მუშაობა

მოსკოვი, 22 აპრილი. ნავთის მრეწველობის ძირითად ტრესტებში ნავთის ამოღება ნახევარი წლის განმავლობაში 2,1 პროცენტით აღემატება გეგმით ნავარაუდევ რაოდენობას. ამასთან პროგრამა სრულად არ შესრულებულა: „აზნავთ"-ში—1,7 პროცენტით და „ემბანავთ"-ში—0,6 პროც., გროზნავთმა კი პროგრამას გადააცილა 10,7 პროცენტით. არახელსაყრელი შედეგებია ამბურღვის სამუშაოთა დარგში. ყველა ტრესტმა მუშაობა ამ დარგში შეასრულა გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ 83,9 პროცენტით.

ნავთის პროდუქტების გადამუშავების საქმეში განსაკუთრებით საგრძნობლად გადამეტებით შესრულდა პროგრამა (20 პროც. მეტი) „გროზნავთ"-მა. წინასწარი ცნობების მიხედვით, „აზნავთ"-ი ვერ შეასრულებს დავალებას თვითღირებულების შემცირების საქმეში. „გროზნავთ"-ში და „ემბანავთ"-ში კი, პირიქით, თვითღირებულება საგრძნობლად შემცირდა. ნავთის პროდუქტების რეალიზაციამ „ნეფტესინდიკატ"-ის ცნობებით, წლის პირველ ნახევარში გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას 55 პროცენტით გადააჭარბა. (ადს).

ამიერ-კავკასიის პარტისის დაარსება

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების წევრებს

ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტმა დაარსა ამიერ-კავკასიის პარტისი, რომლის მიზანია მასალების დამუშავება კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკ. პარტისი პირველად შეუდგა „კავკასიის საკავშირო კომიტეტის" (1903—1907 წ.) და უკანასკნელი პარტიული არალეგალური მუშაობის (1918—1921 წ.) ისტორიის მასალების დამუშავებას.

პარტიის საოლქო კომიტეტი ფიქრობს, რომ ეს მუშაობა საკმაოდ ფართოდ შეიძლება გაიშალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სათანადო ყურადღებით მოეკიდება ფართო პარტიული საზოგადოებრიობა.

იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოს პარტისის მუშაობას, პარტისთან შეიქმნებიან ხელისშემწყობი ჯგუფები. ამ ჯგუფებში უნდა შევიდნენ როგორც ის ამხანაგები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ამა თუ იმ პერიოდის რევოლიუციონურ მოძრაობასთან ამიერკავკასიაში, ისე ის ამხანაგები, რომელთაც აქვთ მინიმალური ისტორიულ-მეცნიერული მომზადება და შეუძლიათ დახმარება გაუწიონ პარტისს საარქივო მასალის და პერიოდული პრესის დამუშავებაში.

მხოლოდ ყველა ამხანაგის ყოველმხრივი დახმარება, მხოლოდ პარტისის ხელისშემწყობი ჯგუფების აქტიური მოქმედება შეაძლებინებს საოლქო კომიტეტს ჯეროვანად განავითაროს და სათანადოთ გააფართოვოს ეს მუშაობა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი—
მ. ორახელაშვილი.
პარტისის საბჭოს თავმჯდომარე —
მიხა ცხაკაია.
საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პარტისის განყოფილების გამგე—**სეფი.**

მშრომელ ქალთა კულტურული ლაშქრობა

(25 აპრილიდან—25 მაისამდე)

საქართველოს კომპარტიის (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებს

ქალთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო ლაშქრობა მიზნად ისახავს გადამჭრელი გარდატეხის მიღწევას ქალთა წერაკითხვის უცოდინარობასთან და უკულტურო-ყოფაცხოვრებასთან ბრძოლის საქმეში და ხელის შეწყობას ყველა იმ დეფექტის აღმოფხვრისათვის, რასაც ადგილი აქვს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობაში, რომელსაც ისინი ეწევიან მუშათა კლასის და გლეხობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ლაშქრობის მონაწილეთა კონკრეტული მუშაობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მომენტებს:

1) სალიკვიდაციო პუნქტების მუშაობის გამოკვლევა იმის გამოსარკვევად, თუ: ა) როგორია მუშაობის პირობები, ბ) რა ღონისძიებებია მიღებული სალიკვიდაციო პუნქტებში ქალთა ჩასაბმელად, გ) რამდენი ქალი დაიარება სალიკვიდაციო პუნქტებში, დ) რა მიზეზები აბრკოლებენ ქალების შესვლას სალიკვიდაციო პუნქტებში, ე) რა ღონისძიებათა მიღება არის საჭირო იმისათვის, რომ უფრო მეტი ქალები ჩაებან სალიკვიდაციო პუნქტებში, ვ) როგორ მუშაობენ ქალთა სალიკვიდაციო პუნქტები.

2) ბაგებისა და საბავშო სახლების გამოკვლევა იმის გამოსარკვევად, თუ: ა) საერთოდ როგორ არის დაყენებული მუშაობა, ბ) რა მდგომარეობაშია ბავშების კვება, გ) როგორ მიმდინარეობს აღმზრდელობითი მუშაობა, დ) სრულიად დატვირთულნი არიან თუ არა აღმზრდელი ქალები, ე) რამდენად მცირდება ერთი ბავშის შენახვის თვითღირებულება, ვ) რა მონაწილეობას იღებენ საბავშო დაწესებულებათა მუშაობაში მიმაგრებული დელეგატები.

3) ყაზარმების, მუშათა უბნების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ქალთა კლუბების, გლეხ-ქალთა სახლების, ცალკე მეურნეობების და სხვ. გამოკვლევა — სიბინძურესთან, დაუდევრობასთან, თავისი და საზოგადოებრივი ქონებისადმი უყურადღებოდ მოპყრობასთან, საყოფაცხოვრებო ცრუ შეხედულებებსა და ჩვეულებებთან, საქორწინო ჰასაკის, ალიმენტების, ქონების გაყოფის შესახები კანონების შეუსრულებლობასთან, ქალისადმი უხეშ არა ამხანაგურ მოპყრობასთან, ლოთობასთან, ბავშთა უპატრონობასთან და მათ ცუდ აღზრდასთან (ცემა, უხეში მოპყრობა, ცუდი სანიტარული მოვლა) ბრძოლის მიზნით.

4) სკოლებისა და ეროვნულ უმცირესობათა ტეხნიკუმების გამოკვლევა იმის გამოსარკვევად, თუ: ა) რამდენად არიან ჩაბმულნი სკოლებში ქალიშვილები, ბ) რა მიზეზები იწვევენ მათ მცირედ ჩაბმას ან სრულებით ჩაუბმელობას, გ) რამდენი პროცენტია ჩაბმული და ამის მიზეზები, დ) რა დახმარება ეწევა ღარიბ ქალიშვილებს ღარიბთა ფონდებიდან, ე) რა დამოკიდებულებაა მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის, ვ) როგორია სკოლების საერთო მდგომარეობა: გათბობა, სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფა და სხვ.

5) საავადმყოფოების გამოკვლევა იმის გამოსარკვევად, თუ: ა) როგორია საავადმყოფოს საერთო მდგომარეობა, ბ) როგორ ეპყრობა საექიმო პერსონალი ავადმყოფებს, გ) რა მდგომარეობაშია ავადმყოფთა კვება.

6) პიონერთა რაზმების გამოკვლევა იმის გამოსარკვევად, თუ: ა) აქვს თუ არა რაზმს შეკრებისათვის მოხერხებული სადგომი, ბ) ჰყავს თუ არა მას ხელმძღვანელი, გ) აქვს თუ არა სასწავლო ხელსაწყოები, დ) როგორია ვაჟებისა და ქალების ურთიერთ დამოკიდებულება რაზმში, ე) მათი პროცენტული შეფარდება, ვ) რა დახმარებას უწევენ რაზმს საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული ორგანიზაციები და მიმაგრებული დელეგატი ქალები.

7) კოოპერატიული მაღაზიებისა და პურის საცხობების გამოკვლევა იმის გამოსარკვევად, თუ: ა) რა მიზეზები იწვევენ პურის ცუდად ცხობას, ბ) რამდენად სუფთად სწარმოებს მუშაობა, გ) ფქვილისა და პურის მთელი მიღებული მარაგი აღწევს თუ არა მომხმარებლამდე, დ) ხომ არა აქვს ადგილი ბოროტმოქმედებას პურის წიგნაკებით, ე) როგორ მოისპოს რიგები.

8) საზოგადოებრივი სასადილოების გამოკვლევა იმ მიზნით, რომ: ა) გამოეცხადოს ბრძოლა სიბინძურეს, დაუდევრობას, რიგებს, ბ) გამოირკვეს სადილების გაუმჯობესების საშუალება, გ) გაეწიოს კონტროლი საკვები პროდუქტების, პირველ რიგში პურის, ეკონომიურად ხარჯვას.

ცეკა აღნიშნავს, რომ საყოფაცხოვრებო ლაშქრობის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად იქნებიან ჩაბმულნი ამ მუშაობაში მუშა და გლეხ-ქალთა ფართო მასები.

9) იმ მიზნით, რათა მშრომელ ქალთა მასებმა ყურადღება მიაქციონ საყოფაცხოვრებო ლაშქრობას, საჭიროა დაიწყოს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია, რისთვისაც ეს საკითხი დამუშავებულ უნდა იქნას ქალთა აქტივის კრებებზე, მუშათა საერთო კრებებზე, საბინაო - საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა კრებებზე ქალთა სპეციალურ კრებებზე, და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშა და გლეხ-ქალთა აქტივმა (საბჭოების, ფაბქარხადგილკომების სექციების, გლეხკომების წევრებმა და სხვ.). განსაკუთრებით სერიოზულად უნდა მოვამზადოთ ამ საქმისათვის მუშა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები, რომელნიც დასაყრდენ პუნქტებს უნდა წარმოადგენდნენ კულტურული ლაშქრობის ჩასატარებლად წარმოებულ მთელ მუშაობაში.

ლაშქრობის ჩატარებაში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღოს პრესამაც, ცენტრალურმა და კედლის გაზეთებმა, რისთვისაც მათ უნდა გამოჰყონ ლაშქრობის კუთხე, როგორც ახსნა-განმარტებითი მუშაობის დროს, ისე მთელი ლაშქრობის ჩატარების პროცესში.

10) ლაშქრობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის, რაიონული და სამაზრო კომიტეტების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებთან უნდა შეიქმნას კომისიები კომკავშირის, საბჭოების, პროფკავშირების და კოოპერაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამ კომისიებმა უნდა შეიმუშავონ საყოფაცხოვრებო ლაშქრობის კონკრეტული გეგმა და გაატარონ ლაშქრობასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

ა) საწარმოებში უნდა შეიქმნან კომისიები ქალთა ორგანიზატორის, კომკავშირის უჯრედისა და საფაბრიკო კომიტეტის წარმომადგენლების და სადელეგატო კრების რწმუნებულის შემადგენლობით.

ბ) სოფლად კომისიებში უნდა შევიდნენ უჯრედის, საბჭოს, მიწა-ტყის კავშირის და სადელეგატო კრებების წარმომადგენელნი.

11) საყოფაცხოვრებო ლაშქრობის მონაწილენი უნდა დანაწილდნენ ჯგუფებად 3—5 კაცის შემადგენლობით და დელეგატი ქალის მეთაურობით, ყოველი ცალკე დაწესებულების გამოსაკვლევად.

12) ყოველი ჯგუფისათვის შემუშავებულ უნდა იქნას გამოკვლევის კონკრეტული გეგმა, რომელიც შედგენილ უნდა იქნას უჯრედთან და გამოსაკვლევ საწარმოს ხელმძღვანელთან ერთად.

13) ყოველმა ჯგუფმა გამოკვლევის შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელთან ერთად უნდა შეიმუშაოს კონკრეტული პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა გატარებაც საჭიროა ამ დაწესებულების მუშაობის გასაუმჯობესებლად და დაისახოს ის პრაქტიკული დახმარება, რომელიც უნდა გაუწიონ ამ საქმეს თვით მუშა და გლეხმა ქალებმა.

14) ყოველმა ჯგუფმა სადელეგატო კრებაზე, გამოკვლეული დაწესებულების ხელმძღვანელის თანდასწრებით, უნდა გააკეთოს მოხსენება მუშაობის შედეგებისა და მის მიერ დასახული ღონისძიებების შესახებ.

15) საყოფაცხოვრებო ლაშქრობის დამთავრების შემდეგ საწარმოს მუშათა საერთო კრებაზე (ხოლო სოფლებში — სოფლის ყრილობაზე) უნდა დაისვას მოხსენება ლაშქრობის საერთო შედეგების შესახებ და გამოტანილ იქნას პრაქტიკული წინადადებები საყოფაცხოვრებო ლაშქრობით დასახულ ღონისძიებათა შემდგომი ხანმტკიცებისათვის.

16) მოხსენებები ლაშქრობის შედეგების შესახებ საჭიროა ჩატარდეს სადელეგატო კრებების საქალაქო ან რაიონულ პლენუმებზე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **ლ. სუხიშვილი.**

ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგის მოადგილე **ბებეშიძე**

პარტიაში

კლასობრივი მტერი იწონებს მემარჯვენეთა პოზიციას

„სამარცხვინო და საზიზღარია იმ მერყევ კომუნისტების როლი, რომლებიც სუბიექტიურად რჩებიან პროლეტარიატის პოზიციებზე, მაგრამ კონტრ-რევოლიუციის გასახარებლად უმსგავსო ცილს სწამებენ პარტიას, ახასიათებენ რა მის ლენინურ ხაზს სამხედრო ფეოდალური რეჟიმის განხორციელების ხაზად".

მემარჯვენე უკლონისტების არა სახარბიელო ხვედრი

მუშათა კლასის მტრები ჩაებღაუჭნენ უმსგავს ცილისწამებას მემარჯვენე ოპორტუნისტებისას, რომლებიც ცდილობენ პარტიის ხაზი დასახონ გლეხობის „სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის" ხაზად, „ხანების ხარკის" ხაზად. კლასობრივი მტერი ანვითარებს მემარჯვენეთა პოზიციას და აქედან თავისი ლოღიკური დასკვნები გამოჰყავს.

მილიუკოვის „ პოსლედნიე ნოვოსტი"-ს 17 მარტის მოწინავე წერილი აუწყებს მკითხველებს მემარჯვენე გადახრის საიმედო წარმატებას.

„გლეხობისა და „პროლეტარული" დიქტატურის ურთიერთობას ახასიათებს „სამხედრო - ფეოდალური" რეჟიმი, — სწერს „პოსლედნიე ნოვოსტი". ეს „სოციალიზმის მშენებლობა" წარმოადგენს „ხანების ხარკის" სისტემას. ასეთია, როგორც ეტყობა, ზოგიერთი მემარჯვენეების ძირითადი აზრი".

კადეტთა გაზეთი ტაშს უკრავს კულაკური ელემენტების აღმგზნებელ ლოზუნგების უხეირო შემთხვევებს და ამავე დროს საჭიროდ სცნობს აღნიშნოს თავისი პირველობა მემარჯვენე თეორიების აღმოჩენის საქმეში.

„ზოგიერთმა მეთვალყურეებმა, — სწერს გაზეთი,— დიდი ხანია უფრო ფართო მასშტაბით გამოარკვიეს, რომ სამხედრო კომუნიზმი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ „სახელმწიფოებრივი ბატონყმობის" სისტემას და „ბატონყმური წყობილების" ელემენტი შენარჩუნებულ იქნა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც. უეჭველია, დაფნის გვირგვინი „სამხედრო-ფეოდალური რეჟიმის" აღმოჩენის პირველობაში სამართლიანად უნდა მოვაკუთვნოთ კადეტ „მეთვალყურეებს".

მილიუკოვის ორგანო, აღნიშნავს რა მემარჯვენეების მიერ აღიარებულ „ხანების ექსპლოატაციის" ფაქტს, მკითხველებს აწვდის „გაშლილ - განვითარებულ პროგრამას", რომელიც ასეთი აღიარებიდან გამომდინარეობს. კადეტთა გაზეთის აზრით, მემარჯვენე უკლონისტთა პოზიციას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს საბჭოთა წყობილების დარღვევის საქმეში.

„შეიძლება ეჭვი დაგვებადოს, იმაში, — სწერს „პოსლედნიე ნოვოსტი", — თუ რამდენად აქვთ შეგნებული ეს ლოღიკური დასკვნები ყველაზე უფრო გაბედულ „მემარჯვენეებს". მაგრამ საბჭოთა რეჟიმის კრიზისის განვითარებაში შეუძლია ერთგვარი როლი შეასრულოს ასეთი თეორეტიული დებულებიდან გამომდინარე შეკვეცილ კომპრომისულ პროგრამასაც კი".

„ხანების ხარკის" აღიარებიდან გამომდინარეობს მემარჯვენეთა „პირველი მოთხოვნა" — ფასების შესახებ. „პოსლედნიე ნოვოსტი" იწონებს ამ მოთხოვნას და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „ფასების ასეთი პოლიტიკა მკვეთრ მახვილს ჩასცემს საბჭოთა მრეწველობას მისი ეხლანდელი ორგანიზაციის პირობებში".

მას შემდეგ, რაც ფასების პოლიტიკის საშუალებით „მკვეთრი მახვილი" მოხვდება ინდუსტრიალიზაციას, „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს აზრით, მახვილი უნდა ჩაეცეს „ხორცმეტ საგარეო ვაჭრობას". უნდა მოხდეს არა ამ „ხორცმეტის" რეფორმა,— ურჩევს გაზეთი ჩვენს „გლეხთა მოტრფიალეებს", — არამედ მისი ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა". ეს საქმეს „გაუადვილებს" კულაკს, რომელიც კადეტთა ორგანოს ფურცლებზე გლეხის ფართო ფსევდონიმით არის გამოყვანილი, ეს შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაფურჩქვნას სოფლად. „უეჭველია, — განაგრძობს „პოსლედნიე ნოვოსტი",— საჭირო იქნება უფრო შორს წასვლა: არა მარტო „ეკონომიური დიქტატურის" (ფასების პოლიტიკის) ლიკვიდაცია, არამედ მთელი დიქტატურის ლიკვიდაცია".

კადეტები თანმიმდევრობას ურჩევენ ყველას, ვინც სოციალიზმის მშენებელი პროლეტარული დიქტატურის ცნებას სცვლის „სამხედრო - ფეოდალური რეჟიმის" ცნებით.

„მაგრამ კერძო ვაჭრობის აღდგენა და მისი იურიდიულად უზრუნველყოფა „კურსის შეცვლით", სახელმწიფო ვაჭრობის პარაზიტული ორგანოების ლიკვიდაცია და დიქტატორული ხელმძღვანელობისაგან კოოპერაციის განთავისუფლება ჯერ კიდევ ვერ შეუქმნიან ახალ საფუძველს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, თუ „ინდუსტრიალიზაციას" გზა არ გაეხსნება ეკონომიურად საღსა და ქვეყნის საჭიროებათა შესაფერ საფუძვლებზე, ესე იგი თუ მრეწველობის დარგიც და კრედიტის დარგიც არ გაეხსნება კერძო თაოსნობას, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება უცხოეთის სამრეწველო და ფინანსიური წყაროებთან კავშირის გაბმის საშუალება ნორმალურ ევროპიულ და არა კოლონიალურ - საკონცესიო საფუძველზე, რომელიც შეეფერება „სამხედრო- ფეოდალურ რეჟიმს".

მართალია, ცოტა უმეცრად, მაგრამ საკმაო გულიხმიერებით სწერენ კადეტი პროფესორები. საჭიროა მხოლოდ, როგორც იტყვიან, სინდისიერად იქნას მოფიქრებული მთელი „მდიდარი" შინაარსი „ფილოსოფიისა", რომელსაც უნარი შესწევს ილაპარაკოს „სამხედრო - ფეოდალური რეჟიმის" შესახებ. ეს შინაარსი იმდენად ფართოა, რომ იქიდან, თურმე, გაუჭირვებლად შეიძლება, (თუ „თანმიმდევრობა" იქნება გამოჩენილი), გამოყვანილ იქნას პროლეტარიატის დიქტატურის სრული ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის, კაპიტალისტური სახელმწიფოებრივობის ასპროცენტიანი რესტავრაციის პროგრამის ყველა მთავარი ელემენტი. „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს მოწინავე წერილში განმარტებულ ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემას, ცხადია, უეჭველად ერთვის პოლიტიკური დასკვნებიც—„სამოქალაქო თანასწორობის დამყარება". კაპიტალისტური ექსპლოატაციის შხამ-სამსალას გახრწნილი ბურჟუაზიული დემოკრატიის საფანელი სჭირდება.

ამგვარად, უმეცარი, დანაშაულებრივი ცილისწამებიდან გამომდინარე დასკვნების ჯამი შეიძლება ჩამოყალიბდეს მოკლედ და მკაფიოდ:

„მოკლედ თუ ვიტყვით,— სწერს „პოსლედნიე ნოვოსტი", — „სამხედრო-ფეოდალური რეჟიმის" ლიკვიდაციის გაშლილ-განვითარებული პროგრამა უნდა გადაქცეულიყო მთელი კომუნისტური დიქტატურის ლიკვიდაციის პროგრამად".

გაკოტრებული „ფილოსოფოსების", პროლეტარიატის დაუძინებელი მტრების პოზიცია თავისებურად მართალია.

მაგრამ სამარცხვინო და ზიზღის მომგვრელია იმ არათანამიმდევარ კომუნისტთა პოზიცია, რომლებიც თუმცა სუბიექტიურად რჩებიან პროლეტარიატის პოზიციებზე, მაგრამ კონტრ - რევოლიუციის გასახარებლად უმსგავსო ცილს სწამებენ პარტიას და მის კლასობრივ ლენინურ ხაზს სამხედრო-ფეოდალური რეჟიმის განხორციელების ხაზად ახასიათებენ. მათ უნდა მოუწოდოთ, თანმიმდევარნი იყვნენ. ან პარტიასთან ერთად იყავით — და მაშინ უარჰყავით ის შეცდომები, რომლებიც მუშათა კლასის გზიდან კაპიტალისტური რესტავრაციის გზაზე გაყენებთ, ან პარტიის გარეშე დადექით თქვენი კულაკური ფილოსოფიით, რომელიც არ ეგუება ლენინიზმის პოზიციებს.

„პრავდა", 21 აპრილი.

პარტიის ხაზის სადარაჯოზე

(გურიის სამაზრო კომიტეტის პლენუმი)

21 აპრილს, საღამოს 3 საათზე გაიხსნა ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული მეორე პლენუმი, თემკომის მდივნებისა და ქალაქის პარტაქტივის მონაწილეობით. პლენუმი გახსნა ამხ. **ბარამიძემ.** დღის წესრიგში დგას ფრიად საჭირბოროტო და სერიოზული საკითხები, შინაპარტიული მდგომარეობა (მომხსენებელი **ს. თოდრია**), კოლმეურნეობათა ამოცანები ოზურგეთის მაზრაში— **ცაგარელი,** პარტწმენდის ამოცანები — **ს. მეგრელიშვილი,** 1928 — 29 წლის საბჭოთა გადარჩევის შედეგები — **გურგენაძე** და დარაიონების წინასწარი სამზადისი — **ბარამიძე.**

შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ, სიტყვა მიეცა ამხ. თოდრიას, რომელსაც პლენუმი მქუხარე ტაშით შეხვდა. მომხსენებელი ფართედ აშუქებს პარტიის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ სხვადასხვა სიძნელეების გამო ჩვენს პარტიაში არა ერთხელ წარმოშობილა გადახრები, მაგრამ პარტია ყოველთვის მთლიანი რჩება.

ამჟამად პარტიის მთავარი ამოცანაა სისტემატიური ბრძოლის წარმოება მემარჯვენე გადახრისა, ამავე დროს, ტროცკისტული ოპოზიციის კონტრ - რევოლიუციონურ ნაშთებისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ.

პლენუმის რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულ იქნა ამხ. ს. თოდრიას მოხსენების გამო, ნათქვამია:

„მემარჯვენეები პარტიაში დეზორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან. მემარჯვენე გადახრა ისევე საშიშია, როგორც „ულტრა-მემარცხენე" კონტრ - რევოლიუციონური გადახრა — ტროცკიზმი. მემარჯვენეთა ხელმძღვანელებმა უნდა უარჰყონ თავიანთი პლატფორმა და დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას. მემარჯვენე გადახრასთან ნაკლები ბრძოლა არ არის საჭირო, ვიდრე „მემარცხენე" გადახრის ნაშთებთან. პლენუმი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას — დაიცვას მე-15 ყრილობის დადგენილებანი".

ამხ. ბარამიძის მოხსენების თანახმად, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ოზურგეთის მაზრის დარაიონებას მთლიანად და მის შეერთებას ფოთის ოლქთან. საჭიროდ იქნა ცნობილი სასოფლო-საბჭოების ქვედა ქსელის გადიდება 63 საბჭომდე, 3 რაიონის დამტკიცება (ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის), სათანადო კამპანიების ჩატარება ქვედა უჯრედებში და შუამდგომლობის აღძვრა სუფსა-ფოთის გზა-ტკეცილის შეკეთების შესახებ.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა მე-16 საკ. პარტკონფერენციას, ფოთის, სენაკის და ზუგდიდის პარტკომებს.

მისალმება მე-16 პარტკონფერენციას.

ოზურგეთი, 22 აპრილი. გურიის კომიტეტის პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მე-16 საკავშირო პარტკონფერენციას.

„მხურვალე სალამი მე-16 პარტკონფერენციას—ნათქვამია მისალმებაში—პარტიული ორგანიზაციები მოელიან კონფერენციისაგან ბოლშევიკურ გადაწყვეტილებას ყოველგვარი გადახრის, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.

პარტიული აქტივის გადამზადებისათვის

პარტიული მასები და განსაკუთრებით, მათი აქტივი ყოველთვის გარკვეული უნდა იყოს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში. ამიტომაც, პარტიული აქტივის მომზადება - გადამზადება პარტგანათლების მორიგ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

პარტიული აქტივი იყოფა ორ ფენად: 1. ძირითად პარტორგანიზაციების მუშაკები, 2. სამაზრო სარაიონო და საოლქო მუშაკები. არც ერთი მათგანის გადამზადების საქმე არაა მოგვარებული, რაც უარყოფით დაღს ასვამს მთელ ჩვენს მუშაობას. 1929 წლიდან უჯრედების, თემკომების, რაიკომების მდივნებისათვის მოეწყო დაუსწრებელი სწავლება ა.-კ. კომუნივერსიტეტთან, რომელშიაც ჩაბმულია 85 კაცი. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. პარტიული აქტივის კურსებზე 1927 წ. გატარდა 60 კაცი, 1928 წ. ასეთი კურსები სრულიად არ მოწყობილა. ამრიგად პარტმუშაკების გადამზადების მხრით ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩით.

ეხლა თითქმის ყველა პარტმუშაკი გადასამზადებელია, მაგრამ ერთბაშათ ეს მოუხერხებელია. წელს ამ მხრით მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გადადგმული, მოეწყობა როგორც ქვედა აქტივის, ისე სამაზრო - საოლქო პარტმუშაკების კურსები. საქ.-კ. პ. (ბ) ცეკამ შეიმუშავა ღონისძიებანი პარტიული აქტივის თეორეტიულ და პრაქტიკული კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს და ხელი შეუწყონ მის მოგვარებას. ამ წელში ქვედა პარტმუშაკებისათვის თბილისში მოეწყობა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები. სამაზრო - საოლქო მუშაკებისათვის 3 თვიანი კურსები (ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიერ). ქვედა პარტაქტივის კურსებზე გატარდება 230 კაცი; სამაზრო-საოლქოზე — 30-დე.

ვინაიდან გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ზაფხულში მოწყობილი კურსები ნაკლებ შედეგებს იძლევა, ამიტომ უფრო მიზანშეწონილად იქნა ცნობილი გადამზადების დაწყება გაზაფხულიდან. კურსები იქნება მოწყობილი სამ ცვლად. მათი მეცადინეობა გაგრძელდება ივლისამდე.

პირველად მაზრებიდან გამოწვეულია 60 კაცი, რომელთაგანაც შესდგება ორი ჯგუფი. მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე. შემდეგ გამოწვეული იქნება ნაცუმცირესობათა პარტმუშაკები, რომლებმაც ქართული ენა არ იციან, მათთვის მეცადინეობა მოეწყობა რუსულ და თურქულ ენებზე, ბოლოს შესდგება ისევ ქართული ჯგუფები. კურსების სამ ცვლად განაწილების მიზანია, რომ ამხანაგების ადგილებიდან დროებით მოწყვეტამ არ შეაფერხოს მუშაობა.

აჭარისტანში, აფხაზეთში, სამხ.-ოსეთში და ახალქალაქში კურსები მოეწყობა ადგილობრივად, ადგილობრივ ენებზე.

პარტაქტივის კურსებზე 30 ადგილი ეთმობა კომკავშირის მუშაკებს.

სამაზრო და საოლქო მუშაკების კურსები მოეწყობა ზაფხულიდან ქალაქს გარეთ.

ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ მსმენელები თავის დროზე გამოიგზავნონ თბილისში. არ უნდა განმეორდეს ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1927 წ., როცა ზოგიერთ მაზრას სავსებით არ გამოუყენებია მისთვის მიცემული ადგილები.

რასაკვირველია, შეუძლებელია მარტო ამ კურსებით დაკმაყოფილება. ყველა პარტიულ მუშაკს უნდა ჰქონდეს შეგნებული ცოდნის შეძენის მნიშვნელობა და ებმებოდეს პარტგანათლების ქსელის საშუალო საფეხურებში (საღამოს პარტსკოლები, მარქსისტ - ლენინური, მიმდინარე პოლიტიკის და თემატური წრეები). დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თვითგანვითარებას, ეს ყველაზე მისაღები, ყველაზე ადვილი და იაფი საშუალებაა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობით დატვირთულ ამხანაგების კულტურულ - პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

დ. ორაგველიძე.

ბათომის კომკავშირი პარტწმენდის შესახებ

ბათომი, 22 აპრილი. მოხდა პარტიული და უპარტიო ახალგაზრდობის საერთო საქალაქო კრება, რომელზედაც პარტიის გენერალური წმენდის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. სტურუა.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრებას დროულად და საჭიროდ მიაჩნია პარტიის წმენდა. პარტიის წმენდა, რომელიც ხდება იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის გზაზე მრავალი სიძნელე ელობება, გააძევებს პარტიიდან სოციალურად უცხო, მოტმასნილ, გაბიუროკრატებულ, გახრწნილ და იდეურად მერყევ ელემენტებს, უფრო მეტად განამტკიცებს პარტიის იდეურად და ორგანიზაციულად და უზრუნველჰყოფს მის მთლიანობასა და მონოლიტობას. აქტივი გრძნობს რა მთელ პასუხისმგებლობას და მომავალი წმენდის მნიშვნელობას, აღუთქვამს პარტიას, რომ ყოველ მხრით ხელს შეუწყობს წმენდის წარმატებით ჩატარებას. (ადს).

სომხეთის ა. ლ. კ. კ. 10 წელი

ლენინაკანი, 22 აპრილი. სომხეთში ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის დაარსებიდან 10 წლის შესრულების გამო, 20 აპრილს, საღამოთი, თეატრში მოხდა კომკავშირის აქტივის სხდომა კავშირებისა და ჯარის ნაწილთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

მისალმებით გამოვიდნენ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელნი. 21 აპრილს გაიმართა დიდი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მუშა ახალგაზრდობამ. პიონერ. ორგანიზაციამ და გარნიზონის ნაწილებმა. (ადს).

უცხოეთის პრესა ჭიათურის მარგანეცის შესახებ

უცხოეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ჭიათურის საკითხს. ეს სჩანს თუგინდ იქიდან, რომ ისეთმა გავრცელებულმა გაზეთებმა, როგორიცაა — **„ინფორმასიონ"** ერთის მხრით და **„ინდუსტრი უნდ განდელს ცეიტუნგ"** მეორეს მხრით, უკანასკნელ დროს ამ საკითხს უძღვნეს სპეციალური მოწინავე წერილები.

„ინფორმასიონ" აშუქებს ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციის საკითხს, სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი კი ეხება ჩვენს საექსპორტო პროგრამას და მისი შესრულების შესაძლებლობას. მოგვყავს ადგილები ორივე წერილიდან:

„ჰარიმანის კონცესია დადებულ იქნა 1925 წლის 9 ივლისს. მისი მიზანი იყო ჭიათურის მარგანეცის მადანის ექსპლოატაცია საქართველოში. კონცესიის ვადა განისაზღვრებოდა 20 წლით, როგორც ყოველგვარი ასეთი ხელშეკრულება, კონცესია ითვალისწინებდა მთელ რიგ უფლებებს და მოვალეობებს ორივე მხარისათვის. კონცესიონერის მთავარ პრეროგატივებს ეკუთვნოდა მადნის ამოღება და ექსპორტი სპეციალურ ლიცენზიის გარეშე, ჰიდრავლიური ენერგიის გამოყენების უფლება, რკინის გზის გაყვანა, ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზების გაყვანა და აგრეთვე საჭირო მასალების თავისუფალი იმპორტის უფლება. კონცესიონერის მოვალეობას შეადგენდა გადასახადის გაღება გამოყენებულ წიაღისათვის, იმ მიწის საიჯარო გადასახადის გადახდა, რომელზედაც აგებულია შენობები და, რაც მთავარია, ტონობრივი გადასახადის გაღება—3 და 4 დოლარისა საექსპორტო მარგანეცის თვითეულ ტონაზე. კონცესიონერი ვალდებული იყო აგრეთვე გაეტარებია ადგილობრივი ტრანსპორტის მექანიზაცია, გადაეკეთებია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა და გაეტარებია მარგანეცის გადმოტვირთვის და დატვირთვის მექანიზაცია ფოთში.

გარდა ამისა, კონცესიონერი მოვალე იყო აეშენებია მარგანეცის ახალი, უფრო გაუმჯობესებული სარეცხი. რაციონალიზაციის მთელ ამ პროგრამაზე კონცესიონერს უნდა დაეხარჯა თორმეტი მილიონი მანეთი. პროგრამა უნდა შესრულებულიყო 3 ნახევარ წლის განმავლობაში, ხელშეკრულების ვადის, ესე იგი 20 წლის განმავლობაში კონცესიონერს უნდა გაეტანა საქართველოდან არა ნაკლებ 18 მილ. ტონა მარგანეცისა. რამ აიძულა კონცესიონერი დათანხმებულიყო ამ პირობებზე? ეჭვს გარეშეა იმან, რომ ჭიათურის მარგანეცს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომამდე. 1913 წელს საქართველოდან გატანილ იქნა — 970.300 ტონა მარგანეცი. ნიკოპოლის (სამხრეთ რუსეთი) მთელი წარმოება ამ ხანებში უდრიდა 252.300 ტონს. და ვინაიდან უკანასკნელი, ესე იგი ნიკოპოლის წარმოება ფარავდა დონეცის ბასეინის მოთხოვნილებას, მას საექსპორტოდ რჩებოდა მხოლოდ 98.600 ტონა. მაშინ რუსეთი მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებას 55 პროცენტით აკმაყოფილებდა. ჰარიმანის ჯგუფს იმედი ჰქონდა, რომ ჭიათურის მადანის ხელში ჩაგდების შემდეგ ის გაბატონდებოდა მარგანეცის მსოფლიო ბაზარზე. ამას ხელი შეუშალა ზოგიერთმა გარემოებამ, რომელიც კონცესიონერმა თავის დროზე ვერ გაითვალისწინა. ომის დროს მარგანეცის ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი კონკურენტები: ბრაზილია, ოქროს ნაპირი აფრიკაში. ამ ბოლო დროს ნიკოპოლის პროდუქციამ, რომელმაც საპატიო ადგილი დაიკავა მარგანეცის მსოფლიო ბაზარზე, გზა გადაუჭრა კონცესიონერს. ნიკოპოლის წარმოებას, რომელიც საბჭოთა ცენტრის (სამხრეთ-მადანის ტრესტი. ა. ს.) ხელშია, და მის სწრაფ წარმატებას ახასიათებს შემდეგი შედარებითი ციფრები:

	1924—25	1925—26	1926—27
ჭიათურა	390.100	537.500	367.600
ნიკოპოლი	180.100	424.400	472.100

იმ დროს, როცა მისი საბჭოთა კონკურენტი სწრაფად ანვითარებდა პროდუქციას, კონცესიონერს ის თანდათან უნდა შემცირებია სხვადასხვა გარემოების გამო, რომელიც მას არ ჰქონდა გათვალისწინებული. კიდევ მეტი, ვალდებულებები გროვდებოდა და აუტანელი ხდებოდა, რის გამო კონცესიონერი იძულებული გახდა ეთხოვა მთავრობისათვის ხელშეკრულების გადათვალიერება. საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ სცნო წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე. 1927 წ. 7 ივნისს დადებულ ხელშეკრულებით თანახმად, კონცესიონერი განსაზღვრული პირობით განთავისუფლებულ იქნა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გადაკეთების ვალდებულებისაგან. მტკიცე ტონობრივი გადასახადი შემცირებულ იქნა და შეიცვალა მოძრავი შკალათი. მიღებულ იქნა ზომები კონკურენციის მოსასპობად ნიკოპოლისა და ჭიათურას შორის. ეს დათმობა არ აღმოჩნდა საკმარისი კონცესიის გასაჯანსაღებლად და აუცილებელი შეიქნა კონცესიის ლიკვიდაცია. კონცესიონერთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა მთავრობას შეეძლო თავის ხელში აეღო წარმოება ისე, რომ არ ეფიქრა არავითარ კომპენსაციაზე ჰარიმანის მიმართ, მაგრამ მან ანგარიში გაუწია ამერიკულ ფინანსების არაჩვეულებრივ მგრძნობიარობას და საჭიროდ დაინახა წასულიყო კომპრომისზე. კონცესიონერმა მნიშვნელოვანი ანაზღაურება (3.450 მილ. დოლარი) მიიღო მის მიერ გაწეულ ხარჯებისათვის, იმ პირობით, რომ ეს ხარჯები დაფარულ იქნება 15 წლის განმავლობაში და გადახდილ იქნება წლიურად 7 პროცენტი.

ამიერიდან ჭიათურის მადანის ექსპლოატაცია გადავიდა საქართველოს ტრესტის ხელში. ამავე დროს შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია, რომელსაც დაკისრებული აქვს საქართველოს და სამხრეთ - რუსეთის მარგანეცის რეალიზაციის მოწესრიგება".

ასეთია ამ საკითხის შეფასება „ინფორმასიონ"-ის მიერ.

უნდა ითქვას, რომ ფრანგული გაზეთისაგან არ მოველოდით მომხდარი ამბების ასეთ ობიექტიურ გაშუქებას.

ნაწილობრივად, ზემოდ ნათქვამის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ბერლინის „სავაჭრო - სამრეწველო გაზეთი"-ს მოწინავე წერილი 30 ნოემბრის თარიღით.

„დაახლოებით მეოთხედი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოხდა შეთანხმება მარგანეცის კონცესიის ლიკვიდაციის შესახებ ჰარიმანისა და საბჭოთა მთავრობას შორის. შეთანხმების დადების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ის საბჭოთა კავშირის მთელს ექსპორტს გააერთიანებს ერთ ორგანიზაციაში და ახალ ნიადაგზე დააყენებს რეალიზაციის საქმეს. ჯერ კიდევ მაშინ ჩვენ აღვნიშნავდით ამ გაზეთის ფურცლებზე, რომ მარგანეცის ექსპორტის ბედი მჭიდროთ დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორი პირობები შეიქმნება მარგანეცის რეალიზაციისათვის შეერთებულ შტატებში უჰარიმანოთ: როგორც ვიცით, შეერთებულ შტატებში შესაზიდ მარგანეცზე დიდი ბაჟია დაწესებული. ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკის ზოგიერთი წრეები, რომელნიც გაერთიანებული არიან სპეციალურ საზოგადოებაში სახელწოდებით „Marganese ou Producers Assotiation" ცდილობენ ამ ბაჟების კიდევ უფრო გადიდებას. ცნობილია, რომ შეერთებულ შტატების მარგანეცის პროდუქცია 1928 წელს ომის უკანასკნელ წელთან შედარებით დაახლოებით 7-ჯერ დაეცა. ზემოდნახსენები ორგანიზაცია ყოველგვარ საშუალებებით ცდილობს შეერთებულ შტატების მარგანეცის პროდუქცია აიყვანოს ძველ დონემდე. მაგრამ ვინაიდან ამერიკული მადანი მეტად ღარიბია ლითონის შემადგენლობით, ის სხვა თანასწორ პირობებში კონკურენციას ვერ გაუწევს სხვა ქვეყნებიდან შემოზიდულ მადანს. აი, რატომ ცდილობენ ისინი ბაჟების აწევის საშუალებით ხელოვნურად გააძვირონ შემოზიდული მარგანეცი. სანამ ჰარიმანი იჯდა ჭიათურაში, შემოსაზიდ ბაჟების გადიდება მოუხერხებელი იყო, ვინაიდან ის დაარღვევდა ერთი ამერიკული ჯგუფის ინტერესებს მეორე ჯგუფის სასარგებლოდ. მაგრამ ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციის შემდეგ, აგიტაციას შემოსაზიდ ბაჟების 50 პროცენტით გადიდების სასარგებლოდ შეიძლება სულ სხვანაირი შედეგი მოჰყვეს. საბჭოთა მთავრობა ხედავდა ამ საშიშროებას და ცდილობდა დაეჭირა კონტაქტი საბჭოთა მარგანეცის მთავარ ამერიკელ მომხმარებლებთან, რათა ამგვარად გამოენახა მოკავშირეები ამერიკელ მარგანეცის მრეწველთა საშიშარი აგიტაციის წინააღმდეგ. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მოთავსებული იყო საბჭოთა პრესაში, საბჭოთა მთავრობის ცდა გამარჯვებით დამთავრდა. მთავრობამ „ბეტლემ სტილ კორპორასიონ"-თან დასდო ხანგრძლივი ხელშეკრულება ყოველწლიურად 200 ათასი ტონა საბჭოთა მარგანეცის მიწოდების შესახებ. ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია ცნობა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების თანახმად ტრესტი ვალდებულია მთელი თავისი მოთხოვნილება დაჰფაროს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მარგანეცით. საეჭვოა, რომ ასეთი ხელშეკრულება ეთანხმებოდეს ამერიკული ტრესტის ინტერესებს. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სანამ დაინტერესებული მხარე არ უარყოფს ამ ცნობას —ჩვენ მას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა: თუ რუსებმა მოახერხეს ხელშეკრულების დადება ბეტლემთან 200—250 ათასი ტონა მარგანეცის მიწოდების შესახებ ყოველ წლიურად, ამით მათ შეასრულეს თავისი პროგრამის ერთი მესამედი და ეს ისეთი გამარჯვებაა, რომლისთვისაც შეიძლებოდა ზოგიერთ დათმობაზე წასვლა (სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ის რაც აშკარაა ამ მოწინავე წერილის ავტორისათვის, გაუგებარია ბევრ ჩვენ ამხანაგისათვის, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ ამერიკული პირობების და მარგანეცის რეალიზაციის პირობების ცოდნაზე. ა. ს.). როგორც ვიცით, მარგანეცის საექსპორტო პროგრამა საბჭოთა კავშირში აღწევს 800 ათას ტონას. ფულზე რომ გადავიტანოთ, ეს დაახლოებით უდრის 51 მილ. მარკას, თუ ამ რაოდენობიდან ამერიკაში უკვე გასაღებულია 200—250 ათასი ტონა, ხოლო გერმანიაში გასაღებულ იქნება 15.000 ტონა და, ალბად, მეტიც, მაშინ საბჭოთა კავშირის სარეალიზაციო პროგრამის შესრულება სავსებით შესაძლებელია. მარგანეცის ბაზრისათვის ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი ვერ შესძლებს იმ მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას, რომელთა დახმარებით მან მტკიცე შედეგებს მიაღწია პლატინის ბაზარზე. პლატინის ბაზარზე მას ჰქონდა ის პლიუსი, რომ დაბალ თვითღირებულების საშუალებით მან კოლუმბიას და სამხრეთ აფრიკას ომი გამოუცხადა ფასების დარგში და მკვიდრი პოზიციები დაიპყრო მსოფლიო ბაზარზე. ალბად ჭიათურაშიაც თვითღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე ეს იყო კონცესიონერის ხელში, ვინაიდან საბჭოთა პროდუქცია თავისუფალია მაღალ ტონობრივ გადასახადისაგან, რამაც, ჩვენის აზრით, დაღუპა კონცესია. მიუხედავად ამისა, მაინც ძნელი დასაშვებია, რომ თვითღირებულება უფრო დაბალი იქნეს, ვიდრე ინდოეთში, ბრაზილიაში და ოქროს ნაპირზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირის მარგანეცის წარმოებაში სამუშაო ხელფასი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ზემოდჩამოთვლილ ქვეყნებში. ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ ჭიათურის მრეწველობის მოდერნიზაციის საქმე, რომელიც დაიწყო ჰარიმანმა, არ არის ბოლომდე მიყვანილი. მართალია, კონცესიის ლიკვიდაციის დროს კონცესიონერმა საბჭოთა მთავრობას მუშაობის დასამთავრებლად მისცა სათანადო კრედიტი, მაგრამ საბჭოთა კავშირის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ეს ფული მოხმარდეს კონცესიონერის მიერ დაწყებულ მუშაობის დამთავრებას".

ავტორის საყურადღებოდ ჩვენ უნდა განვაცხადოთ შემდეგი:

ა) ჩვენ ვაპირებთ მარგანეცის ბაზრის დაპყრობას იმავე მეთოდებით, რომლებითაც დავიპყარით პლატინის ბაზარი.

ბ) საბჭოთა მთავრობამ მარგანეცის ორივე რაიონის კაპიტალურ მშენებლობისათვის უკვე გაიღო გაცილებით უფრო დიდი თანხები, ვიდრე ავტორი აღნიშნავს;

გ) საექსპორტო პროგრამა, რომელშიაც გათვალისწინებულია 800 ათასი ტონის გატანა, საორიენტაციო იყო და ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ დავკმაყოფილდეთ ამ პროგრამით მსოფლიო ბაზარზე დამოუკიდებლად გამოსვლის პირველ წელშიაც კი.

ა. სვანიძე.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი მესამე პლენუმი, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მისაღებ ღონისძიებათა შესახებ, 2. ქალაქის ახალ სამილიციო უბნებად დაყოფის შესახებ, 3. პურის წიგნაკების შემომღებ კომისიის საანგარიშო მოხსენება.

ქალაქში სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მისაღები ღონისძიებების შესახებ

ამ საკითხზე პლენუმმა მოისმინა ექ. ნაზარეტიანის და ამხ. ს. ხმალაძის მოხსენებები. პირველმა მათგანმა დაახასიათა ქალაქის დღევანდელი სანიტარული მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ დღემდე თბილისში არ არის გატარებული 1925 წელს გამოცემული კანონი ქალაქის სანიტარიის შესახებ. ამ მხრივ თბილისს წინ უსწრებენ საბჭოთა რუსეთის, აზერბეიჯანის და სომხეთის ქალაქები. ჩვენი ქალაქი იმდენათ არ არის კეთილმოწყობილი, რომ შესაძლებელი იყოს ექიმთა იმ მცირე რაოდენობით (16 კაცი), რომელიც ჩვენ გვყავს, სანიტარულ პირობების დაცვა. ქუჩების დიდი ნაწილი მოუკირწყლავია, წყლის მოწოდება მცხოვრებლებისათვის მეტის-მეტად განსაზღვრულია. საკმაო არ არის კანალიზაციის ქსელი, მცირეა ნაგვის გადასაზიდი ტრანსპორტი, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია ეზოები და სხვ. ასეთია მოკლედ ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, რომელიც დაწვრილებით შესწავლილ და გამოკვლეულ იქნა აღმასკომის მიერ გამოყოფილ სპეციალური კომისიისაგან.

შემდეგ ამხ. ხმალაძემ პლენუმს გააცნო კომისიის მიერ გამომუშავებული ღონისძიებები ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება: პლენუმი სანიტარიის დაცვის დარგში საჭიროდ სცნობს ადმინისტრატიულ, ჯანმრთელობის, სავეტერინარო განყოფილებათა და სანიტარულ - ტეხნიკურ სექციის შეთანხმებულ მუშაობას; საბჭო ავალებს კომუნალურ მუშაკთა კავშირს ჩაატაროს კამპანია მეეზოვეთა შორის შრომის დისციპლინის გასაუმჯობესებლად და განსამტკიცებლად; სამილიციო რაიონებში სანიტარიის დარგში მომუშავე მილიციელები განთავისუფლებული უნდა იქნენ სხვა დავალებებისაგან; წინადადება ეძლევა ადმინისტრატიულ განყოფილებას — ვალდებული გახადოს ყველა წარმოება-დაწესებულებანი და საბინაო ამხანაგობები სისწორით შეასრულონ სანიტარიის შესახებ გამოცემული სავალდებულო დადგენილება; ამავე განყოფილებას ევალება მილიციის უფროს და უმცროს შემადგენლობას შეასწავლოს ყველა სავალდებულო დადგენილებანი და მათი ცხოვრებაში გატარების საშუალებანი; ადმინისტრატიულ და ჯანმრთელობის განყოფილებებს ევალებათ მიიღონ ზომები, რომ სავალდებულო დადგენილების დამრღვევ პირებზე შემდგარი ადმინისტრატიული ოქმები სრულდებოდეს ფრიად სასწრაფო წესით; ად. განყოფილებას და სანიტარულ-ტეხნიკურ სექციას ევალებათ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლა მუშაობის გეგმის შედგენა და დაინტერესებულ განყოფილებებთან შეთანხმების შემდეგ ერთი კვირის ვადაში წარმოდგენა.

სათანადო ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები სავალდებულო დადგენილების № 85 მთლიანად და კერძოთ იმ მუხლის ცხოვრებაში უცვლელად გასატარებლად, რომელიც ეხება საამშენებლო მასალის გადაზიდვის წესების დაცვას; წინადადება ეძლევა კომუნ. განყოფილებას დაამუშაოს საკითხი სანიტარულ ტრანსპორტის მოწყობის შესახებ და დასკვნა ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად წარმოუდგინოს პრეზიდიუმს. წინადადება ეძლევა ჯანმრთელობის განყოფილებას გადასინჯოს სანიტარულ ექიმების შემადგენლობა და გააუმჯობესოს სანიტ-ექიმების მატერიალური მდგომარეობა. საგეგმო კომისიას ბინათ-კავშირთან ერთად ევალება გამოიკვლიოს და დაამუშაოს საკითხი ქალაქში მდებარე ყველა სახლების მოვლის შესახებ და გამომუშავებული ღონისძიებები დასამტკიცებლად წარუდგინოს პრეზიდიუმს. წინადადება ეძლევა სანიტარულ - ტეხნიკურ სექციას გააძლიეროს მუშაობა ქალაქში სისუფთავის დასაცავად (ქუჩების დაგვა, მორწყვა, საერთო ფეხსადგილების მოვლა და სხვ.); ამავე სექციამ და ვეტერინალურმა განყოფილებამ უცვლელად უნდა გაატარონ სავალდებულო დადგენილება თავლების, ბოსლების და სხვა ასეთ სადგომების მოწყობის შესახებ; საგეგმო კომისიას და კომუნალურ განყოფილებას ევალება დაამუშაონ საკითხი წყალსადენის და კანალიზაციის ხელმძღვანელობის გაერთიანების შესახებ. წინადადება ეძლევა ჯან. განყოფილებას გააძლიეროს მუშაობა სავალდებულო დადგენილების № 89-91 ცხოვრებაში გასატარებლად (ნახმარ ტანისამოსით მოვაჭრეთა შესახებ). კომუნალურ განყოფილებას ევალება იქონიოს ზედამხედველობა, რომ ქალაქში არ გადიდდეს ნაგვის საყრელ ადგილების რიცხვი და ასეთი ადგილების გაწმენდა სწარმოებდეს თავის დროზე; დასასრულ, — სახლთმმართველობას და მეპატრონეებს ევალებათ უზრუნველჰყონ მეეზოვენი სამუშაოსათვის საჭირო იარაღით.

ქალაქის ახალ სამილიციო უბნებათ დაყოფა

შემდეგ ამხ. ხმალაძე პლენუმს აცნობს ქალაქის ახალი ადმინისტრატიული დაყოფის პროექტს, რომლის მიხედვით ქალაქი ნაწილდება 5 ადმინისტრატიულ ერთეულად: ვერის, სოლოლაკის, 26 კომუნარის სახელობის, პლეხანოვის და ლენინის რაიონებათ. ყოველ რაიონს ექნება თავისი სამმართველო და ერთი განყოფილება. გარდა ამისა, ქალაქში ეწყობა 20 სადარაჯო კამერა და 80 საგუშაგო. რაიონების სამმართველოებს ეძლევა დღევანდელ ცენტრალურ სამმართველოს ფუნქციები. ყოველ რაიონზე მიმაგრებული იქნება გამომძიებელი. სადარაჯო კამერების მთავარი დანიშნულება იქნება პირველი ადმინისტრატიულ დახმარების აღმოჩენა და სათანადო ღონისძიებების მიღება. რეორგანიზაცია არ იწვევს ხარჯების გადიდებას,— სამმართველო აპარატის შემცირების ხარჯზე დიდდება საგუშაგოების რიცხვი, განსაკუთრებით, — განაპირა უბნებში. ამით მილიციის აპარატი უახლოვდება მასას და საქმეების მსვლელობას უფრო ჩქარი ტემპი ეძლევა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი პროექტი.

პურის წიგნაკების შემოღების შედეგები

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ოდილავაძის მოხსენება, პურის წიგნაკების სისტემის შემოღების შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „თბილისის საბჭო ადასტურებს, რომ პურის წიგნაკების სისტემა სრულიად გამართლებულია: მიღწეულია პურის დაზოგვა 60 ვაგონის რაოდენობით თვეში და ადგილი აღარ აქვს რიგებს პურის სავაჭრო წერტილებთან. ამავე დროს მოგვარებულია მშრომელი მოსახლეობისთვის შაქრის მომარაგების საკითხიც. ამასთან ერთად, საბჭო აღნიშნავს, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა, რომელშიაც ცენტრალურ კომისიას უხდებოდა მუშაობა (განსაზღვრული დრო, წიგნაკების უშუალოდ გაცემა შეუკავშირებელ მოსახლეობაზე, მუშაობის პროცესში მოქალაქეთა „ბ" ჯგუფიდან „ა"-ში გადარიცხვა, ზოგიერთ დაწესებულებათა მიერ დანიშნულ ვადაზე სიის არ წარდგენა და სხვ.), მან სავსებით შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა ამოცანები და დაამთავრა თავისი მუშაობა დაწესებულ ვადისათვის.

საბჭო აღნიშნავს მთელ რიგ დაწესებულებათა და საწარმოების მიერ დაშვებულ დაუდევრობას სიების შედგენის დროს და აგრეთვე მილიციისა და საბინაო ამხანაგობების უყურადღებობას სათანადო ცნობების მიწოდების დროს (მაგალითად, სიღარიბის, ოჯახის შემადგენლობისა და შემოსავლიანობის შესახებ ცნობის მიღება), რის გამოც საშუალება მიეცა ზოგიერთ არა მშრომელ ელემენტს მიეღო წიგნაკი.

საბჭო ადასტურებს პროფკავშირების მიერ წარმატებით ჩატარებულ მუშაობას ზემომძღვანელობით უნდა იმუშაოს სათანადო დაწესებულების წარმომადგენლებისაგან შემდგარმა კომისიამ.

ცენტრალურ კომისიის შემდგომი მუშაობა წიგნაკებისა და ტალონების გაცემის საქმეში დაევალოს მუშკოოპს, რომლის ხელმძღვანელობით უნდა იმუშაოს შემდგარმა სათანადო დაწესებულების წარმომადგენლებისაგან კომისიამ.

ვინაიდან ადგილი აქვს წიგნაკების არა მშრომელ ელემენტებზე გაცემის შემთხვევებს და აგრეთვე წიგნაკში აღნიშნულ წევრთა რიცხვის ფაქტიურ რაოდენობასთან შეუსაბამობას, საჭიროდ იქნეს ცნობილი წიგნაკების პერერეგისტრაცია. აღნიშნულ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის და კოოპერატივის აქტივი.

პურის წიგნაკების პერერეგისტრაცია დაევალოს ძველ კომისიას, რომელიც უნდა გაუქმდეს ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ.

მუშათა მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში

სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეულების მუშაობა მოიკოჭლებს

ტრამვაის ადგილკომმა არ იცის როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება ტრამვაის მუშებში

ცხრა თვის განმავლობაში ტრამვაიში გაცდენილია 82 თვე და 18 დღე.—შრომის დისციპლინის სისუსტით გამოწვეულ უბედურმა შემთხვევებმა ა. კ. რკინის გზას გასულ წელს 748.853 მანეთი ზარალი მიაყენა.

გავაცხოველოთ ხუთეულების მუშაობა

სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეულების მუშაობა ადგილებზე ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ბევრ ადგილას ხუთეულების მუშაობა ბიუროკრატიულ სახეს ატარებს. მათ არავითარი კავშირი მუშათა ფართო მასებთან, ან ადგილობრივ სხვადასხვა ორგანიზაციებთან არა აქვთ. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ ხუთეული გამოყოფილია არა მუშათა საერთო კრების მიერ, არამედ ადგილკომის, ან პარტუჯრედის მიერ. თვით ის გარემოება, რომ ასეთი ხუთეულების არსებობა ბევრ ადგილას არ იციან ადგილობრივმა პროფორგანოებმა, ან მუშებმა, მოწმობს იმას, რომ სოციალისტური შეჯიბრება ადგილებზე ვერ მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.

ტრამვაის ადგილკომის მდივანმა არ იცის არსებობს თუ არა სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეული, კომუჯრედის მდივანი კი ამტკიცებს, რომ ასეთი ხუთეული არსებობს. აქედან სჩანს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეული მუშების კრებაზე კი არ ყოფილა არჩეული, არამედ დანიშნული ყოფილა. მაკარონის ქარხნის ქარხკომმა ხუთეული გამოჰყო თითონ. მუშებმა ჯერ კიდევ არაფერი იციან ამ ხუთეულის არსებობის შესახებ. ასეთი ხუთეულების მუშაობა რასაკვირველია არ იქნება დამაკმაყოფილებელი. სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩატარება სავსებით არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორ მუშაობს შეჯიბრების ხელმძღვანელი ორგანო — ხუთეული, ან სამეული.

შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეულების მუშაობა მასიურად უნდა სწარმოებდეს. მან, მუშებთან ერთად უნდა შეიმუშაოს კონკრეტული ფორმები შეჯიბრების გამოსაცხადებლად როგორც ადგილობრივ მუშებ შორის, ისე ფაბრიკა-ქარხნებ შორისაც. მუშათა მასასთან და გაზეთებთან მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელია ხუთეულის ნაყოფიერი მუშაობა. ყველა ცალკე საკითხზე ხუთეულმა უნდა გამოჰყოს დროებითი საკონტროლო კომისია, რომელიც შეამოწმებს სოციალისტურ შეჯიბრების შედეგებს; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კომისიებით განისაზღვროს ხუთეულის მასიური მუშაობა. პირიქით, როგორც თვით ხუთეულებმა, ისე დროებითი საკონტროლო კომისიებმა უნდა გააცხოველონ მუშათა ინიციატივა წარმოების რაციონალიზაციისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ხუთეულები უნდა იყვნენ ორგანიზატორები საწარმოო სახის საკითხების წამოყენება-დამუშავებისა, მუშათა წინადადებების განვითარებისა და სხ. ასეთ მუშაობას კი ჯერ-ჯერობით ვერ აწარმოებენ სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეულები. მომავალში ეს ნაკლოვანებანი უნდა გამოსწორდეს და გაცხოველდეს ხუთეულების მუშაობა. ამისათვის ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება რაიონებში მოწვეული იქნეს ამ ხუთეულების გაერთიანებული კრება და გაკეთდეს საინსტრუქციო მოხსენებები ხუთეულების მუშაობის შესახებ. ეს დიდ ნაყოფს მოუტანდა როგორც კერძოდ ხუთეულების მუშაობას, ისე საერთოდ სოციალისტური შეჯიბრების საქმეს. პროფორგანოებმა უნდა გადასდგან ამ მხრივ სათანადო ნაბიჯი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საწარმო ჯერ კიდევ არ ჩაბმულა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ხუთეულები ჯერ კიდევ ყოველგან არ არის ჩამოყალიბებული. ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება და მიღებული იქნეს ზომები, რათა არც ერთი საწარმო, არც ერთი საამქრო და არც ერთი მუშა არ დარჩეს სოციალისტური შეჯიბრების გარეშე.

ნ.

შრომის დისციპლინა ა.-კ. რკინის გზაზე

ამ.-კავკასიის რკინის გზის ზოგიერთ მუშაკებს ჯერ კიდევ არ აქვთ შეგნებული საერთოდ ტრანსპორტის და კერძოდ რკინის გზის უდიდესი როლი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ასეთი მუშაკები არ იყენებენ მაქსიმალურად თავის უფლებებს შრომის ნაყოფიერების აწევისათვის, უშვებენ დიდ შეცდომებს თავის მუშაობაში და ამით დიდ ზარალს აყენებენ რკინის გზას.

გზის მუშაობის გამოკვლევა ნათლად გვიჩვენებს, რომ შრომის ნაყოფიერების დაცემა, პროდუქციის გაძვირება და ტვირთზიდვის საქმის გაძნელება უმთავრესად გამოწვეულია რკინისგზელთა შორის შრომის დისციპლინის შესუსტებით.

შრომის დისციპლინის დაცემის მაჩვენებელია აგრეთვე გზაზე მომხდარ შემთხვევების რაოდენობა და მათი ხასიათი. ყოველგვარი შემთხვევების რიცხვი ა.-კ. რკ. გზაზე იზრდება. ამასთანა ერთად იზრდება იმ შემთხვევათა რიცხვი, რომლებიც გამოწვეულია თვით გზის აგენტების უდისციპლინობის მიზეზით.

1926—27 წელში გზაზე მომხდარ შემთხვევათა რიცხვი უდრიდა—1.221-ს, 27—28 წელში იგი გაიზარდა—2.093-დე. აქედან რკინის გზელების უდისციპლინობის მიზეზით გამოწვეულია შემთხვევათა 60 პროცენტი. 1927—28 წელში მომხდარ შემთხვევებმა გზას მიაყენა—743,853 მანეთი ზარალი.

სამსახურში გამოუცხადებლობა, სამუშაოს დატოვება, გზის აგენტებ შორის ლოთობა მოვალეობათა ასრულების დროს, ხულიგნობა, დაბალ თანამდებობის მუშაკების მიერ ადმინისტრაციის განკარგულების შეუსრულებლობა, მასალების განზრახ, ან დაუდევრობით გაფუჭება და სხვ. რკინის გზებზე თანდათან იზრდება.

განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოდ გახშირდა მატარებლების გზაში გაჩერება, ორთქლმავლებზე საწვავი მასალის, წყალის და სილის შემოლევის გამო. ხშირად არჩევენ მემანქანეებიც, როდესაც მათ უთავდებათ სამუშაო დრო და შუა გზაზე მოითხოვენ ცვლას. იზრდება დაზიანებულ ორთქლმავლების რიცხვიც, რაც მოწმობს იმას, რომ მემანქანეები არ ეპყრობიან მათ სათანადო ყურადღებით.

ა.-კ. რკინის გზაზე შრომის დისციპლინის დაცემამ არა ერთხელ მიიქცია სხვადასხვა კომისიების ყურადღება. რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობაზეც მწვავედ დაისვა ეს საკითხი და გამოტანილ იქნა მთელი რიგი საყურადღებო დადგენილებებისა სატრანსპორტო მეურნეობის მოწესრიგების შესახებ, თვით საგზაო კომიტეტმაც რამდენჯერმე მიიღო ზომები რკინისგზელთა შორის შრომის დისციპლინის ასაწევად, მაგრამ სამწუხაროდ შედეგები ჯერ ძალიან ნაკლებია.

უკანასკნელად ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ, საგზაო კომიტეტთან ერთად გამოსცა მოწოდება ა.-კავკასიის ყველა რკინისგზელებისადმი, სადაც ნათლად არის განმარტებული შრომის დისციპლინის საკითხები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რკინისგზელთა მშრომელი მასა გაითვალისწინებს შრომის დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელობას და მიიღებს აქტიურ მონაწილეობას იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, რომლებიც განამტკიცებენ შრომის დისციპლინას და განავითარებენ სატრანსპორტო მეურნეობას.

ან. კელ.

სამუშაო საათების გაცდენა შემცირდა

(„მკერავი"-ს პირველი ქარხანა)

„მკერავი"-ს პირველი ქარხნის მუშებმა მოისმინეს ამხ. მეტრეველის მოხსენება სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მუშები მოითხოვდნენ ადმინისტრაციისაგან რათა მან გამოიყენოს თავისი უფლებები შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს სამუშაო დღეების უმიზეზოთ გამცდენლებს.

სოციალისტური შეჯიბრების ჩასატარებლად, მუშებმა გამოჰყვეს სპეციალური კომისია ამხ. გეორქოვის, აკოფოვის, გერმანოვსკის, გომურიძის და ზაგრიევის შემადგენლობით. კომისიამ შეადგინა სოციალისტური შეჯიბრების გეგმა და შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას. ქარხანაში გამოიკრა შავი დაფა სამუშაო საათების გამცდენელებისათვის. გამოიცა აგრეთვე კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელშიაც გაშუქებულია შრომის დისციპლინის საკითხები.

სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ ქარხანაში საგრძნობლად შემცირდა სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევები და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ქარხნელი.

ტრამვაის ადგილკომს სძინავს

იანვრიდან დღემდე მოწვეული იყო ტრამვაის მოძრაობის დარგის და სახელოსნოების გაერთიანებული საწარმოო თათბირი ორჯერ. საერთო კრება მოწვეული ყოფილა რვაჯერ, მაგრამ აქედან შრომის დისციპლინის საკითხი მხოლოდ ერთ კრებაზე იყო გარჩეული. ეს იმ დროს, როცა შრომის დისციპლინის საქმე ტრამვაიში მოისუსტებს.

ბევრი ვეცადეთ გამოგვერკვია, არის თუ არა ჩამოყალიბებული სოციალისტურ შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეული ტრამვაის სახელოსნოებთან და მოძრაობის დარგთან, მაგრამ ეს ცდები ამაო აღმოჩნდა. ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. იოსებაშვილმა განაცხადა, რომ ხუთეული არ არსებობს და მალე ვაპირებთ ჩამოყალიბებასო, უჯრედის მდივანმა კი განაცხადა, რომ ხუთეული არსებობს, მხოლოდ ამ ხუთეულის თავმჯდომარე მუშაობს არა წარმოებაში, არამედ კავშირის ცენტრალურ გამგეობაში. ასეთ პირობებში ცხადია, რომ ხუთეულის მუშაობა, მისი „არსებობის" შემთხვევაშიც, უნაყოფო იქნება.

ტრამვაის ადგილობრივი ორგანიზაციების ასეთ სუსტ მუშაობას მიეწერება ის გარემოება, რომ შრომის დისციპლინა ტრამვაიში ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.

1928 წლის მეოთხე კვარტალში ვატმანებს უმიზეზოდ გაუცდენიათ 168 კაც-დღე, 1920 წლის პირველ კვარტალში 167 კაც-დღე, მეორე კვარტალში—88 კაც-დღე. სულ ამ ხნის განმავლობაში უმიზეზოდ გაცდენილია—491 კაც დღე.

1928 წლის მეოთხე კვარტალში კონდუქტორებს უმიზეზოდ გაუცდენია 318 კაც-დღე, 1928 წლის პირველ კვარტალში—292 კაც-დღე და მეორე კვარტალში—219 კაც-დღე. საერთოდ კონდუქტორებს არასაპატიო მიზეზებით გაუცდენიათ სულ 829 კაც-დღე. 1928 წლის მეოთხე კვარტალში დარაჯებს უმიზეზოდ გაუცდენია—64 კაც-დღე, 1929 წლის პირველ კვარტალში—51 კაც-დღე და მეორე კვარტალში კი 34 კაც-დღე. სულ კი დარაჯებს გაუცდენია 148 კაც-დღე.

ტრამვაის სახელოსნოებში გასული წლის მეოთხე კვარტალში უმიზეზოდ გაცდენილია—138 კაც-დღე, 1929 წლის პირველ კვარტალში—216 კაც-დღე და მეორე კვარტალში კი 150 კაც-დღე. ამრიგად სახელოსნოში უმიზეზოდ გაცდენილი სამუშაო დრო აღწევს 504 კაც-დღეს. ტრამვაის კანტორაში გაცდენილ დღეების რიცხვი თანდათან მატულობს; მაგალითად, 1928 წლის მეოთხე კვარტალში უმიზეზოდ სამუშაო დროის გაცდენას კანტორაში ადგილი არ ქონია, პირველ კვარტალში უმიზეზოდ გაცდენილია—4 კაც-დღე და მეორე კვარტალში კი 6 კაც-დღე.

სულ 9 თვის განმავლობაში ტრამვაის სახელოსნოებში და მოძრაობის დარგში გაცდენილია 1986 კაც-დღე. ე. ი. 9 თვის განმავლობაში გაცდენილია 82 თვე და 18 დღე.

ალბად ადგილკომი ამ მდგომარეობას ნორმალურად სთვლის, რომ ყურს არ იბერტყავს მის გამოსასწორებლად.

ა.

„თელასი"-ს მუშები სოციალისტურ შეჯიბრებაში

„თელასი" აერთიანებს 283 მუშა-მოსამსახურეს. აქედან ქალაქის სხვადასხვა რაიონებში მუშაობს 125 მუშა, რომლებიც გაერთიანებული არიან ხუთ ბრიგადაში. სოციალისტურ შეჯიბრების გამოცხადებამდე, როგორც რაიონულ მუშათა ბრიგადებში, ისე „თელასი"-ს სამართველოში, ხშირი იყო სამუშაო დღეების გაცდენა და დაგვიანების შემთხვევები. ხშირად თვით ბრიგადების ხელმძღვანელები მთვრალები გამოდიოდნენ სამუშაოზე.

მას შემდეგ კი, რაც გამოცხადდა სოციალისტური შეჯიბრება, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სოციალისტურ შეჯიბრების დაწყებიდან მეორე დღეს დათვალიერებული იქნა მუშათა ბრიგადები. ორ ბრიგადაში სრულიად აღარ იყო დაგვიანების შემთხვევა, ხოლო 3 ბრიგადაში დაგვიანება იყო 4—5 წუთით. წინად კი ყოველდღიურად თითო ბრიგადაში დაგვიანება უდრიდა 125—170-ე საათს. რაც შეეხება „თელასი"-ს სამმართველოს მარტის 1-დან—15-ე დაგვიანება უდრიდა 200 საათზე მეტს, 21 მარტიდან—15 აპრილამდე კი დაგვიანება იყო მხოლოდ საოცდახუთი საათი.

კომისია, რომელიც გამოყოფილია ადგილობრივ შეჯიბრების ხელმძღვანელობის გასაწევად, ფხიზელ მეთვალყურეობას უწევს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს დაშვებულ შეცდომის გამოსასწორებლად. ადგილობრივ კედლის გაზეთში ფართე ადგილი ეთმობა სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებულ საკითხების გაშუქებას, სამუშაო საათების და დღეების გამცდენელთა გამომჟღავნებას და სხვ. მოეწყო აგრეთვე სამუშაო საათების გამცდენელთა გასამართლებაც, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მუშებზე.

ალი.

დღეს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68), შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. ვინაიდან დღის წესრიგში ფრიად საყურადღებო საკითხია დასმული, ყველა მუშკორის დასწრება აუცილებელია. სასურველია კრებას დაესწრონ აგრეთვე კედლის გაზეთების წარმომადგენლებიც.

ბრძოლა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ

მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლება მთავარი პირობაა ცრუმორწმუნეობისა და მავნე ჩვეულებების აღმოსაფხვრელად.—პარტიული, კომკავშირის და პოლიტგანმანათლებელ ორგანოებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა კულტურულ ფრონტზე.—ვებრძოლოთ გლეხობის ეკონომიურად განმანადგურებელ ქელეხების გამართვას.

ცრუმორწმუნეობა გლეხობის მტერია

მავნე ჩვეულებების და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საღ ნიადაგზე წარმოებულ პროპაგანდა-აგიტაციას. ასეთი უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღება ვერ იძლევა სათანადო ნაყოფს.

კულტურული ლაშქრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მშრომელი მასები აგიტაციის საშუალებით დაარწმუნოს მავნე ჩვეულებების აღმოფხვრის აუცილებლობაში.

ამ მიმართულებით, მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა, უაღრესად დიდი მუშაობის წარმოებაა საჭირო. ცრუმორწმუნეობის ერთ-ერთი მავნე გამოხატულება არის გარდაცვალებულის დაკრძალვის დროს წესად შემოღებული ქელეხის გამართვა. არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ ქელეხი ანადგურებს გლეხობას ეკონომიურად და ამასთან ერთად, ზოგჯერ მას თან სდევს ადამიანის მსხვერპლიც. მიუხედავად ამისა, ქელეხები სოფლად ამ უკანასკნელ ხანებში არა თუ მცირდება, არამედ მრავლდება კიდეც. გლეხობასთან ერთად ქელეხს მართავენ სოფლად არსებულ წარმოება-დაწესებულებაში მომუშავე ზოგიერთი მუშა-მოსამსახურენიც. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ხეთის ხე-ტყის მრეწველობის ტრესტის თანამშრომელი მოქ. გვალიას მოქმედება.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ის გარემოებაა, რომ ზოგჯერ პასუხისმგებელ თანამდებობაზე მომუშავენიც ხელს უწყობენ ქელეხის გამართვას მიცვალებულის ოჯახის წევრისათვის კრედიტის მიცემით, სურსათ-სანოვაგის დათმობით და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენაც. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტორგანიზაციები ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ხშირად სოფლად არ არსებობს ურწმუნოთა წრეები, მხოლოდ სადაც არსებობს, ისინიც ვერ იჩენენ სათანადო უნარს მუშაობაში.

ამ გარემოებას უსათუოდ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ადგილობრივი პარტორგანიზაციების, კომკავშირის უჯრედების, პოლიტგანების და თემსაბჭოს კულტურული სექციების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ცრუმორწმუნეობის და პირველ რიგში ქელეხების წინააღმდეგ ბრძოლამ, მაგრამ არა რეპრესიული ზომების მიღებით, არამედ პროპაგანდა-აგიტაციით.

აუცილებელია საღი პროპაგანდით დავარწმუნოთ გლეხობა ცრუმორწმუნეობისა და ქელეხების მავნებლობაში და მათი აღმოფხვრის აუცილებლობაში.

გ. გ.

მნიშვნელოვანი მაგალითი

(სოფ. ნორიო, თბილისის მაზ.)

ანტირელიგიური კამპანიები სოფლად კულტურულ ლაშქრობის ცენტრალურ საკითხად გადაიქცა. სოფლის მოსახლეობა ამ ბოლო ხანებში მასიურად ერკვევა რელიგიის უსარგებლობაში და თავიანთი ნებასურვილით ჰკეტავენ ეკლესიებს, უარყოფენ მღვდელთ-მსახურებას და სხვ. ასეთი მაგალითები ბევრია.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითთაგანს სოფ. **ნორიოში** მომხდარი ფაქტი წარმოადგენს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავს აქაურმა გლეხობამ დაუკავშირა ფრიად მნიშვნელოვანი კულტურული საქმე. საზეიმო სხდომაზე გლეხები ერთხმად მოითხოვდენ ეკლესიის გაუქმებას და შენობის კლუბად გადაკეთებას, რასაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და მასწავლებლობა სიხარულით შეხვდა.

გლეხობის ასეთ გამოძახილს მიესალმა ა. ლ. კ. კ. თემკომის მდივანი ამხ. ჯ. ზაქარია. მან ვრცლად განუმარტა კრებას სოფლად კულტურული რევოლიუციის საკითხი და ამ საკითხის გადაჭრაში გლეხობის როლი. ეს ფაქტი უსათუოდ მისაბაძ მაგალითად უნდა გადაიქცეს სხვა სოფლებისთვისაც.

ხალი.

ქელეხის მსხვერპლი

(ჯგალის თემი, ზუგდ. მაზრა)

ამას წინედ ჯგალის თემის სოფ. ლეკაკულეში, ერთ-ერთ გლეხის ოჯახში, ოჯახის უფროსის გარდაცვალების აღსანიშნავათ გაიმართა „ჩვეულებრივი ტირილი", სადაც დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ჩვეულებრივი ღრიალისა და ვაი-ვაის შემდეგ დამსწრენი მიდიოდენ იქვე გამართულ სეფაში, სადაც გამოჩენილი ტოლუმბაშების ყარაჩოღული რეჩები და გარდაცვალებულის დახასიათება გაისმოდა. სვირული ღვინით სავსე ჩაის ჭიქა ჭიქაზე იცლებოდა, რამაც საღამოზე ხანჯლების და ბებუთების ტრიალი გამოიწვია და იმსხვერპლა ერთი კაცი.

საჭიროა გამოცოცხლებულ იქნას მავნე ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების მუშაობა, მასში ჩაბმულ იქნას რაც შეიძლება მეტი მშრომელი გლეხობა და გლეხი-ქალები.

ჯგალური.

სასტიკათ უნდა აიკრძალოს

(წერილი გურიიდან)

ამ ბოლო დროს გურიის გლეხობის ერთ ნაწილს ძლიერ ცუდი ჩვეულება დაჰჩემდა. ეს არის მიცვალებულის თავის ეზოში დასაფლავება.

ერთი შეხედვით, თითქოს ეს დიდ დანაშაულებათ არ გეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში — დამაფიქრებელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. უნდა წარმოიდგინოთ, თუ რა მდგომარეობაში ვარდებიან ოჯახის დანარჩენი წევრები: გამოვა თუ არა სახლიდან რომელიმე მათგანი, მაშინვე სასაფლაოს უნდა შეხედოს, ხშირათ ასეთი ოჯახების წევრები ქალები და ბავშვები ღამით შიშისაგან გარეთ ვერ გამოდიან. მიცვალებულის შესახებ დაუსრულებელი ფიქრი ხომ ადუნებს შრომის უნარიანობას.

ხშირი სასაფლაოები აფუჭებს მათ ახლომახლო მდებარე სასმელ წყალს, ჰავას და სხვ. ეს მავნე ჩვეულება რაც შეიძლება დროზე უნდა აღმოიფხვრას.

სე—ძე.

აგიტაცია ლოთობის გასავრცელებლათ

(ძირულის თემი, შორ. მაზრა)

რვა მარტს ქალთა დღესასწაული ძირულის თემშიაც ჩატარდა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს საჭირო იყო, არამედ სულ სხვაგვარად. მიტინგი გახსნა ძირულის თემკომის მდივანმა ს. ახობაძემ. ის გაკვრით შეეხო ქალთა დღესასწაულის წარმოშობის ისტორიას და მოუწოდა დამსწრეთ, რომ მიტინგის გათავების შემდეგ გაემართათ კამპანია. ამასთან ერთად თვითეულს უნდა მოეტანა 3 მანეთი სურსათ-სანოვაგისათვის. მიტინგზე დამსწრე ქალებმა უარი განაცხადეს, მაგრამ ს. ახობაძე სავალდებულოთ აცხადებს კამპანიაზე დასწრებას და 1 მან. და 50 კაპ. მოტანას.

ღამის 8 საათზე გაიმართა ქეიფი, შემდეგი შემადგენლობით: ძირულის თემკომის მდივანი ს. ახობაძე, ფოსტა-ტელეგრაფის გამგე ს. დევდარიანი, საექიმო პუნქტიდან: ნ. ცუცქირიძე და დ. ნიორაძე, კოოპერატივის ნოქრები: მაჭავარიანი და მაღლაკელიძე და მიტინგზე დამსწრე ქალების ერთი ნაწილი. ახობაძე ყანწებით აძალებდა ღვინოს ქალებს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ახობაძე თავისი ამქრებით შეუდგა ღვინით გალეშილ ქალებში მიჯნურობას. ამ ქეიფის დროს ქალები უზომოდ დაითვრენ, რამაც ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხობაში.

ნუ თუ დასაშვებია ხელმძღვანელ მუშაკების მიერ ასეთი საქციელი?

ფრიად მართალი.

ქელეხის მოყვარული გამგე

(ხეთა, ზუგ. მაზრა)

ხე-ტყის მრეწველობის ტრესტის ხეთის ქვერაიონის თანამშრომელ კაპიტონ გვალიას გარდაეცვალა ცოლი, გვალიამ მიმართა ტრესტის ქვე-რაიონის გამგე თომა ჩიჩიბაიას აღმოეჩინა მისთვის დახმარება. ჩიჩიბაიამ ქელეხისათვის გვალიას მისცა ხუთი ტომარა პურის ფქვილი იმ დროს, როდესაც ტყეში მომუშავე მუშები სიმინდის ფქვილს ყიდულობენ ფუთს ხუთ მანეთად.

ფქვილის მიცემაზე კიდევ არაფერს იტყოდნენ ტრესტის მუშა-მოსამსახურენი, რომ ჩიჩიბაიას თვით არ მიეღო მონაწილეობა ქელეხში. ჩიჩიბაიამ წინადადება მისცა ტრესტის ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზის ორთქლმავალის მემანქანეებს, რომ 24 მარტს დილით ადრე დაემზადებიათ ორთქლმავალი სოფ. ხორგაში წასასვლელად, სადაც უნდა წასულიყო ჩიჩიბაია და მისი ძმა-ბიჭები ქელეხში. მართლაც ასე მოიქცენ, დილის 9 საათზე ჩიჩიბაია და სხვა მისი თანამშრომლები გაემგზავრენ ხორგაში, სადაც დარჩენ ღამის 11 საათამდე და შეექცეოდენ ღვინოს. ღვინით გალეშილები დაბრუნდენ ისევ ორთქლმავლით. მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც მუშაობდენ ორთქლმავალზე, გამოუწერეს ორმაგი ხელფასი და ამით ტრესტი აზარალეს.

ჩიჩიბაია რომ ქელეხის მოყვარულია, ამის მრავალი მაგალითებია, მაგრამ საკვირველია რატომ უნდა მას, რომ ქელეხებს ხელი შეუწყოს ტრესტის ხარჯზე?

საჭიროა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა ისეთ პირებს, რომელნიც მუშებს ართმევენ სურსათ-სანოვაგეს და ქელეხებში გზავნიან, ხოლო თვითონაც იქ ქეიფობენ.

სკანიკოხი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

თვალყურის დევნება ნათესების მდგომარეობაზე

ა. კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამ.-კავკასიის და რესპუბლიკანურ სტატისტიკის სამმართველოებს თვალყური ადევნონ ნათესების მდგომარეობას.

სრულიად საკავშირო თათბირი საქოვრების საკითხებზე

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ქალაქ აშხაბადში შესდგება სრულიად საკავშირო თათბირი საქოვრების საკითხებზე. აღნიშნულ თათბირზე გაგზავნილი იქნებიან როგორც ამიერ-კავკასიის, ისე ცალკე რესპუბლიკების სპეციალისტები. ა. კ. სახკომსაბჭოს წარმომადგენლად თათბირზე გაგზავნილი იქნებიან პროფ. ა. ტროიცკი და გროსგეიმი. რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ აირჩიონ თათბირზე გასაგზავნი პირები და დაამზადონ საჭირო მასალები.

პურის ქარხნები

ა. კ. სახკომსაბჭომ აუცილებლად სცნო ბაქოში მე-2 პურის ქარხნის აგება.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა გამოარკვიოს—რა მდგომარეობაშია პურის ქარხნების მშენებლობა თბილისსა და ერევანში და რა რაოდენობის თანხაა საჭირო მათ დასამთავრებლად. ამასთანავე ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა წარუდგინოს ა. კ. სახკომსაბჭოს თავისი შეხედულება თბილისში მეორე პურის ქარხნის აგების შესახებ.

საგაზაფხულო თესვისათვის

რა გაკეთდა—რა კეთდება

(წერილი სენაკიდან)

საკრ. ამხ. თათბირი

ამას წინად მაზრამასკომში მოწვეული იყო მაზრის ყველა საკრედ. ამხან. წარმომადგენლების თათბირი თესვის კამპანიის ადგილებზე მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თათბირზე წარმოდგენილი იყო მაზრის ყველა საკრედიტო ამხანაგობა. რა გამოირკვა ხსენებულ თათბირზე?

სიმინდის თესლი

მიღებულია და საკრ. ამხან. შორის განაწილებულია 22.453 ფ. სათესლე სიმინდი. ეს სიმინდი დაურიგდა თესლის არმქონე გლეხებს. მაგრამ სათესლე სიმინდის ხსენებული რაოდენობა სრულიად არ არის საკმარისი გლეხობის 50 პროც. დასაკმაყოფილებლად, მაინც და ეს არის მიზეზი, რომ მრავალ თემსაბჭოს კარებზე, ყოველდღე უამრავი რიცხვია სიმინდის თესლის არ მქონე გლეხებისა, რომელნიც ითხოვენ სათესლე სიმინდს.

მუშა-საქონელი

ის 49 ათასი მანეთი, რაც მიეცა მაზრას გლეხობისათვის დასარიგებლად მუშა-საქონლის შესაძენად—უკვე დარიგებულია. წინასწარი ცნობებით გლეხობას გადაეცა 368 ც. მუშა-ხარი. ხარები ეძლეოდათ ჯგუფურად გაერთიანებულ გლეხებს: ასე გაერთიანებული 5 ოჯახს ეძლეოდა ერთი უღელი ხარი. რასაკვირველია, იყო შემთხვევები, რომ ერთეულ გლეხებსაც მიეცა მუშა-საქონელი.

კონტრაქტაცია

უნდა გატარებულიყო 250 ჰექტარ მიწაზე—სიმინდის, მაგრამ ნორმას გადავაცილეთ, უკვე კონტრაქტაციაქმნილია 3507 ჰექტარ მიწაზე. მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

სას.-სამ. იარაღები

გარდა იმ 2 ტრაქტორისა, რომელიც წელს შემოიტანეს მაზრაში—საკრედიტო ამხანაგობებმა მიიღეს: 258 ც. გუთანი, 20 ც. მათოხი, 30 ც. სათესი, 16 ც. კულტივატორი.

ესენი თითქმის უკვე განაწილებულია გლეხებს შორის და მოთხოვნილებაც მეტია.

არიან ისეთი საკრედ. ამხან., რომელთაც არ მიუღიათ სულ სას.-სამ. იარაღები წელს. ესენია: კიწიის და დიდიჭყონის. ყველაზე მეტ სას.-სამ. იარაღები კი წელს მიიღეს ახ. სენაკმა და ახ. აბაშის საკრედ. ამხანაგობებმა.

ნერგები, ჯიშიანი საქონელი

სენაკის საბჭოთა მამულების ტრესტმა განავითარა ნერგების გაცემა გლეხობაზე და ორგანიზაციებზე ნისიათ სანერგედან. აქედან ნერგი: მანდარინის და სხვა ხეხილების გაქვთ, როგორც მაზრაში არსებული საკრედ. ამხანაგობებს, ისე მაზრის გარეთაც: აბხაზეთში და სხვაგან. ძვ. სენაკის მამული კი ფართოდ ავრცელებს ჯიშიანი ფრინველს და ღორებს გლეხობაში. განსაკუთრებით ისინი ვრცელდება მაზრის დაბალ რაიონებში, ხოლო მაღალ რაიონებში კი ჯერ სუსტად, რაც მიეწერება იქაური საკრედ. ამხანაგობების სისუსტეს.

ზ. უჩანეიშვილი.

ზუგდიდის მაზრაში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

თესვის კამპანია ზუგდიდის მაზრაში გაცხოველებით მიმდინარეობს. გლეხობა ადრევე შეუდგა სამზადისს. შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით მეტი ითესება, განსაკუთრებით კოლექტივებში და ჯგუფურ განაერთებში. მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყო ხვნა-თესვა. 15 აპრილისათვის მაზრაში დაითესა რამოდენიმე ასეული ჰექტარი მიწა. თესვას ძლიერ ხელი შეუშალა 17, 18 და 19 აპრილს მოსულმა დიდმა თოვლმა და ყინვებმა. ნათესები განადგურებულია. 20 აპრილისათვის ამინდი გამოკეთდა. თოვლი აღარაა.

ჯვარის რაიონის წვრილ-ფეხა მეჯოგეებმა დაადგინეს შევიდნენ ამხანაგობა „მეჯოგე"-ს ორგანიზაციაში და გაერთიანდნენ კოლექტივში, რომლის მიზანია მთელი საქონლის მატყლის მიწოდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის.

ა. კოდუა.

ადგილებზე

უპასუხისმგებლო ჯიუტობა

ახალქალაქი, 21 აპრილი. ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ „მასლოცენტრ"-ისაგან მიიღო ერთი ვაგონი ფქვილი ყველის კონტრაქტაციის ანგარიშზე. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობამ არაერთხელ სთხოვა „მასლოცენტრ"-ს ფქვილის გამოგზავნა ბორჯომში, „მასლოცენტრ"-მა ფქვილი ლენინაკანში გაგზავნა. „მასლოცენტრ"-ის ამ თავისებურმა ჯიუტობამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ამხანაგობა: ფქვილი არის, მაგრამ იგი ვერ მიუღიათ. თოვლის დნობის გამო, გზები შეკრულია და ამხანაგობას შეძლება არა აქვს ფქვილი ჩამოიტანოს. გარდა იმისა, რომ ამხანაგობა ფქვილს დაგვიანებით მიიღებს მას ზედმეტი ხარჯის გაღება მოუხდება ვაგონის გაცდენისათვის. (ადს).

თოვლი ხელს უშლის მუშაობას

ოზურგეთი, 21 აპრილი. მინდვრები თოვლით არის დაფარული. ხვნა შესწყდა. დღემდე დაითესა მინდვრების მხოლოდ 10 პროცენტი. ადგილობრივი ორგანიზაციები სუსტად ატარებენ თესვის კამპანიას. (ადს)

არ ტარდება აგრო-ტეხნიკური ღონისძიებები

ბათომი, 21 აპრილი. შემჩნეულია, რომ სოფლის საბჭოები სუსტ მონაწილეობას იღებენ მოსავლიანობის გადიდებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა პროპაგანდასა და პრაქტიკულ გატარებაში. გლეხთა ყრილობებზე განხილული საკითხები მოსავლიანობის გასადიდებლად ამა თუ იმ აგრონომიული ღონისძიების მასიურად გამოყენების შესახებ ცხოვრებაში არ ტარდება (ადს).

სამტრედიის რაიონში

ადგილობრივ სას.-სამ. საკრ. ამხანაგობამ ჩაატარა ფართე ახსნა-განმარტებითი კამპანია საგაზაფხულო თესვის შესახებ.

კონტრაქტაციის მიზნით დაურიგდა გლეხებს და კოლმეურნეობებს სათესლე სიმინდი, სამუშაო ინვენტარისთვის ფულადი კრედიტი და აგრეთვე სესხათ მიეცათ გუთნები, სათოხნი მაშინები და სხვ.

საერთოდ ასეთ წინასწარმა მუშაობამ გამოიღო შესაფერი ნაყოფი და მიწის ხვნა-თესვა მიმდინარეობს არაჩვეულებრივათ.

ხან-კანი.

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის

საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულში.

ამ დღეს წარმოებებში, კლუბებში და წითელ კუთხეებში მოწვეული უნდა იქნეს მუშათა ფართო კრებები, რომლებზედაც მოსმენილი უნდა იქნეს კედლის გაზეთების რედკოლეგიების მოხსენება მათი მიღწევების შესახებ წარმოების გაუმჯობესების და ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის დარგში.

ამას გარდა კრებებზე მოსმენილი უნდა იქნეს მუშკორთა მოხსენებები მათი მონაწილეობის შესახებ პერიოდულ პრესაში, და აგრეთვე მუშგლეხინის და პროკურატურის წარმომადგენლების მოხსენება იმ დახმარების შესახებ, რომელსაც უწევს მათ მუშკორთა შენიშვნები და წერილები.

აუცილებელია კლუბებში და წარმოებებში ჩატარებული იქნეს სახელგამის, „შრომა"-ს და „ზაკკნიგა"-ს მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ; ამასთანავე მოსმენილი უნდა იქნეს პერიოდულ პრესის ადგილობრივ განყოფილებების მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად ასრულებს პერიოდული და არაპერიოდული პრესა თავის ამოცანებს.

იმ მიზნით, რომ ეს დღე წარმატებით იქნეს ჩატარებული და პროფკავშირებმა შეასრულონ ზემოაღნიშნული დავალებანი. პროფკავშირების ბიბლიოთეკებს წინადადება მიეცათ შეარჩიონ სათანადო ლიტერატურა გამოფენების მოსაწყობად და მიიღონ ზომები ლიტერატურის მკითხველთა მასებთან დასაახლოვებლად.

პრესის დღეს ფართო აგიტაცია უნდა იქნეს წარმოებული მუშათა პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამისათვის ფაბქარხადგილკომების სხდომებზე წინასწარ მოსმენილი უნდა იქნეს მოხსენებები კედლის გაზეთების, რედკოლეგიების და მუშკორთა წრეების მუშაობის შესახებ და გამომუშავებული უნდა იქნეს ღონისძიებები მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

შრომის გმირები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შუამდგომლობის თანახმად დაადგინა შრომის გმირის სახელწოდება მიენიჭოს შემდეგ დამსახურებულ მოღვაწეთ: 1) დიმიტ. იოსების ძე გულის, 2) კონსტანტინე ხეჩინოვს, 3) კონსტანტინე დავითის ძე მესხის, 4) ბაირამ-ოღლი ბედიას, 5) სტეფანე საბას ძე გაბაშვილს, 6) ინჟ. არშაკ სერგოს ძე ბაბოვს, 7) ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძეს, 8) სტეფანე ბაქრაძეს, 9) ექ. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, 10) ბორის კარლოს ძე სავინსკის, 11) გიორგი დავითის ძე რთველაძეს და 12) ანდრო ფირცხალავას.

გლეხების მოწყობა ახალ მიწებზე

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სოფ. მცხეთის ჯვარში მცხოვრები 23 კომლი, რომელთაც წყალდიდობა ყოველწლიურად დიდ ზარალს აყენებს, გადასახლებულნი იქნენ სოფ. საკარეში.

ცენტრალური არქივი

ცენტრალურ საარქივო სამმართველოს დებულების პროექტის შესამუშავებლად ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ს. თოდრია (თავმჯდომარე), თ. ჟღენტი, ლინეცკი, იოვიძე, დ. კანდელაკი და ჟუჟიკაშვილი.

პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად

თბილისის მუშკოოპმა მოახდინა მის განკარგულებაში არსებულ საცხობების გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ პურის ხარისხის გაუარესება უმთავრესად გამოწვეულია პურის მცხობელთა და საცხობების გამგეთა დაუდევრობით და ბოროტმოქმედებით. პურის მცხობელები, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ თონეების და ფურნეების ყოფილი მეპატრონენი, განზრახ ხელს უწყობენ ცუდი ხარისხის პურის გამოცხობას. (გამოკვლევამ გამოააშკარავა პურის ფქვილში მჭადის და ქერის ფქვილის დიდი რაოდენობით შერევის შემთხვევები, რასაც მცხობელები ჩადიან პურის კარგი ფქვილის გადამალვის მიზნით).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როგორც საცხობების გამგეები, ისე პურის მცხობელები სრულებით არ იცავენ სისუფთავეს და ზოგ შემთხვევაში განზრახ ქმნიან ანტისანიტარულ პირობებს საცხობებში.

გამოკვლევის მასალების მიხედვით მუშკოოპმა სამუშაოდან მოხსნა № 334 ფურნის გამგე **ლაკურდოვი**, მე-161 ფურნეში მომუშავე პურის მცხობელი **მაკარიანი**, მე-372 ფურნის მცხობელი **ოგანეზოვი**, მე-131 ფურნის მუშა—**ისანიანი**, მეთორნე—**მეტონიძე** და **გასარაძე**.

გარდა ამისა სასტიკი საყვედური გამოეცხადა უკანასკნელი გაფრთხილებით პურის 11 მცხობელს.

უკანონოდ გაცემულ პურის წიგნაკების შესახებ

ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებს, საწარმოებს და დაწესებულებებს

პურის წიგნაკების შემოღების დროს საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია ადგენდა თავისი მუშებისა და მოსამსახურეების სიას, აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთათვის წიგნაკების დასარიგებლად. ამჟამად ირკვევა, რომ მთელ რიგ საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია მეტად არაკეთილსინდისიერად და დაუდევრად ეპყრობოდა იმ მოვალეობას, რომელიც მათ ეკისრებოდა თბილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილებით. სიებს სწორად არ ადგენდნენ, სიაში შეჰქონდათ არარსებული სულები და სხვ. ამის გამო ერთის მხრივ, ადგილი ჰქონდა წიგნაკების უმართებულოდ გაცემას, ხოლო, მეორეს მხრივ, მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში დარჩა ბევრი გამოუყენებელი წიგნაკი, რომლებიც სწორად არ იყო გამოთხოვილი ცენტრალურ კომისიიდან.

ამის გამო პურის წიგნაკების შემომღები ცენტრალური კომისია წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო და „კოოპერატიულ საწარმოს და დაწესებულების ადმინისტრაციას სამი დღის ვადაში დაუბრუნოს ცენტრალურ კომისიას ყველა გამოუყენებელი წიგნაკი. სამი დღის ვადის განვლის შემდეგ უმართებულოდ წაღებული და დაუბრუნებელი წიგნაკების საქმეები გადაეცემა პროკურატურას.

ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე — კ. ოდილავაძე.
მდივანი—ბ. ლასკარი.
23 აპრილი 1929 წ.

ულმერთოთა საზ-ბის თბილისის ორგანიზაციაში

რაიონული კონფერენციები

ქალაქის რაიონში

20 აპრილს თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში გაიხსნა ქალაქის რაიონის ულმერთოთა საზ-ბის წევრთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 300-ზე მეტი დელეგატი. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) ულმერთოთა რაისაბჭოს საანგარიშო მოხსენება და 2) არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. მდივანის მოხსენება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თბილისში და კერძოდ ქალაქის რაიონში ანტირელიგიური მუშაობის წარმოებას მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მიექცა სერიოზული ყურადღება. ამიტომ საბჭოს მთელი მუშაობა უმთავრესად ატარებდა ორგანიზაციულ ხასიათს. ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ზოგიერთი უჯრედები მართალია ჩამოყალიბდა, მაგრამ მათ არაფერი გაუკეთებიათ. რაი-საბჭო ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საზ-ბის უჯრედებს გაეცხოველებიათ მუშაობა; უგზავნიდა მათ მომხსენებლებს ანტირელიგიურ თემებზე, ანტირელიგიურ ხასიათის ლიტერატურას (თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით) და სხვ. რაიონში ორჯერ მოეწყო დისპუტი ანტირელიგიურ საკითხზე. სწარმოებს საწრეო მუშაობა. რაიონში დაარსებულია 28 ანტირელიგიური წრე, საზ-ბის 12 წევრი მეცადინეობს ანტირელიგიურ უნივერსიტეტში და 8 წევრი ანტირელიგიურ კურსებზე. რაიონში დაარსებულია 40-მდე ანტირელიგიური უჯრედი, რომელიც აერთიანებს 3 ათასზე მეტ წევრს. მუშაობის უმთავრეს ხელისშემშლელ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს მატერიალური ბაზის უქონლობა და ანტირელიგიური ლიტერატურის ნაკლებობა. ჩვენი ამოცანაა ანტირელიგიური მუშაობის გასაღრმავებლად მოვამზადოთ კადრი ანტირელიგიურ პროპაგანდისტების, გადაისინჯოს ანტირელიგიური მუშაობის შინაარსი და მეთოდები იმ მხრით, რომ ეს მეთოდები დაუკავშიროთ პარტიის მიმდინარე ამოცანებს, ზედმიწევნით უნდა იქნეს განვითარებული მუშაობა ქალებში, ბავშვთა შორის, მუშებში, წითელ არმიელებში და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ანტირელიგიურ მუშაობას შრომის სკოლებში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ რაი-საბჭო თავის დროზე არ აძლევს დირექტივებს უჯრედებს, უჯრედები აწარმოებენ უგეგმო მუშაობას, ნაციონალობათა შორის ანტირელიგიურ მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა და სხვ. მოითხოვდნენ აგრეთვე, რომ ანტირელიგიური მუშაობა სწარმოებდეს სისტემატიურად და არ ატარებდეს კამპანიის ხასიათს. კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ რაი-საბჭოს მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ მოხდა ულმერთოთა რაისაბჭოს არჩევნები. ახალი საბჭო არჩეულ იქნა 49 წევრის შემადგენლობით.

ლენინის რაიონში

კვირას, 21 აპრილს, ორჯონიკიძის სახ. კლუბის დარბაზში შესდგა ლენინის რაიონის „ულმერთოთა" საზ-ბის წევრთა კონფერენცია. კლუბის დარბაზი, რომელშიაც მიმდინარეობდა კონფერენციის სხდომა სავსე იყო დელეგატებით. მათ შორის იყვნენ წითელარმიელები, მუშები, მუშა-ქალები, მოსამსახურენი და სხვ. სხდომის დარბაზი მორთული იყო სხვადასხვა სახის პლაკატებით და ანტირელიგიური ხასიათის ლოზუნგებით. პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. დოლიძიშვილის მოხსენება ლენინის რაიონის ულმერთოთა საბჭოს მუშაობაზე და მომავალი ამოცანების შესახებ.

ლენინის რაიონში,—ამბობს მომხსენებელი,—სულ რამდენიმე თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ანტირელიგიური მუშაობის დარგში. 1928 წ. ნოემბრიდან დღემდე მთელ რაიონში ჩამოვაყალიბეთ 44 უჯრედი, რომელიც აერთიანებს ოთხი ათასამდე წევრს. უჯრედები დაარსებულია წარმოება-დაწესებულებებთან, სკოლებში და წითელ არმიაში. მუშაობა უჯრედების დასაარსებლად სწარმოებს აგრეთვე საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებში. ყურადღება უმთავრესად ექცევა იმას, რომ გაძლიერებული იქნეს ანტირელიგიური მუშაობა მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილში, რადგან მათ შორის ყველაზე მაგრად აქვს გამდგარი ფესვები ძველ ყოფა-ცხოვრების ნაშთებს. უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშ. ორგანიზაციების მუშაობა ანტირელიგიურ ფრონტზე 1924 წ. შემდეგ საგრძნობლად შესუსტდა. ულმერთოთა უჯრედების დაარსების შემდეგ კომკავშირის ორგანიზაციებმა მთელი ანტირელიგიური მუშაობა საზ-ბის ანაბარა დასტოვეს და კმაყოფილდებიან მხოლოდ ულმერთოთა უჯრედებში წევრად ჩაწერით. აუცილებელია კომკავშირის ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენთან ერთად ანტირელიგიურ მუშაობაში. ულმერთოთა საბჭომ ზოგიერთ სკოლებში ანკეტების საშუალებით ჩაატარა მოწაფეთა ანტირელიგიური განწყობილების გამოკვლევა. გამოირკვა, რომ ამ მხრივ სკოლებში ყველაფერი არ არის თავის რიგზე. მოწაფეები და, შეიძლება ითქვას, მასწავლებლებიც ელემენტარულადაც კი ვერ ერკვევიან ანტირელიგიურ პროპაგანდის საკითხებში. ჩავატარეთ გამოკვლევა რაიონში არსებულ კლუბების, ბიბლიოთეკებისა და გამოვარკვიეთ, რომ ჩვენი კლუბები ანტირელიგიურ მუშაობის საკითხებს ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ბიბლიოთეკებში ანტირელიგიური ხასიათის ლიტერატურა ძალიან უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს: 10.000 წიგნში, მხოლოდ 50—60 წიგნია ანტირელიგიური ხასიათის. ბიბლიოთეკებში არ არის გამოწერილი ანტირელიგიური ხასიათის ჟურნალ-გაზეთები და სხვ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ სამღვდელოება უფრო მოხერხებულად აწარმოებს რელიგიურ პროპაგანდას, ვიდრე ჩვენ ანტირელიგიურ კამპანიას ვაწარმოებთ.

ჩვენი ამოცანაა გავაძლიეროთ ანტირელიგიური ფრონტი. ჩავაბათ ამ მუშაობაში რაიონში შემავალ ყველა სამეცნიერო ძალები, გავაფართოვოთ, უჯრედების ქსელი. მოვამზადოთ ანტირელიგიურ პროპაგანდისტთა კადრი და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 400-მდე ამხანაგმა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ საბჭოს მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. დასასრულს კონფერენციამ აირჩია ულმერთოთა რაი-საბჭოს და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და აგრეთვე დელეგატები ულმერთოთა საზ-ბის საქალაქო კონფერენციისათვის.

ვისი დღესასწაულია „აღდგომა"

საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს დაუგზავნა მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებში გასავრცელებლად ურწმუნოთა კავშირის თბილისის საბჭოს მოწოდება, რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია:

„აღდგომა" ნამდვილი სიმახინჯეა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. სარწმუნოებრივ დღესასწაულებს, მეტადრე აღდგომას, მუდამ თან სდევს ლოთობა, გარყვნილება, სიბინძურე. სააღდგომო დღესასწაულებზე ქეიფი და ლოთობა აუცილებლად იწვევს შემდეგ დღეებში სამუშაოს გაცდენას და შრომის დისციპლინის დაცემას წარმოება-დაწესებულებებში.

ამით რელიგიური დღესასწაული უდიდეს ზარალს აყენებს ჩვენს მრეწველობას. ეს ზარალი მრავალ მილიონ მანეთს შეადგენს.

გასული (1928) წლის „აღდგომის" დღესასწაულებზე მარტო მოსკოვში დალეული იყო 1.800.000 ბოთლი არაყი და სხვადასხვა მაგარი სასმელი.

გასულ „აღდგომის" უქმეებზე მარტო მოსკოვში მილიციის ორგანოებში შედგენილი იყო 1.352 ოქმი, ლოთობის ნიადაგზე მოხდა 62 უბედური შემთხვევა, სასწრაფო დახმარების ეტლი 400-ჯერ იყო გამოძახებული; მთელი საბჭოთა კავშირისათვის რომ ავიღოთ ეს ციფრები, ცხადია, ბევრჯერ უფრო მეტი იქნება.

სამუშაოს გაცდენა ცუდ გავლენას ახდენს ჩვენს ფაბრიკა-ქარხნების მუშაობაზე და ჩვენს ქვეყანას უდიდეს ზარალს აყენებს.

„აღდგომის" დღესასწაულებს ყოველთვის თან ახლავს მეშჩანური სულისკვეთების გაძლიერება. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს სააღდგომო ტრადიციების შემოჭრას მუშათა კლასის ცხოვრებაში, უნდა ვიბრძოლოთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ განვდევნოთ ჩვენი ცხოვრებიდან სარწმუნოება, ლოთობა, ქალის დამცირება, ანტისემიტიზმი და ყველაფერი ის, რაც წყეულმა წარსულმა დაგვიტოვა და რაც ხელს გვიშლის სოციალიზმის მშენებლობაში.

„აღდგომა" არის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხების მტრების დღესასწაული. „აღდგომის" დღესასწაული მუშათა კლასისათვის უცხოა. მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლაში იქმნება მშრომელთა ახალი დღესასწაულები: პირველი მაისი, პარიზის კომუნის დღე, ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავი და სხვ.

პირველი მაისი შრომის დღესასწაულია, იმ შრომის, რომელიც კლასთა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა. პირველი მაისი არის მსოფლიო პროლეტარიატის ძალების დემონსტრაცია. საბჭოთა კავშირში პირველი მაისი არის ახალი ცხოვრების მშენებლობის დღესასწაული.

ჯერ კიდევ დიდი და ხანგრძლივი ბრძოლაა საჭირო ლოთობის, ხულიგნობის, ანტისემიტიზმის, ქალის დამცირების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობაა საჭირო, რომ მოვსპოთ მშრომელ ხალხში უმეცრება, გავაჯანსაღოთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება, მოვსპოთ ინდივიდუალისტური სულისკვეთება, გავაძლიეროთ ინტერნაციონალური აღზრდა, დაუზოგავი ბრძოლა ვაწარმოოთ ლოთობის, სამუშაოს გაცდენის წინააღმდეგ, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, რაც ურწმუნოთა კავშირის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს.

სარწმუნოება უდიდესი დაბრკოლებაა ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის გზაზე. ეს დაბრკოლება რომ გადავლახოთ, ამისათვის საჭიროა გავაძლიეროთ ანტირელიგიური მუშაობა, გავაძლიეროთ ურწმუნოთა კავშირი, ყველგან დავაარსოთ ამ კავშირის უჯრედები. როცა ურწმუნოთა კავშირი კლასობრივ ორგანიზაციათ გადაიქცევა, როცა მასში მრავალი მილიონი მუშა და გლეხი ჩაებმება, მაშინ ახალი ცხოვრების მშენებლობა, ძველი სარწმუნოებრივი ზნეჩვეულებების და ძველი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით განვითარდება.

ამჟამად თბილისში არსებობს ურწმუნოთა კავშირის 175 უჯრედი, რომლებშიაც 10.000 წევრი ირიცხება. ეს რიცხვი, რასაკვირველია, მეტად მცირეა. საჭიროა ანტირელიგიური კამპანიის დროს ურწმუნოთა კავშირში ჩავაბათ მშრომელთა ახალი მასები.

პენსიონერთა უზრუნველყოფის საქმე

როდის დაიწყო ინვალიდობისაგან დაზღვევა ჩვენში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში, იმ ინვალიდების რიცხვიდან, რომელნიც დაქირავებით შრომას ეწეოდენ, და ამ შრომის პროცესში დაჰკარგეს შრომის უნარი, პენსიას იღებდენ მხოლოდ ისინი, რომელთა დაინვალიდება გამოწვეული იყო პროფესიონალური დასახიჩრებით. მაშასადამე, რაც შეეხება ინვალიდობას, გამოწვეულს მოხუცებულობით, ან ზოგადი სხვადასხვა დაავადებით, ასეთი ინვალიდები ან ნათესავების უზრუნველყოფაზე იმყოფებოდენ, ან და ქუჩაში ხელგაწვდილნი მოწყალებას ითხოვდენ.

ასეთ დამამცირებელ მდგომარეობას ბოლო მოეღო მხოლოდ 1921 წლიდან, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

საქართველოს ს.ს.რ. რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტით, ყველა დაქირავებით მომუშავე პირი, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში, მიუხედავად იმ მიზეზისა, თუ რამ გამოიწვია იგი, უზრუნველყოფილია ყოველთვიური პენსიით, აგრეთვე უზრუნველყოფილია პენსიით ასეთი პირების შრომის უნარმოკლებული ოჯახის წევრები მარჩენალის გარდაცვალების, ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევებში.

უზრუნველყოფაზე აყვანილ პენსიონერების რიცხვი

ამ დეკრეტის გამოცემისთანავე საქართველოს სოციალური დაზღვევის ორგანოები შეუდგნენ შრომის ინვალიდთა და მარჩენალ მოკლებულ ქვრივ-ობოლთა ოჯახების პენსიაზე აყვანას. მაგრამ 1924—25 წლამდე სოციალური დაზღვევის ორგანოების სტატისტიკა იმდენად მოუწესრიგებელი იყო, რომ ხელთ არა გვაქვს უტყუარი ცნობები პენსიონერთა რიცხვის შესახებ. 1924—25 საოპერაციო წლიდან კი პენსიაზე აყვანილი ჰყავდა დამზღვევ ორგანოებს:

1925 წლ.	1-ლ ოქტ-სათვის	—2453	პენს. ანუ ყოველ 1000 დაზღვ.	27,8
1926 „	„ „	4089	„ „ „ „	36,1
1927 „	„ „	5686	„ „ „ „ „	48,7
1928 „	„ „	8032	„ „ „ „	63,6
1929 „	1-ლ იანვრისათვის	8855.	„ „ „ „	72,8

ამნაირად, 1929 წლის იანვრის 1 რიცხვისათვის საქართველოში პენსიონერთა რიცხვი გაიზარდა 1925 წელთან შედარებით 260,9 პროცენტით, ხოლო აქტიურ დაზღვეულთა რიცხვის ზრდას წინ გაუსწრო 161,9 პროცენტით.

როდესაც პენსიონერთა რიცხვის მოძრაობას ვეცნობით წლების მიხედვით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება.

პირველი—თუ ავიღებთ პროფესიონალური დასახიჩრებით დაინვალიდებულ პირთა რიცხვს, ასეთი ინვალიდები ინვალიდთა საერთო რიცხვის მხოლოდ 4,6 პროც. შეადგენენ. მაშასადამე, ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა, ინვალიდების 95,4 პროც. სრულიად უპატრონოდ რჩებოდა ქუჩაში; მათი ხვედრი ან მათხოვრობა, ან სხვის სამადლოთ ყოფნა იყო. მეორე — პენსიონერების რიცხვის ზრდა საქართველოში ფრიად ჩქარი ტემპით ხდება. ამ ზრდამ გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს. პირველ წლებში ჩვენ ვფიქრობდით, რომ ასეთი ზრდა გამოწვეული იყო ძველი ინვალიდების პენსიაზე ჩარიცხვით. მართლაც, პირველ ხანებში, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, საქართველოს დამზღვევ ორგანოებს მოუხდათ წინად არსებული ინვალიდების რეზერვის ერთად აყვანა უზრუნველყოფაზე. მაგრამ ეს რიცხვი 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის უკვე ამოწურული იყო და ამის შემდეგ უზრუნველყოფაზე დამზღვევ ორგანოებს აჰყავდათ ახლად დაინვალიდებული პირები. მიუხედავად ამისა, თუ 1926 წლის ოქტომბრის 1 რიცხვისათვის საქართველოს დამზღვევ ორგანოებს 4089 პენსიონერი ჰყავდათ აყვანილი უზრუნველყოფაზე, 1929 წლის იანვრის 1 რიცხვისათვის კი ეს რიცხვი უკვე 8855 აღწევს, ანუ გაიზარდა 116,5 პროცენტით.

პენსიონერთა რიცხვის ზრდის მთავარი მიზეზები

არც ერთ ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში არ იძლევა პენსიონერთა რიცხვი ისეთ დიდ მაჩვენებლებს, როგორც ჩვენში.

მაგალითად, ყოველ 1000 აქტიურ დაზღვეულზე (განათლების მუშაკთა რიცხვის გამოკლებით) მოდიოდა:

საანგ. თარიღი	საქართ.	აზერბ.	სომხ.
1925 წ. 1/X	27,7	28,5	12,0
1926 წ. „	35,4	33,1	17,9
1927 წ. „	45,8	35,3	26,8
1928 წ. „	63,6	47,4	—
1929 წ. 1/I	72,8	48,4	—

ამნაირად, პენსიონერების რიცხვის მაჩვენებელი 1925 წლის ოქტომბრის 1 რიცხვთან შედარებით, 1929 წლის 1-ლ იანვრისათვის საქართველოში გაიზარდა 162,8 პროცენტით, აზერბეიჯანში კი—69,8 პროცენტით.

რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ შრომის დარგები საქართველოში უფრო მავნებელი და საშიშარია, ვიდრე აზერბეიჯანში, რომ ასეთ ხშირ შემთხვევებს იძლევა ინვალიდობისას? თავის თავად ცხადია, ამ მოვლენის ასახსნელად მარტო შრომის დარგების მავნებლობა-საშიშროების, ხარისხით ვერ ვიხელმძღვანელებთ. არიან სხვა ფაქტორები, რომელნიც ხელს უწყობენ პენსიონერების რიცხვის ზრდას საქართველოში.

ერთი ამ ფაქტორთაგანია მიწის სივიწროვე ჩვენში, რაც აიძულებს მოსახლეობის ნაწილს მიმართოს დაქირავებით შრომას. საქართველოს მოსახლეობა ამ მიზეზის გამო იმდენ თავისუფალ მუშა-ხელს იძლეოდა, რომ ადგილობრივი მრეწველობა ვერ იტევდა მას და საგრძნობი ნაწილი თავისუფალი მუშა-ხელისა იძულებული იყო სამუშაო ეძებნა საქართველოს გარეშე. და, აი, როცა ამ ნაწილიდან შრომის უნარს ჰკარგავენ, იქ პენსიაზე ჩარიცხვის შემდეგ, უბრუნდებიან საქართველოს, სადაც ჰყავთ ნათესავები და ხშირად მოეპოვებათ სამოსახლო პატარა ქონება.

მეორე ფაქტორი, რომელიც ერთგვარ გავლენას ახდენს პენსიონერების რიცხვის ზრდაზე, ეს არის მეზობელ რესპუბლიკებთან შედარებით ჩვენში უკეთესი ჰავა და ცხოვრების უფრო იოლი პირობები. ეს გარემოება იწვევს პენსიონერების საქართველოსკენ ლტოლვას.

აი ის ფაქტორები, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებში აყენებენ საქართველოს პენსიონერთა უზრუნველყოფის საქმეში.

საერთოდ კი მომავალში ჩვენ უნდა ველოდეთ პენსიონერთა რიცხვის კიდევ უფრო ჩქარი ტემპით ზრდას, და აი რატომ:

შრომის ნაყოფიერების გადიდება ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საჭირბოროტო კითხვას წარმოადგენს. ერთი საშუალებათაგანი ამ ამოცანის გადასაჭრელად დაქირავებული მუშა-ხელის შემადგენლობის გაწმენდაა მოხუცებულ მუშა-ხელიდან. ამიტომ მოხუცებულობისაგან დაზღვევის შემოღება უკვე დღის წესრიგში სდგას. ამჟამად ეს კითხვა უკვე გადაწყვეტილია საფეიქრო მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა მიმართ. ამ მოკლე ხანში ეს კანონი გავრცელდება ლითონის, სამთა-მადნო და პოლიგრაფიულ წარმოებებში ჩაბმულ მუშა-ხელზეც.

ამნაირად, შრომის დაავადებულ ინვალიდთა არმიას მოემატებიან შრომის ინვალიდთა ახალი კადრები, რომელნიც მოიხსნებიან სამსახურიდან არა იმიტომ, რომ ისინი დაავადებული არიან, არამედ იმის გამო, რომ მათ მიაღწიეს განსაზღვრულ ხნოვანობას. მაგალითად, მამაკაცმა 60 წელს, ხოლო დედაკაცმა 55 წ. ყველა ეს პირები აყვანილი იქნებიან პენსიაზე და მათ მიეცემათ ხელფასის ორი მესამედი.

პენსიონერთა უზრუნველყოფა

თვიური პენსიის ოდენობა წლების მიხედვით იზრდებოდა ასე:

საანგარიშო თარიღი	შრომის ინვალიდის	ქვრივ-ობ. ოჯახის
1924/25 წელში	11—78 კ.	8—72 კ.
1925/26 „	18—55 „	15—71 „
1926/27 „	22—35 „	18—63 „
1927/28 „	24—91 „	19—79 „

ეს არის თანხა, რომელიც ხელზე ეძლევათ პენსიონერებს ყოველთვიურად პენსიის სახით. მაგრამ გარდა ამისა პენსიონერები სარგებლობენ უფასო საექიმო სამკურნალო დახმარებით, დახმარების დამატებითი სახეებით და სხვა.

თუ ავიღებთ ყოველგვარ ხარჯებს, რომლებსაც დამზღვევი ორგანოები ეწევიან პენსიონერთა უზრუნველყოფაზე, როგორიც არის ყოველთვიური პენსია, საექიმო დახმარება, საორგანიზაციო ხარჯები, ექსპერტიზის შენახვა და დახმარების დამატებითი სახეები, საშუალოდ ერთ პენსიონერზე წელიწადში იხარჯება:

1924/25	საოპერ. წელში	171 მან. 37 კაპ.
1925/26	„ „	251 „ 35 „
1926/27	„ „	271 „ 49 „
1927/28	„ „	311 „ 99 „

ამნაირად, თვიური პენსიის ოდენობა 1927—28 წელში, 1924—25 წელთან შედარებით, გაიზარდა 111,5 პროცენტით, ხოლო საერთო ხარჯები ერთ პენსიონერზე წელიწადში—82 პროცენტით.

პენსიონერებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა სოცდაზღვევის ხარჯების საერთო ჯამში უდრის:

1924/25	საოპერ. წელში	8,8%
1925/26	„ „	12,5%
1926/27	„ „	17,8%
1927/28	„ „	20,7%

ხოლო თუ ვიანგარიშებთ პენსიონერებზე გაწეულ ხარჯების აბსოლიუტურ ჯამს წლების მიხედვით, ასეთ ციფრებს მივიღებთ:

1924/25	საოპ. წელში დაიხარჯა	323.853 მ.
1925/26	„ „ „	724.137 „
1926/27	„ „ „	1.210.057 „
1927/28	„ „ „	1.874.490 „

ამ ცნობებიდან აშკარათა სჩანს, თუ რამდენად დიდი ყურადღება ექცეოდა პენსიონერთა უზრუნველყოფის საქმეს განხილული პერიოდის განმავლობაში. მომავალში პენსიონერთა უზრუნველყოფის საქმე კიდევ უფრო გაფართოვდება. მუშათა კლასი, რომელიც თვითონ უდგას სათავეში სახელმწიფო მართვა-გამგებლობას, რომელიც თვით ხელმძღვანელობს სახალხო მეურნეობის განვითარებას, თავის თავად ცხადია, რამდენათაც ამის ნებას მისცემს სახელმწიფოს ნივთიერი შეძლება, პენსიონერთა უზრუნველყოფის საქმეს სათანადო სიმაღლეზე დააყენებს.

მაგრამ არ კმარა პენსიონერთა მხოლოდ ნივთიერი უზრუნველყოფა. სოციალური დაზღვევის ორგანოების და ჩვენი სახალხო მეურნეობის წინაშე მეორე არა ნაკლები მნიშვნელობის პრობლემაა წამოყენებული. ჩვენ ზევით განვიხილეთ პენსიონერთა რიცხვის მოძრაობა და დავინახეთ, თუ როგორი სისწრაფით იზრდება ეს რიცხვი. ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეჩერდება პენსიონერთა რიცხვის ასეთი სისწრაფით ზრდა. სოციალური დაზღვევის 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს დამზღვევ ორგანოებს დაახლოებით 17816 პენსიონერი ეყოლებათ უზრუნველყოფაზე აყვანილი 1933 წლის ოქტომბრისათვის. ამ რიცხვიდან შრომის ინვალიდები შეადგენენ 11.000 კაცს, ანუ დაქირავებული მუშა-ხელის საერთო რიცხვის 7,2 პროც. ამნაირად, ყოველ 100 დაქირავებით მომუშავე პირზე 7 შრომის ინვალიდი მოდის. ისმება კითხვა, შეიძლება თუ არა ამ 11.000 შრომის ინვალიდიდან გამოყოფა ისეთი პირების, რომელთა შრომის გამოყენება შეუძლია ჩვენს სახალხო მეურნეობას. ჩვენ გვაქვს უამრავი მაგალითები იმის, თუ დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ამერიკაში, როგორ იყენებენ ინვალიდთა შრომას. ფორდი ამის საუცხოო მაგალითს იძლევა. ამ კაპიტალისტმა წარმოებაში ჩააბა არა თუ ნახევრად შრომის უნარ მოკლებული ინვალიდები, მის ქარხანაში მუშაობენ უფეხონი, ბრმები და სხვა. რასაკვირველია, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძლებთ შრომის ინვალიდების ამ სახით გამოყენებას, მაგრამ რაც შეეხება მესამე ჯგუფის ინვალიდებს, რომელნიც ინვალიდთა საერთო რიცხვის თითქმის 40 პროცენტს შეადგენენ, მათი გამოყენება, ჩაბმა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში შესაძლებელია.

აი, ეს კითხვა დღის წესრიგში უნდა დასვან როგორც დამზღვევმა ორგანოებმა, ისე სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელმა პირებმა. მესამე ჯგუფის ინვალიდები გამოსადეგი აღარ არიან თავის პროფესიისათვის, მაგრამ რაც შეეხება უფრო იოლ სამუშაოს, მათ წარმატებით შეუძლიათ ასეთი სამუშაოების შესრულება. საჭიროა ცხოველი ყურადღება მიექცეს ამ კითხვის ორგანიზაციულ მხარეს, ვინაიდან ამ გზით ამჟამად უქმად გაჩერებული მუშა-ხელი ინვალიდებისა იმდენ ღირებულებას შექმნის, რომ დამზღვევი ორგანოების ხარჯსაც აანაზღაურებს და სახალხო მეურნეობასაც თვალსაჩინო სარგებლობას მოუტანს. მესამე ჯგუფის ინვალიდების შრომის გამოყენება, ამ შრომით შექმნილი დოვლათი დამზღვევ ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს გააუმჯობესონ ნივთიერი მდგომარეობა პირველ და მეორე ჯგუფის ინვალიდების, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან შრომის ყოველგვარ უნარს.

ბ. ჟუმბურიძე.

ქრონიკა

საბინაო მშენებლობა

თბილისში მუშათა საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად თბილისის აღმასკომმა ცენტრ. კოოპ. ბანკიდან სესხად გამოითხოვა 291.000 მანეთი. აღმასკომის მიერ დამტკიცებულ გეგმის მიხედვით აღნიშნულ თანხიდან 11.000 მანეთი გადაიდება აგურის ქარხნების მუშათა ბინების ასაგებათ. საბინაო - საამშენებლო ამხ-ბას — „თბილისის რკინისგზელებს“ მიეცემა — 46.000 მანეთი, ლენინის სახელობის ამხ-ბას — 8.000 მ., „პრომბანკს“ — 57.000 მ., კარლ-მარქსის სახ. საბინაო - საამშენებლო ამხ-ბას — 30.000 მ., მიხა ცხაკაიას სახელობის ამხ-ბას — 61.000 მ., ამხ-ბა „კოოპერაცია“-ს — 38.000 მ., ამხ-ბა „ისს“— 30.000 მანეთი, ამხ-ბა „წინ“-ს — 7.000 მ., და ამხ-ბა „ალიონს“ — 3.000 მან. გარდა ამისა წელს სახლების შეკეთებაზე დაიხარჯება 400.000 მანეთი.

მუშათა ფართო კონფერენციები

საქ. პროფსაბჭომ დაადგინა უპარტიო მუშათა ფართო კონფერენციები მოწვეული იქნეს: ლენინის რაიონში 24 აპრილს (ტრამვაელთა კლუბში), 26 კომუნარის სახელობის რაიონში 25 აპრილს (აღმშენებელთა კლუბში) და ქალაქის რაიონში 25 აპრილს (მუშათა სასახლის დიდ დარბაზში).

დელეგატები მანდატებს მიიღებენ ფაბქარხადგილკომებში.

ხელშეკრულების დადება „მუსტრესტსა“ და საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტს შორის

ამ დღეებში ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას საკავშირო „მუსტრესტსა“ და საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტს შორის. ხელშეკრულების თანახმად საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტმა „მუსტრესტს“ უნდა მიაწოდოს ძვირფასი ჯიშების ტყის მასალა საკრავ იარაღების დასამზადებლად. სულ ერთი წლის განმავლობაში სატყეო მრეწველობის ტრესტმა „მუსტრესტს“ უნდა ჩააბაროს 300.000 მანეთის სატყეო მასალა.

თამბაქოს ექსტრაქტების დამზადება

საქართველოს „ლაბორმმარაგების“ ლაბორატორიამ დაამზადა და უკვე გადასცა სომხეთისა და აზერბეიჯანის სას.-სამეურნეო კოოპერაციას 6.000 კილოგრამი თამბაქოს ექსტრაქტი, მოსავლის მავნებლებთან საბრძოლველად. საქართველოს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ლაბორატორია ამზადებს 3.600 კილოგრამ ექსტრაქტს.

თამბაქოს ექსტრაქტების წარმოება ამიერ-კავკასიაში პირველად იწყება.

1 მაისის დღესასწაულისათვის

1 მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ თბილისში ბაქოდან ჩამოვა 450 მუშა.

ბამბის დამზადება

ამიერ - კავკასიის ბამბის კომიტეტის ცნობით, მიმდინარე სეზონში საქართველოში ბამბის საწმენდ ქარხნებში მიღებულ იქნა 770 ტონა ბამბა. აქედან ცენტრში გადაიგზავნა 738 ტონა, ხოლო საქართველოს ადგილობრივ საფეიქრო მრეწველობას გადაეცა 182 ტონა.

ბამბის საწმენდი ქარხნების მუშაობის სეზონი ამიერ - კავკასიის სამ რესპუბლიკაში 1-ლ მაისს დასრულდება. (ადს).

თბილისის აღმასკომში

✦ **კომუნა „წითელ კუმისს“** თბილისის აღმასკომმა დახმარების სახით მისცა 500 მ.

✦ **მუშკოოპის მუშაობის** გამოსაკვლევად თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოყო 2 კაცი.

ჯანმრთ. სახ. კომისარიატში

✦ **ლაბორატორია.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ლეჩხუმში მოაწყოს სასანიტარო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

✦ **პასტერის სადგური.** სიღნაღში ჯანსახკომი ხსნის პასტერის სადგურს.

✦ **ვენეროლოგიური პუნქტები.** ვენერიულ სენებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ჯანსახკომი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში აწყობს 7 ვენეროლოგიურ პუნქტს.

უსინათლოთა დამხმარე საზ-ბაში

✦ **გამოფენა.** უსინათლოთა დამხმარე საზ-ბა ინვალიდთა კლუბში ახლო ხანში აწყობს უსინათლოების ნაწარმოებთა გამოფენას.

✦ **მაღაზია.** საზ-ბამ რუსის ქუჩაზე გახსნა სპეციალური მაღაზია, სადაც იყიდება უსინათლოთა მიერ დამზადებული ჩოთქები, კალათები და სხვა ნივთები.

სხვადასხვა

✦ **კურსები.** ფიზკულტურის უმ. საბჭო თბილისში 28 აპრილს ხსნის ფიზკულტურის ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსებს 50 კაცისათვის. 28 ადგილი დათმობილი აქვს მაზრებს.

✦ **ა. წ. 24 აპრილს,** ოთხშაბათს, საღამოს სრულ 6 საათზე, სტუდენტთა კლუბში მოწვეულია სოც-ეკონომიურ ფაკულტეტის საერთო კრება; დღის წესრიგში სდგას ფაკ. დეკან. ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება ფაკულტეტის მუშაობის შესახებ.

ფასების აწევის წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია, რომ როგორც კოოპერატიული, ისე სავაჭრო ორგანიზაციები ფასებს უმატებენ პირველ საჭიროების საგნებზე, როგორიცაა მარილი, შაქარი, ჩაი, საპონი, ბრინჯი, ლობიო, კარტოფილი, ხახვი და სხვა.

როგორც ირკვევა, ფასების ზრდას აღნიშნულ საგნებზე იწვევს ადმინისტრატიული და ზედნადები ხარჯების გადიდება.

ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ზოგიერთ სავაჭროების ხელმძღვანელთა თვითნებობას და კოოპერატიულ სავაჭროებში ფასების დაწესებას კერძო ბაზრის მიხედვით.

შექმნილ მდგომარეობის შესასწავლად და ფასების გადიდების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მისაღებათ ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ შეიმუშავა შესაფერი გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით, პირველ რიგში გამოკვლეული იქნება ფასების მომატების მიზეზები და დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში. ფასების აწევასთან საბრძოლველად აღმასკომებთან სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით დაარსებული იქნებიან სპეციალური კომისიები.

ასეთი კომისია უკვე დაარსდა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებასთან. კომისია მუშაობას შეუდგება ამ დღეებში.

საჰაერო რკინისგზის გაყვანა აჭარისტანში

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სამეცნიერო—ტექნიკურმა საბჭომ განიხილა აჭარისტანში ახალი საჰაერო რკინისგზის გაყვანის საკითხი. საჰაერო რკინისგზის გაყვანა განზრახულია ყარა-შელვარის სატყეო უბნიდან სოფ. კაპანდიბამდე, ე. ი. 7 კილომეტრის მანძილზე. კაპანდიბიდან ბათომამდე გაყვანილი იქნება რკინის გზის ხაზი, რომლითაც გადმოზიდავენ საჰაერო რკინისგზით ჩამოტანილ ხე-ტყეს.

ყარა-შელვარის ტყიდან ხე-ტყე გამოტანილი იქნება ბათომის ხის დამმუშავებელი ქარხნისათვის, სადაც შემდეგში გადაწყვეტილია მოეწყოს სატკეჩე განყოფილებაც.

სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს სხდომაზე გამოირკვა, რომ საჰაერო რკინის გზის გაყვანა ეკონომიურათ ხელსაყრელი და ტექნიკურად შესაძლებელი იქნება. საჰაერო რკინის გზა გაყვანილ უნდა იქნეს, ისე რომ რკინის გზამ შესძლოს მექანიკური წესით მუშაობა.

როგორც ვაგონების მოძრაობა, ისე მათი დატვირთვა-გადმოტვირთვა იწარმოებს მექანიკურათ.

საჰაერო რკ. გზა იმუშავებს ელექტრო-ენერგიით, რისთვისაც მოწყობილი იქნება სპეციალური დიზელებიანი ელექტრო-სადგური. საჰაერო რკინისგზის გაყვანა, მისი სრული მოწყობა, ელექტრო-სადგურის აგება და ფართო ლიანდაგიანი რკინისგზის გაყვანა ბათომიდან სოფ. კაპანდიბამდე (9 კილომეტრის მანძილზე) სულ დაჯდება 11.196.807 მან.

საჰაერო რკინის გზის მოწყობილობა შეკვეთილი იქნება საბჭოთა კავშირის ქარხნებში. გზის მშენებლობის დაწყება განზრახულია მომავალ საბიუჯეტო წლიდან.

ფოთი

ამა წლის 15 მარტიდან თეთრი ტვირთის მუშები (არა მარგანეცზე მომუშავენი) „ზაკპოგრუზი“-დან „სოვტორგფლოტ“-ის ორგანიზაციაში გადავიდნენ. ამასთან დაკავშირებით მუშათა საგარანტიო ხელფასი გადიდებულ იქნა 37-დან 45 მანეთამდე. ხელფასის დარიგებაც თავის დროზე უზრუნველყოფილია. მუშათა სპეცტანსაცმელი და ფეხსაცმელი მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული. შვებულების დრო ორიდან, სამ კვირამდე აიყვანეს, გაუმჯობესდა შრომის დაცვის პირობები და სხვ.

ყველა ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას. დღეს თითქმის ადგილი აღარ აქვს მუშათა შორის სიმულიაციას, რაც წინეთ საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო. მუშებიც მეტად ფრთხილად ეკიდებიან დასატვირთავ საქონელს. საქონლის დაზიანება, წყალში გადაყრა და სხ. აღარ ხდება.

მუშათა შრომის დაცვის პირობებიც გაუმჯობესებულ იქნა. ასე, მაგალითად: თუ, „ზაკპოგრუზი“ს დროს თვიურად საშუალოთ 30 შემთხვევა მაინც იყო მუშათა დასახიჩრების, სიკვდილის და სხ., „სოვტორგფლოტზე“ საქმის გადასვლის დღიდან, ე. ი. 15 მარტიდან დღემდე, სულ ორი შემთხვევის მეტი არ ყოფილა მუშათა მსუბუქი დაშავებისა.

დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშათა შორის კულტურული მუშაობაც: — მუშათა სასახლესთან არსებობს კარგათ მოწყობილი კლუბი თავისი სცენით; არსებობს სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც თვეში ორჯერ სდგამს წარმოდგენებს; არის კინო, სისტემატიურათ კვირაში ორჯერ მიდის სურათები, ხოლო ამ სურათებით მუშები უკმაყოფილო არიან, რადგან ხშირად ძველის - ძველი, ამერიკული ჟანრის, და თან იდეოლოგიურათ და მხატვრულათაც სავსებით მიუღებელ სურათებს უჩვენებენ. არის ლურჯხალათიანთა წრე. გამოდის ოთხი კედლის გაზეთი, რომელთაგან ყველაზე უკეთ პიონერთა გაზეთია დაყენებული; არის რადიო, რომლითაც მუშები დღემდე ვერ სარგებლობენ, რადგან უკვე რამოდენიმე თვეა ელიან ინსტრუქტორს ცენტრიდან, მაგრამ დღემდე არავინ სჩანს; ჟურნალ-გაზეთების გავრცელება სათანადო სიმაღლეზეა.

უმუშევრობა ამოწურულია, სამუშაო ხელფასი საკმაოდ გვარიანია, შრომის დაცვა უზრუნველყოფილია, მაგრამ იქა-იქ მაინც აღნიშნავენ: ბევრს აკლია პროლეტარული სულიკვეთებაო. ამიტომ საჭიროა, დიდი ყურადღება მიექცეს კიდევ უფრო დაახლოებას მუშების წარმოებასთან, ხოლო ამ უკანასკნელ გარემოებას ყველაზე მეტათ საბინაო საკითხის მოწესრიგება შეუწყობს ხელს.

გ. რიონიძე.

ბრძოლა წყალდიდობასთან

სოხუმი, 22 აპრილი. უკანასკნელ წვიმების გამო საგრძნობლად აიწია მდ. ენგურის დონემ. წყალდიდობა ემუქრება მრავალ სოფელს, ნაპირების გასამაგრებელი მუშაობა მხოლოდ მდინარის მარცხენა ნაპირზე სწარმოებს. ამის გამო ცაკმა წინადადება მისცა აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს — სასწრაფოდ შეუდგეს ენგურის მარჯვენა ნაპირის გამაგრებას. 19 აპრილს მდინარემ გაიტაცა ბორანი 5 მგზავრით. ბორნის ერთი ნავი დაიმსხვრა, მეორე ნავი ნაპირზე გაირიყა. ადამიანის მსხვერპლი არ არის (ადს).

სასამართლო

ისწავლიან როგორ უნდა პურის გამოცხობა

სტამბის მუშებმა **ილარიონ ჩაგუნავამ** და **გრამიტონ ლევიძემ** 9 აპრილს მუშკოოპის 377 დუქანში იყიდეს პური, რომელიც ჩვეულებრივ პურს არ ჩამოგავდა, არც ფერით, არც სუნით. ამიტომ მათ გადასწყვიტეს ჯერ ქარხკომში წარედგინათ პური და გამოერკვიათ — შეიძლებოდა თუ არა მისი ჭამა.

ქარხკომში პური გასინჯულ იქნა და, დადასტურდა, რომ არ შეიძლება მისი ჭამა. პურის ნაჭრები გადაგზავნილ იქნა სადაც ჯერ არს.

დაიწყო საქმის გამოძიება: გამოირკვა, რომ პურის საცხობის გამგეს **აზატ პეტროსიანს** სხვადასხვა მოსაზრებით პურის მაგიერ გამოუცხვია შერია და ისიც ძალიან ცუდათ.

პეტროსიანი გაიგზავნა გამსახლში — და მას შემდეგ მშვენიერი პური ცხვება № 377 პურის საცხობში.

8 აპრილს მოქ. ნატალია დოშტოიანმა მეეზოვეს პური აყიდვია კოპერატიულ საზოგადოება „რაჭა“-ს № 34 თორნეში.

ოჯახის წევრები შეუდგნენ პურის ჭამას.

— რა არის დედა! თევზის სუნი აქვს პურს, — ეუბნება ბავში.

— ალბად მეეზოვემ თევზი იყიდა ბაზარში და პურთან ერთად წამოიღო. მეორე ნაჭერი სჭამე შვილო!

გასჭრა დედამ პური და მიაწოდა ბავშს. გასტეხა ბავშმა პური და რას ხედავს! ვეებერთელა თევზის კუდი.

დაშტოიანის ქალი წავიდა მილიციაში და აცნობა ამ ამბის შესახებ. გამოძახებულ იქნენ პურის საცხობის გამგე **სიმონ კერვალიძე** და მისი თანაშემწე **მალაქია ჯოხაძე.**

თავის გასამართლებელ საბუთად კერვალიძეს მოჰყავს ის ფაქტი, რომ მან თავის თანაშემწესთან ერთად „იზაკუსკა“ (!) თორნეში. „ხრამულს“ სჭამდნენ და შესაძლებელია თევზის კუდი ცომში გადაისროლეს.

დათვალიერებულ იქნა პურის საცხობი. პურის საცხობ ოთახში გამგეს გაშლილი ჰქონდა ლოგინი. დანაკლულებული ტომრები ელაგა თავღიად, პურის საზელ გობს არაფერი არ ჰქონდა გადაფარებული. ირგვლივ გაბინძურებული იყო ყველაფერი.

გამგე კერვალიძე და მისი თანაშემწე ჯოხაძე გაგზავნილ იქნენ გამასწორებელ სახლში, სადაც ისინი ისწავლიან როგორ უნდა პურის ცხობა.

მათ ახლო მომავალში სათანადო მსჯავრს გამოუტანს თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლო.

გასაღები „დაავიწყდა“

ალტამლის თემაღმასკომის მდივანს **ნიკოლოზ იაკობისძე ლომიძეს,** რომელიც მოლარის თანამდებობასაც ასრულებდა, 2.000 მანეთი უკვე შეხვილიფებული ჰქონდა, როცა 1928 წლის ოქტომბერში კარს მიადგა რევიზია.

— მობრძანდით, ამხანაგებო! დაბრძანდით!... მიიღეთ ამომწურავი ცნობები, — ეუბნება ლომიძე სარევიზიო კომისიის წევრებს და ულაგებს მაგიდაზე დავთრებს.

სარევიზიო კომისიის წევრები გაეცნენ საბუთებს, წიგნებს და გაემართნენ სალაროსაკენ.

— უკაცრავად, სალაროს გასაღები თან არ მაქვს. თბილისში დამრჩა. ხვალ გავემგზავრები და ზეგ შეგეძლებათ სალარო გასინჯოთ,— ეუბნება ლომიძე სარევიზიო კომისიას.

— ძალიან კარგი. დაველოდით მანამდე,— უთხრეს სარევიზიო კომისიის წევრებმა.

ლომიძე წავიდა, „გასაღების მოსატანად“ და შემდეგ დაიკარგა. აღარ გამოჩენილა.

ხუთმეტი დღის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგული მოლარე სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა აზერბეიჯანში.

ლომიძე გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით.

ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით სასტიკი იზოლიაციით და ამავე ვადით საარჩევნო უფლების აყრა. მასვე უნდა გადახდეს გაფლანგული ფული ალტაბლის თემაღმასკომის სასარგებლოდ. მის ქონებას დაედო ყადაღა გაფლანგული ფულის გასანაღდებლად.

გერ.

შემთხვევები

გვამის პოვნა

ვარაზის ხევში გამვლელებმა აღმოაჩინეს ყუთი, სიგრძით ორი მეტრი, რომელშიც აღმოჩნდა ორი ახლად დაბადებულ ბავშის გვამი.

მკვლელობა

მიხეილ გრიგოლისძე დოროშენკომ (მცხ. კომინტერნის ქ. № 6) რევოლვერის ტყვიით მოჰკლა გაბრიელ გრიგოლისძე იაგოროვი — ალექსეევი.

დაჭრა

ოქროპირ ნიკიფორესძე ეზიაშვილმა მოულოდნელათ რევოლვერით დასჭრა ალექსანდრე თომასძე საყვარელიძე.

უბედური შემთხვევა

ნეკრასოვის ქუჩაზე (სასტუმრო „პრიზმა“-ს პირდაპირ) ტრამვაის ვაგონზე შეხტომის დროს ფეხი დაუსხლტა მე-4 უბნის მილიციელს — სიმონ კილურაძეს, რომელსაც ვაგონმა გადასჭრა ერთი ფეხი. კილურაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

მოჭრილი ხელი

ხუდადოვის ბაღის მახლობლად მინდორში იპოვნეს კაცის მოჭრილი ხელი. გამოძიება სწარმოებს.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა მიხეილ ივანესძე კულავსკი, ანდრონიკ ოგანეზოვი (კახეთის ქ. № 12), რიზა ხანგურადოვი (უბინაო), მამედ - ოღლი (უბინაო) და გიორგი იაგორისძე საგატელოვი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ხელოვნება

მ. ნალბანდიანის ხსოვნის საღამო

(მისი დაბადების 100 წლის შესრულების გამო)

20 აპრილს, „აიარტუნი“-ს თაოსნობით, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საღამო ერთ-ერთი ნიჭიერი სომეხი მწერლის მიქაელ ნალბანდიანის (1829—1866) ხსოვნის აღსანიშნავად.

მიქაელ ნალბანდიანი ცნობილია როგორც ფრიად პოპულიარული ლექსების ავტორი.

ნალბანდიანის მოღვაწეობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. კარინიანმა.

მან გაიხსენა იმ წრის პირობები, რომელშიაც სცხოვრობდა და მუშაობდა ნალბანდიანი, აღნიშნა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი ჯგუფები, სომეხთა სავაჭრო კაპიტალის როლი, ახალი ინტელიგენციის მოღვაწეობა, აგრეთვე ამ ეპოქის სოციალისტური მიმართულება. შემდეგ ამხ. კარინიანმა დაახასიათა ლიბერალური სომხური ჟურნალი „ჩრდილოეთის ელვარება“, რომელსაც ბეჭდავდა სტ. ნაზარიანი პროგრესისტ სომეხ-მწერალთა ჯგუფის მახლობელი მონაწილეობით. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ნალბანდიანს.

მაგრამ ნალბანდიანი თავისი მოღვაწეობის მხოლოდ პირველ პერიოდში მიდიოდა ნაზარიანთან ხელი-ხელ- ჩაკიდებული. საზღვარგარეთ ყოფნის შემდეგ, სადაც პირადად გაეცნო რუს ემიგრანტებს, ნალბანდიანმა შეითვისა შეხედულებანი ჰერცენისა (ეკონომიურ დარგში), ბაკუნინისა (პოლიტიკურ დარგში) ოგარევისა და სხვ. მან. ნათლად დაინახა ევროპის კულტურის უარყოფითი მხარეები და დაშორდა ნაზარიანს ევროპის კულტურისადმი დამოკიდებულების საკითხში. ნალბანდიანი იყო პირველი სომეხი პუბლიცისტი, რომელიც თავის წერილებში (მისი საუკეთესო წერილები დაიბეჭდა უცხოეთის პრესაში) ამთრახებდა კაპიტალიზმის იარებს. თავის ცნობილ შრომაში („მიწადმოქმედება“) ნალბანდიანი იცავდა მიწის სოციალიზაციის სამართლიანობასა და საჭიროებას.

ამხ. კარინიანმა, რომელიც საუცხოოდ იცნობს აღნიშნულ ეპოქას, ნათლად გამოარკვია ნალბანდიანის, როგორც პუბლიცისტის, როლი და მნიშვნელობა.

ამხ. კარინიანის სიტყვა წარმოთქმული იყო ცოცხალი პოპულიარული ფორმით და მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ იგი შეუნელებელი ინტერესით მოისმინა.

ლექციის შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება.

დ.

რკინის გზებზე

თათბირი ტრანსპორტის ხე-ტყის მასალებით უზრუნველყოფის საკითხებზე

10—15 აპრილამდე როსტოვში მიმდინარეობდა თათბირი ტრანსპორტის ხე-ტყის მასალებით უზრუნველყოფის საკითხებზე.

თათბირს დაესწრნენ: გზათა კომისარიატის, ამ.-კავკასიის, ჩრდილოეთ-კავკასიის, უკრაინის რკინის გზების, სანოსნო სამმართველოების და საოლქო ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირმა აუცილებლად სცნო თელავ-ახმეტის ტყეების ფართოდ გამოყენება ა.-კ. რკინის გზების მიერ, იქ სპეციალური რკინის გზის შტოს გაყვანის გზით.

აუცილებლად იქნა ცნობილი წიფელის დამუშავება შპალებისათვის. ამ მიზნით თათბირმა მიმართა თხოვნით საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს უზრუნველჰყოს ამ.-კავკასიის და ჩრდილოეთ-კავკასიის რკ. გზები წიფლის შპალების გაჟღენთვისათვის საჭირო კრეაზოტის ზეთით.

თათბირზე გამოირკვა, რომ ა.-კ. რკინის გზებისათვის 1929—30 წელში საჭიროა: 400.000 ცალი მუხისა და ამდენივე ფიჭვის შპალი, 500 კომპლექტი ისრის გადასაყვანი ძელები, 19.000 კუბ. მეტრი მორები და 25.000 კუბ. მეტრი სახერხი მასალა.

შემთხვევა სადგ. ძირულაში

21 აპრილს დღისით სადგ. ძირულაში, მიუხედავად იმისა, რომ სემაფორი დაკეტილი იყო, სადგურში შევიდა მატ. № 114. იგი მოხვდა მატ. № 318-თ დაკავებულ პირველ ხაზზე.

მოხდა დაჯახება. დაჯახების გამო მატ. № 318-ს შემადგენლობიდან დაიმტვრა სამი ცარიელი ცისტერნა, ხოლო მატ. № 114-დან უმნიშვნელოდ დაზიანდა შვიდი ცისტერნა. უმნიშვნელოდ დაზიანდა აგრეთვე ერთი ორთქლმავალი.

მატარებლის მოძრაობა შესწყდა. საღამოსათვის შესძლეს მოძრაობის აღდგენა მე-3 და მე-4 ხაზებით. 22 აპრილისათვის მოძრაობა მთლიანად აღდგენილი იყო. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

ცეცხლი ორთქლმავალზე

სადგ. აქსტაფაში ცეცხლი გაუჩნდა მატ. № 115-ს ორთქლმავალს. ცეცხლის გაჩენა გამოიწვია ჭერში დაკიდებულ ფანარის ჩამოვარდნამ.

დაიწვა ორთქლმავლის იატაკი და კარავი. სასწრაფოდ მიღებული ზომებით ცეცხლი მალე იქნა ჩაქრობილი.

ამ მიზეზით მატ. № 115-მა დაიგვიანა 4 საათი.

ცდები სურამის უღელტეხილზე

18 და 19 აპრილს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც სურამის უღელტეხილზე აწარმოებს საბარგო მატარებლების ოთხი ორთქლმავლით წაყვანის ცდებს, ჩაატარა მესამე საცდელი მგზავრობა.

18 აპრილს უღელტეხილზე დაუშვეს საბარგო მატარებელი 32 ვაგონის შემადგენლობით. მატარებლის სიმძიმე უდრიდა 1530 ტონას. დაღმართზე იგი მიდიოდა 36 კილომეტრის სისწრაფით საათში.

ზესტაფონიდან კომისია დაბრუნდა 19 აპრილს 900 ტონის სიმძიმის მატარებლით. მატარებელი შესდგებოდა—41 ვაგონისაგან.

მატარებლის სისწრაფე აღმართზე გაორკეცებული იქნა. მაგალითად, მანძილი მარელისიდან-მოლითამდე ნაცვლად დაწესებული 33 წუთისა, მატარებელმა გაიარა 17 წუთში.

ცდები კარგად ჩატარდა.

ფეხბურთი

ხარკოვი—თბილისი

მეორე შეჯიბრებამ ხარკოველებთან (სტუმრებთან თამაშობდა „დინამო“), რომელიც მოხდა კვირას, 21 აპრილს, ნათლად დაამტკიცა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფეხბურთში ტემპს და კოლექტიურ თამაშს. უნდა ითქვას პირდაპირ, რომ თბილისის გუნდებში, კერძოდ „დინამო“-ში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. „დინამო“-ში თავმოყრილია სხვადასხვა სტილის და კლასის მოთამაშეები, რაც საგრძნობლად აფერხებს გუნდის მოფიქრებულ და გეგმიან თამაშს (იმ დროს, როდესაც თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთა სწრაფი ტემპით ანვითარებს თამაშს, მარცხენა ფრთა რატომღაც ანელებს ამ ტემპს, რისი შედეგიცაა უთავბოლო სირბილი მინდორზე და მრავალი ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება); ამას გარდა, ძალიან ვნებს გუნდს მოთამაშეების ადგილების ხშირი გადანაცვლება და შემთხვევითი მოთამაშეების გამოყვანა მინდორზე.

ყველა ეს დეფექტები თავიდან აცილებულია ხარკოვის გუნდში, რომელიც კოლექტიური თამაშის მხრივ კლასიურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. თბილისს მრავალი კარგი გუნდი უნახავს, მაგრამ ისეთი თავდამსხმელთა შემადგენლობა, როგორიც ხარკოველებს ჰყავთ, არ ჰყოლია არც ერთ გუნდს. ამ მხრივ თბილისელებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ ხარკოველ სტუმრებისაგან, უმთავრესად კი ცალკე მოთამაშეების ჩემპიონური მიდრეკილების დაქვემდებარება კოლექტიური ნებისყოფისათვის.

ხარკოველებმა მთელი თავისი მდიდარი ტეხნიკა ჩააქსოვეს კვირის შეჯიბრებაში და, მართლაც, თამაში მეტად საინტერესო გამოდგა. თბილისმა შეჯიბრების დასაწყისშივე დაკარგა ინიციატივა და, მიუხედავათ მრავალი ცდისა, ველარ შესძლო მისი დაბრუნება. სტუმრები მეტად სწრაფი ტემპით თამაშობდნენ მთელი მატჩის განმავლობაში და საშუალებას არ აძლევდნენ თბილისელებს გარკვეულიყვნენ მდგომარეობაში და რაიმე უფრო მიზანშეწონილ ტაქტიკისათვის მიემართათ მათი კომბინაციების აღსაკვეცად. ამ დაბნეულობის შედეგი იყო ის, რომ მე-16 წუთზე უკვე სამი ბურთი იყო თბილისის კარებში.

შემდეგში გუნდებმა გაიტანეს თითო ბურთი და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 4:1 ხარკოვის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თბილისელებს გამოცოცხლება დაეტყოთ. ისინი საკმაოდ ხშირად უახლოვდებოდნენ მოპირდაპირის კარებს, მაგრამ მარბების ერთმანეთთან შეუთამაშებლობის გამო, ყველა მათი იერიშები უნაყოფოდ თავდებოდა. მხოლოდ თამაშის ბოლოს შესძლო შულცმა მეორე ბურთის გატანა ხარკოველებმა კი სამჯერ კიდევ გაარღვიეს თბილისის კარები და შეჯიბრება დაამთავრეს თავისი ბრწყინვალე გამარჯვებით 7:2.

თბილისის მხრიდან თამაშობდნენ: ბაღდოევი, ფრუიძე, ფაჩულია, ჟორდანია, პარამანოვი, კასპარიანი, პეჩიონნი, შულცი, რ. მდივანი, ვაჩნაძე და გიორგაძე.

დღეს გაიმართება ხარკოველების უკანასკნელი გამოსვლა. სტუმრებთან თამაშობს ნაკრები გუნდი.

თამაშის ერთერთი მომენტი თბილისის კარებთან.

დოლი

კვირას, 21 აპრილს, გაიხსნა დოლის საგაზაფხულო სეზონი.

ამ სეზონისათვის, საქ. მიწსახკომის სახელმწიფოს საჯინიბოს გამოსაცდელად გამოჰყავს დოლში 13 მოხნიერებული ცხენი და 6 ორი წლის კვიცი. გარდა ამისა, მოსკოვისა და სხვა ქალაქების იპოდრომებზე გაგზავნილი იქნება 20-მდე ცხენი, რომელთაც ამჟამად წვრთნიან და ავარჯიშებენ საჯინიბოში.

ჯერ-ჯერობით გაზაფხულის დოლში მონაწილეობის მისაღებად აზერბეიჯანმა გამოგზავნა ხუთი ცხენი, სომხეთმა—6 ცხენი, სამხრეთ-ოსეთმა—4 ცხენი, ნახიჩევანმა—3 ცხენი და აფხაზეთმა—6 ცხენი.

დოლის პირველ დღეს კარგი დარი დაესწრო.

პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ცხენოსანთა ლეგიონების და ა.-კ. ქვეითა სკოლის 5 ცხენმა, (ჰასაკით არანაკლებ 4 წლისა), გასავლელი მანძილი იყო 2.200 მეტრი. პირველობა აიღო ა.-კ. ქვეითი სკოლის ფაშატმა „ბატისტოვაიამ“, მეორე ადგილი დაიჭირა საქ. ცხენოსანთა ლეგიონის ცხენმა „ზენდუანმა“, მესამე — „დურმიშხანმა“.

მეორე დოლში ერთმანეთს შეეჯიბრენ 1.500 მეტრის მანძილზე გ. ელიავას ცხენი „ინფანტა“ და მიწსახკომის საწვრთნელ-საჯინიბოს ცხენები „კოხტა“ და „ლამარა“. ფინიშთან პირველი მივიდა „ინფანტა“, შემდეგ მას მოჰყვა „ლამარა“, უკანასკნელად „კოხტა“.

მესამე დოლში (გასასვლელი მანძილი 1.600 მეტრი) მონაწილეობდა ხუთი (არა ნაკლებ სამი წლის ჰასაკის) ცხენი. პირველობა ხელთ იგდო მიწსახკომის ცხენმა „გნევნაიამ“, მეორე სამხრეთ-ოსეთის სამი წლის ულაყმა „დონბაიმ“.

მეოთხე დოლის,—10 მოხალისე მხედრის შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მივიდა ოთხი წლის ფაშატი „ორხიდეია“, მეორეთ „ბაბუცა“, მესამედ „ანაიდა“ და სხვ.

დოლის ყურადღების ცენტრს წარმოადგენდა მეხუთე შეჯიბრება, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდენ წარსული წლის სეზონში კარგად ცნობილი საქ. მიწსახკომის ხუთი წლის ულაყი **„ბურგენი“,** აზერბეიჯანის ხუთი წლის **„საგიტერი“** და იმავე რესპუბლიკის მიწსახკომის ხუთი წლის ფაშატი **„სანტი“.** ჯილდოთ დანიშნული იყო 500 მანეთი. გასავლელი მანძილი—2.000 მეტრი. მესამე მოსახვევთან ყველას გაასწრო და ფინიშთან პირველი მივიდა „ბერგენი“, მეორეთ—„საგიტერი“, უკანასკნელად „სანტი“. დოლის უწესოდ დაწყების გამო ჟიურიმ შეჯიბრება არ ჩასთვალა.

მეექვსე შეჯიბრებაში (გასავლელი მანძილი 1.200 მეტრი), სამხრეთ-ოსეთის სამი წლის ულაყს „უარს“ და აზერბეიჯანის იმავე ჰასაკის ულაყ „გამიდს“ აჯობა საქ. მიწსახკომის სამი წლის ფაშატმა „აჯამეთმა“.

შემდეგი დოლი შესდგება 28 აპრილს.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 23 აპრილი

დღეს თბილისის 4 კილოვატიან რადიოსადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

პიონერისა და მოსწავლის საათი, ქართულ ენაზე; მოხსენება „პროფკავშირების მე-8 საკავშირო ყრილობის შედეგები“—ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი“ რადიოთი სომხურ ენაზე; საუბარი „მეაბრეშუმეობა და მისი მნიშვნელობა გლეხურ მეურნეობაში“—ქართულ ენაზე; დროს შემოწმება და ცნობები ამინდის შესახებ; კომკავშირელების რადიო-გაზეთი — ქართულ ენაზე; რადიოს მოყვარულთა საზოგადოების საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო ლენინის დაბადების 59 წლის თავის აღსანიშნავად; მომავალი კვირის გადაცემათა პროგრამა ესპერანტოს ენაზე; უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს, 23 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

შავ მუშათა სექციიდან, ლადო მელიქიშვილი, სოფიო სინანოვი, ალექსანდრე პირაგულოვი, შუშანა მელიქიანი, ვართანუშ მარგისიანი, ივანე დუდაშვილი, მარიამ ზირენკო, გიორგი ჩერქეზიშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: კარაპეტ კაჩაროვი, თედორე ინოზემცოვი, სოლომონ ვოლიგინი, არშაკ პარენოკი, ალექსანდრე უნგიაძე, ვარლამ ცეკვაშვილი, ამაიაკ ავაიანი, ალავერდ იუხანოვი, მელიტონ ნადარაია.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ხუციშვილი — გეგეჭკორისა, ვლადიმერ ადამია, ილია რატიშვილი, თედო თურქაძე, ვარვარა ხარიტონოვა, ლუკა ადუაძე, თამარ ბადრიაშვილი, ვაშაკიძე — ჯაფარიძისა, ევგენი მეტრეველი, დოლგორუკოვა — არღუთინსკაია, ვერა პოპოვა.

რკინის გზელთა სექციიდან: რაჟდენ ბაკურაძე, ელიოზ ყასაბაშვილი, გიორგი ყანდარელი, ილია ეღშერაშვილი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ვ. ვართანოვი, იაკობ ვარდიევი, ელისაბედ ზილბერგი, ალექსანდრე პროკოფიევი, არმენაკ პაპიაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

რესპ. მილიციის უფშემადგენლობის სკოლის მუდმივი და ცვალებადი შემადგენლობა გთხოვთ მოგვცეთ საშუალება გაზეთ „კომუნისტი“-ს საშუალებით გულითადი მადლობა გადაუხადოთ რეჟისორ ქ. მარჯანიშვილს და საერთოდ ქუთაისის სახელმწიფო დრამის დასს მილიციის დღესასწაულის დღეს სკოლის მსმენელების უფასოთ და რიგს გარეშე წარმოდგენაზე დაშვებისა და საუკეთესო ადგილებზე მოთავსებისათვის.

ამხანაგების დავალებით—
ვ. ბანეთაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ლენინის სახელობის სახ. პოლიტექ. ინსტიტუტის საამშენებლო ფაკ. ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს 23 აპრილს საღ. 9 საათ. აუდ. № 1. კომკავშირის წევრ კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. სახ-უნის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს სრულ 12 საათზე, აქტივთან ერთად. დასწრება წევრკანდიდატთათვის სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ დაინტერესებული ამხანაგები — აქტივიდან.

სახ.-უნივ. კომპარტიის ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 23 აპრილს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია საორგანიზაციო კომისიის სხდომა.

კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო - კოლექტივი და საშეფო საზ-ის ბიურო. დღეს, 23 აპრილს საღამოს სრულ 7 საათზე, იწვევს საშეფო საზოგადოების წევრთა საერთო კრებას. დასწრება სავალდებულოა. იწარმოებს რეგისტრაცია.

სახ-უნ. სოც. ეკ. ფაკ. კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 23 აპრილს, დღის 12 საათზე ქვემოთ დასახელებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ბიურო - კოლექტივში დაუყოვნებლივ: ამხ. აბულერიძე, ვ. კაკაბაძე, გრ. ფრუიძე, ნ. ჭინჭარაძე, კ. ქუთარაძე და ოურაფინა გაბისონია.

ხუთშაბათს, 25 აპრილს, შესდგება საქართველოს საგეგმო კომისიასთან არსებულ საწარმოო ძალთა შემსწავლელ ბიუროს მეორე სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება ფარმაციის მაგისტრ. ი. ტყეშელაშვილის მოხსენება შემდეგ თემაზე:

„ჩვენი ველური ნაყოფებისა და სილის გამოყენება ზეთის, მცენარეულის საღებავის და სასურსათო პროდუქტების დასამზადებლად“.

ბიუროს წევრებს გარდა სხდომაზე მოწვეული არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ს. ჩოლოყაშვილი, პროფ. კ. ამირაჯიბი, ი. ანდრონიკაშვილი, პროფ. გ. ბერიშვილი, დ. გედევანიშვილი, ვ. ბიბილაშვილი და ბერიტაშვილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სამაზრო კომიტეტის წევრი

ამხ. მაქსიმე მარკოზის-ძე კვერნაძე

გამოსვენება სამპროფბიუროს დარბაზიდან 24 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე.

ქუთაისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, აღმასრულებელი კომიტეტის წევრი

ამხ. მაქსიმე მარკოზის-ძე კვერნაძე

გამოსვენება სამპროფბიუროს დარბაზიდან 24 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე.

ქუთაისის სამაზრო დამზღვევი სალაროს თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ამა თვის 21 აპრილს, დილის 7 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და დამზღვევ სალაროს ძველი თანამშრომელი

მაქსიმე მარკოზის-ძე კვერნაძე

გამოსვენება სამპროფბიუროს დარბაზიდან 24 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე.

ქუთაისის სოცდაზღვევის სალაროს გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 21 აპრილს, დილის 7 საათზე გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, დამზღვევ სალაროს გამგეობის წევრი

ამხ. მაქსიმე მარკოზის-ძე კვერნაძე

გამოსვენება სამპროფბიუროს დარბაზიდან 24 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე.

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საქვაბო და სამქროს კომუჯრედი და მუშა-მოსამსახურენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს

ამხ. ილიკო გიორგის-ძე თაქთაქიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოს პროზექტურიდან საკუთარ ბინაზე, 23 აპრილს 4 ნახ. საათზე; სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა 24 აპრილს, საღამოს 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. (ვ)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ერმონია, შვილები: იოსები, მერი, დარია და ჟენია, სიძეები: კონსტანტინე გაბრიჩიძე და ალექსანდრე ომიაძე, დისწული მანია ძნელაძე მეუღლე დუდეთი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

გაბრიელ იოსების ძე ნაზარიშვილის

გარდაცვალებას ქ. ხაშურში ა. წ. 22 აპრილს. დაკრძალვა ქ. ხაშურში. (შ)

თავზარდაცემული დედა ანასტასი; დები: ქეთო, რაისა და ძმა ბიძინა გველესიანები; სიძე ვალია ბახტაძე პატარა შვილით; აღმზრდელი — ბიძა ვანო იოთამის ძე გველესიანი ცოლშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

დათიკო სიმონის ძე გველესიანი

1505

21 აპრილს, გარდაიცვალა ძვირფასი

ოლღა ივანეს ასული წულუკიძე

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებული მეუღლე პეტრე წულუკიძე, ქალიშვილი ქეთევანი, შვილი ქ. ა. წულუკიძე მეუღლით ლენათი, სიძე ალექსანდრე ფაღავა შვილით თეიმურაზით, ძმა ნიკოლოზი გამრეკელი ოჯახით. დაკრძალვა დღეს ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება 4 ნახ. საათ. ანასტასიევის ქ. № 13. 1512

ქალაქის პირველ საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების თანამშრომლები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ამავე განყოფილების გამგის—დოცენტი ალექსანდრე პეტრესძე წულუკიძეს დედის

ოლღა ივანეს ასული წულუკიძის

გარდაცვალების გამო 1513

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანტონი, შვილები: ირა და ესმა; დედა სირანა; ძმა გოგი; დები: მარგო და ნადია, მახლობელი ნათესავები: ლიზა, ვარა, ლევანი, იაკობი, დავით და ნიკოლოზი აგრეთვე მეგობარი ვასო გიორგობიანი მეუღლე მაროთი იუწყებიან მათთვის საყვარელი და დაუვიწყარ

ანა (ანეტა) ბაგრატის ასული კენჭაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს, 24 აპრილს, საკუთარ ბინიდან (ნავთლუღი მამუკინის მოედანი № 8) 3 საათზე. 1517

რუსთაველის თეატრი
დღეს, სამშაბათს 23 აპრილს
ღია წარმოდგენა საზოგადოებისათვის
„ხოჭოების დოლი“ ხოზიკას
კომედია 3 მოქ.
დადგმა: ალ. ახმეტელის ‹ კ. პატარიძის, მხატვ. ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრისა სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში
2—1 ნ. 2575

სახ. აკ. ოპერის თეატრი
სამშაბათს 23 აპრილს
ოთხშაბათს 24 აპრილს
ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში
მე-2 აბონემ. მე-2-რე წარმოდგენა ლიანდაგი ბუბუნებს
მე-3-მე აბონემ. 3-მე წარმოდ. პრემიერა წმინდა ქალწული
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ

სახკინმრეწვის კინოთეატრები
განთიადი
არფასტო
სოლეი
აპოლო
მინიონი
პალასი
დარბაზი
პროლეტარი
მონტი ბენკს სურათში
შეჯიბრების უნებლიე მონაწილე
მსოფლიო ფილმი
ჩანგ
მხატვრული სურათი „მეჟრაბპომფილმის“
ქალაქში შესვლა არ შეიძლება
რეჟ. ჟელიაბუჟსკი
უცხოეთის მხატვრ. სურათი
დონნა ჟუანა
გრაფი მონტე- კრისტო
1 და 2 სერია
პატი და პატაშონი სურათში
პოლიციელები
0—20

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ინვალიდთა კოოპერატიული არტელი
„გლარჯა“-ს გამგეობა
აცხადებს, რომ 29 აპრილს დღის 3 საათზე დანიშნულია ნადის კანტორაში—ველიამინოვის ქ. № 12 საჯარო ვაჭრობა აფხაზეთის თამბაქოს ქარხნის ნაწარმოების გაყიდვაში, რომელნიც იმყოფებიან „გლარჯა“-ს საწყობში.
1516 2—1

ზესტაფონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
ჭაჭიაშვილი
აცხადებს, რომ ის 26 აპრილს ნაშუადღევის 12 საათზე ქ. ზესტაფონში ჯაფარიძის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალექსი ბებიაშვილის— უძრავ ქონებას—საცხოვრებელ სახლს, მდებარეს ჯაფარიძის ქუჩაზე და სავაჭრო შენობას, მდებარეს 25—თებერვლის ქუჩაზე, დასაკმაყოფილებლათ ქ. თბილისის აღმასკომის ვალისა. თანახმათ ქ. თბილისის სანოტარო-კანტორის №№ 3245, 3246, 3247, 3248 და 3249 აღსრულებითი წარწერებისა, საცხოვრებელი სახლი შეფასებულია 2000 მან. სავაჭრო შენობა 3000 მან., რომელ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა, ვაჭრობა მოხდება 311, 313 მუხ. ს.ს.ს.კ. დაცვით. ნ. 2583

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25|1

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10
25-1 1302

ექიმი
ი. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა სოლოლაკში
დუმბაძის ქ. № 22 (ყ. ველიამინოვის)
სპეციალობა სქესობრივი ფუნქციების დარღვევა (სქესობრივი ნევრასტენია)
ფსიქოთერაპია.
მიღება საღ. 6—8 საათ.
სიფილისით ავადმყოფთა მიღება დილით 11 საათიდან 1 საათამდე

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274 - 25 - 1

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ჰედოლოგი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ‹ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ. — მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

დაკარგვა: პირადობის მოწმობა 244 ლევან, იგივე დომენტი ათანასეს ძე ჩხარტიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1515

დაკარგვა: საბჭ. და სავაჭ. მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 4478 ოგანეს ამბარცუმის ძე პატვაკანიანის-მნაცაკანიანის სახელზე, 1515

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

დაკარგვა: მატრიკული № 139 კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ნებიერიძის სახელზე ჩ. გ. 1509

დაკარგვა: ტ. ს. უ-ის მატრიკული № 1115 ვახტანგ მიმინოშვილის სახელზე, ჩ. გ. 1503

დაკარგვა: სამხედრო სამსახურის მოწმობა გაცემული ერასტი მიხეილის ძე სხირტლაძის სახელზე, ჩ. გ. 1507

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი შალვა ჩხატარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1511

დაკარგვა: პარტიული ბილეთი № 0853967 მიხეილ კოჰარაძეს სახელზე, ჩ. გ. 1504

დაკარგვა: პირადობის და სილარიბის მოწმობა № 35 და 138 ისიდორე სიმონის ძე სამხარაძეს სახელზე, ჩ. გ. 1151

ტირაჟი—39.144
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.